

პ. ბელბახიანი, ი. თაბაგარი

მზა სამკურნალო  
საშუალებანი და  
მათი გამოყენება



გამომცემლობა  
„საბჭოთა საჭარბელო“  
თბილისი — 1968

5—1  
328—68 აღგ.

615.2  
615  
ა 296

И. Г. Гелбахиани, И. Табагари. Готовые лекарственные средства и их применение, «Сабчота Сакарт-вело», Тбилиси, 1968.

Книга служит цели снабдить лечащих врачей основными сведениями о 1620 стандартных лекарственных средствах, широко применяемых в медицинской практике и имеющихся в аптечной сети.

Авторы предлагают рецепты, прописи и аннотации как на отечественные, так и на импортные препараты, применение которых разрешено Фармакологическим Комитетом Министерства здравоохранения СССР. Дается точное наименование лекарств на грузинском и латинском языках, состав их, активность, способ применения, дозы, образцы рецептов.

В книге приводятся также и синонимы некоторых новых препаратов, заменителей импортных препаратов и список дозволенных к выпуску лекарственных средств и т. д.

Книга предназначена для врачей всех специальностей и аптечных работников.

## წინასიტყვაობა

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა უახლეს ეფექტურ სამკურნალწამლო საშუალებათა გამონახვისა და სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვის საქმეს.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება დიდადაა დაძოვილებული სამკურნალო პრეპარატების ძთელი ასორტიმენტის რაციონალურად გამოყენებაზე. ამ საქმეში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მზა სტანდარტულ სამკურნალწამლო საშუალებებს.

მკურნალი ექიმები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან გაცნობილი არსებულ მზა სამკურნალწამლო საშუალებებს, ამიტომ ხშირად წერენ რეცეპტებს ისეთი წამლის ფორმებზე, რომლებიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება აფთიაქებში მზა სახით, რის გამოც აფთიაქებზე გადატვირთულია ინდივიდუალური წამლის ფორმების მოძიადებით და ავადმყოფს ხშირად არ შეუძლია დროულად მიიღოს საჭირო სამკურნალო საშუალება.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო რეკომენდაციას იძლევა ფართოდ იქნეს გამოყენებული მკურნალობაში სტანდარტული მზა წამალფორმები ამა თუ იმ დაავადების წინააღმდეგ სამკურნალოდ.

აქედან გამომდინარე, ექიმებისათვის სათანადო ცნობების მიწოდება სამკურნალო მზა წამალფორმების არსებობისა და მათი გამოყენების შესახებ მეტად მნიშვნელოვანი საკითხია.

წიგნის მიზანია მკურნალ ექიმს მისცეს ძირითადი ცნობები იმ სტანდარტულ მზა სამკურნალწამლო საშუალებებზე, რომლებიც ფართოდაა გამოყენებული სამედიცინო პრაქტიკაში და საკმაო რაოდენობით მოიპოვება სააფთიაქო ქსელში.

წიგნში მოცემულია სამამულო სტანდარტულ მზა წამალფორმებთან ერთად ცნობები იმ იმპორტულ პრეპარატებზე, რომელთა გამოყენებაც სამკურნალო პრაქტიკაში ნებადართულია სსრ კავში-

რის ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ და რომელთა შემოტანა ჩვენს ქვეყანაში საკმაო რაოდენობით ხდება.

მომზადდა წამალფორმები აღნიშნულია (ფრჩხილებში) ასო A-თი, ძლიერ მოქმედი — ასო B-თი. მოცემულია მზა წამალფორმების ზუსტი სახელწოდებანი ლათინურ და ქართულ ენებზე, შემადგენლობა, აქტივობა, ხმარების წესი, დოზები, რეცეპტთა ნიმუშები.

წიგნში მოცემულია აგრეთვე ზოგიერთი ახალი პრეპარატის სინონიმები, საზღვარგარეთული (იმპორტული) პრეპარატების შემცველი და იდენტური საბჭოთა სამკურნალწამლო საშუალებანი. სამედიცინო პრაქტიკაში გამოსაყენებლად და მრეწველობაში გამოსაშვებად ნებადართული პრეპარატების სია, სამკურნალო პრეპარატების შენახვის ვადები, უხამ-ნარკოტიკულ და ძლიერ მოქმედ საშუალებათა ერთჯერადი და სადღეღამისო დოზები.

წიგნის უკეთ სარგებლობისათვის მიზანშეწონილად ჩავთვალეთ პრეპარატები დაგვეყო ჯგუფებად მათი ფარმაკოთერაპიული მოქმედების შესაბამისად და მოგვეცა პრეპარატები ანბანის მიხედვით ქართულ და ლათინურ ენაზე.

იმედია, ეს წიგნი სათანადო დახმარებას გაუწევს მკურნალ ექიმებს მათ საქმიანობაში.

-----

## ეჭიშის მიერ რეცეპტის გამოწერის წესები

რეცეპტი არის წამლის წერილობითი აღნიშვნა, რომლის მიხედვითაც ხდება აფთიაქში სამკურნალწამლო ნაკეთის მომზადება.

პრაქტიკული მუშაობის დროს ეჭიმს ხშირად უხდება რეცეპტის გამოწერა, რომლითაც იგი უნიშნავს ავადმყოფს როგორც პროფილაქტიკისათვის, ისე მკურნალობის მიზნით აქტიურად მოქმედ ქიმიურ საშუალებას ე. ი. წამალს. ამ უკანასკნელზე კი დიდადაა დამოკიდებული ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, არასწორად, უყურადღებოდ გამოწერილ რეცეპტს და მისგან სათანადო კონტროლის გარეშე მომზადებულ წამალს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ავადმყოფის ჯანმრთელობას. ამიტომ რეცეპტი აუცილებლად უნდა გაფორმდეს წესისამებრ. ეჭიმის გახსაკუთრებული სიფრთხილე, სიფხიზლე და ყურადღებაა საჭირო წამლის ფორმის შერჩევისათვის, დოზებისა და ხმარების წესის სწორად აღნიშვნისათვის.

ძირითადი მოთხოვნა, რომელიც წაყენება ეჭიმებს, რეცეპტის წესიერი გაფორმებისათვის, აღნიშნულია საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1959 წლის 21/1-ის № 24 ბრძანებაში. თანახმად აღნიშნული ბრძანებისა:

1. ყველა რეცეპტი დაწერილი უნდა იყოს გარკვევით ერთიან სპეციალური ფორმის ბლანკზე, სასურველია დაბეჭდილი იყოს სტიმბური წესით (ფორმა რეცეპტისა იხილეთ ქვემოთ).

2. რეცეპტის ერთ ბლანკზე — გამოიწერება მხოლოდ ერთი წამალი, რომელიც შეიცავს შხამიან ნივთიერებებს, ხოლო არა უმეტეს ორი წამლისა დანარჩენ შემთხვევაში.

3. რეცეპტი უნდა დაიწეროს მეღნით; რეცეპტში გადასწორება არაა დასაშვები.

4. თუ აუცილებელია, რომ ავადმყოფმა წამალი მიიღოს დაუყოვნებლივ, მაშინ ეჭიმი ვალდებულია რეცეპტის თვალსაჩინო ად-

გილზე ზემოთ კუთხეში დააწეროს „Cito!“ (სასწრაფო) ან Statim (დაუყოვნებლივ).

5. ყველა რეცეპტზე უნდა იყოს შემდეგი აუცილებელი აღნიშვნები:

ა) შტამპი სამკურნალო დაწესებულებისა, რომელზეც აღნიშნული უნდა იყოს დაწესებულების მისამართი და ტელეფონის ნომერი (კერძო პრაქტიკის შემთხვევებში კი მკურნალი ექიმის გვარი, ტელეფონის ნომერი და ბინის მისამართი).

ბ) გვარი და ინციალი ავადმყოფისა (14 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ან 60 წელს გადაცილებული ავადმყოფებისათვის აუცილებლად უნდა აღინიშნოს ავადმყოფის წლოვანება).

გ) თარიღი რეცეპტის გამოწერისა (რიცხვი, თვე და წელი).

დ) გვარი და ინციალი ექიმის (გარკვევით) ან შტამპი მისი გვარის აღნიშვნით.

ე) წამლის შემადგენლობა, ე. ი. ლათინური სახელწოდებანი რეცეპტში შემავალი ინგრენდიენტების, მათი რაოდენობის ჩვენებით. შემოკლებითი აღნიშვნები ისეთი ინგრენდიენტებისა, რომელთა სახელწოდებანიც წააგავს ერთმანეთს და ამის გამო არ შეიძლება გარკვევა, თუ რაა გამოწერილი, დაუშვებელია.

ვ) აღნიშვნა წამლის ფორმისა და სხვა მითითებანი ფარმაცევტის (მიღებული შემოკლებით). წამლის ხმარების წესი (რუსულ ან ადგილობრივ ენაზე). წამლის ხმარების წესი არ შეიძლება შემოიფარგლოს საერთო მითითებით „შინაგანი“, „ცნობილია“ და სხვ. არამედ აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული ხმარების წესი, დოზა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი მიღების დროს (მაგალითად, თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში  $\frac{1}{2}$  საათით ადრე ჭამამდე და სხვ.).

ზ) ექიმის პირადი ხელმოწერა.

6. ისეთი წამლის რეცეპტზე, რომლის შემადგენლობაშიც შედის შხამიანი ნივთიერებანი სია „ა“-დან (და ეთილის სპირტზე? გარდა მეხუთე პუნქტში მოცემული აღნიშვნებისა, სავალდებულოა სამკურნალო დაწესებულების ბეჭდის დასმა, თუ რეცეპტი გამოწერილია კერძო პრაქტიკის მქონე ექიმის მიერ. რეცეპტები, რომლებშიც გამოწერილია ნარკოტიკული საშუალებანი, ფორმდება თანახმად სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური მითითებისა.

7. თუ აუცილებელია, რომ ავადმყოფმა გაიმეოროს გამოწერილი წამალი, ამის შესახებ ექიმი ვალდებულია აღნიშნოს რეცეპტის თვალსაჩინო ადგილზე და განმეორებით მოაწეროს ხელი; რეცეპტის ასლის (სიგნატურის) გამოწერისას ეს აღნიშვნა დასტურ-

დება აფთიაქის რეცეპტარის ხელმოწერით. ისეთი წამლების განმეორებით გამოწერისათვის, რომელთა შემადგენლობაში შედის ნარკოტიკული საშუალებები და ეთილის სპირტი, სავალდებულოა აუცილებლად ახალი რეცეპტის გამოწერა.

8. დადგენილი ნორმების ზემოთ შხამ და ძლიერ მოქმედ ნივთიერებათა გამოწერის დროს ექიმი ვალდებულია სიტყვიერად აღნიშნოს ასაღები ნივთიერების დოზა და დასვას გაკვირვების ნიშანი. თუ ექიმის მიერ დაცული არ არის ზემოაღნიშნული მოთხოვნა, აფთიაქის მუშაკი (ფარმაცევტი) ვალდებულია ექიმთან შეთანხმებით ტელეფონით ან წერილობით (დაბეჭდილი კონვერტით) დააზუსტოს დოზა და მხოლოდ პასუხის მიღების შემდეგ გაუშვას წამალი შესაფერის დოზებში. თუ ექიმთან კავშირის დამყარება შეუძლებელია, რეცეპტარს უფლება ენიჭება მისცეს ავადმყოფს პრეპარატის დადგენილი უმაღლესი ერთჯერადი დოზის ნახევარი.

9. შხამიანი და ძლიერ მოქმედი ნივთიერების შემცველი რეცეპტი ძალაშია მისი გამოწერიდან არა უმეტეს 30 დღისა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, რეცეპტის მიღება და მის საფუძველზე წამლის მომზადება აკრძალულია.

10. ექიმს (ექიმის თანაშემწეს, ბებია ქალს და კბილის ექიმს) ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა არასწორად გამოწერილი რეცეპტისათვის.

11. ის რეცეპტი, რომელიც არ აკმაყოფილებს თუნდაც ერთ რომელიმე ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, ითვლება არარაციონალურად და იმის მიხედვით წამალი არ უნდა მომზადდეს. ექიმი, რომელმაც გამოწერა ასეთი რეცეპტი ან სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს ავადმყოფისათვის საჭირო რეცეპტის განახლება.

12. აფთიაქში შემოსული არასწორად გამოწერილი რეცეპტისაგან ორ ეგზემპლარად უნდა გაკეთდეს ასლი, — რეცეპტის ორიგინალზე კი რეცეპტარი აწერს „რეცეპტი არ შესრულდეს“ და უბრუნებს ავადმყოფს. ასლის ერთი ეგზემპლარი კი დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ სამკურნალო დაწესებულების მთავარ ექიმს, საიდანაც შემოვიდა რეცეპტი. ასლის მეორე ეგზემპლარი ინახება აფთიაქში სხვა რეცეპტებისაგან განცალკევებით 1 წლის განმავლობაში.

13. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელები ვალდებული არიან მიიღონ სასტიკო ზომები ყველა მათ წინააღმდეგ, რომლებიც დაარღვევენ რეცეპტის გამოწერის აღნიშნულ წესებს.

რეცეპტის ბლანკის ფორმა  
(ბლანკის ზომა 85 მმ X 150 მმ)

სამკურნალო დაწესებულების შტაბში.  
ავადმყოფის გვარი, სახელი და მამის სახელი

ადგილი შეფასებისათვის

წლოვანება

თარიღი

ექიმის გვარი და სახელი

ბ. ა.

ექიმის ხელმოწერა



## უპირატესად ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი საშუალებანი

სანარკოზი და ძილმომგვრელი საშუალებანი

ა) ქირურგიული სანარკოზი საშუალებანი

ჰექსონალი — Hexonali (B)

იხმარება შინაგანი და რექტორალური ნარკოზისათვის, იწვევს ფსიქიკური და მოძრაობითი აგზნების მოვლენების მოხსნას.

გამოშვებულია: 1,0 ამპულაში; თითო შეკვრაშია 10—10 ამპულა.

Rp: Hexonali 1,0

D t d № 10 in ampulis

S. ნარკოზისათვის (1 ამპულა უნდა გაიხსნას 10 მლ გასტერილებულ გამოხდილ წყალში; შეშხაპუნებულ იქნას ვენაში ნელნელა).

თიოპენტალი ნატრიუმი — Thiopentali natrii (B)

იხმარება, როგორც ჰექსონალი შინაგანი ნარკოზისათვის მცირედროიანი ოპერაციების დროს.

გამოშვებულია 1,0 ამპულაში.

Rp: Thiopentali natrii 1,0

D t d № 3 in ampulis

S. ნარკოზისათვის (1 ამპულა უნდა გაიხსნას 40 მლ გამოხდილ გასტერილებულ წყალში და შეყვანილ იქნას ვენაში 10—12 მლ).

ქლორეთილი — Aethylum chloratum

იხმარება მცირე არახანგრძლივი ოპერაციების დროს, როგორც ტკივილდამაყუჩებელი ადგილობრივი სანარკოზი საშუალება.

გამოშვებულია 30 მლ. ამპულაში 10—10 ცალი.

Rp: Aethylii chlorati 30,0

D t d № 2 in ampulis

S. ადგილობრივი ანესთეზისათვის.

ქლოროფორმი — Chloroformium (B)

იხმარება სხვა ნივთიერებებთან ერთად გარედან წასასმელად. ქიმიურად სუფთა ქლოროფორმი (Chloroformium pro narcosi) იხმარება ინჰალაციური ნარკოზისათვის. ღმარების წინ იგი აუცილებლად შემოწმებული უნდა იქნეს სისუფთავეზე.

გამოშვებულია ნარკოზისათვის სპეციალურ შუშებში 50 მლ მოცულობით.

Rp: Chloroformii pro narcosi 50.0

DS. ინჰალაციური ნარკოზისათვის.

ეთერი — Aether medicinalis (B)

იხმარება ძირითადად ქირურგიაში ინჰალაციური ნარკოზისათვის, აგრეთვე ლაბორატორიულ პრაქტიკაში და სხვადასხვა პრეპარატების მოსამზადებლად.

გამოშვებულია ორიგინალურ ნარინჯისფერ შუშებში 100 მლ მოცულობით.

Rp: Aetheris pro narcosi 100.0

DS ინჰალაციური ნარკოზისათვის.

### ბ) ძილმომგვრელი საშუალებანი

ბარბამილი — Barbamylium (B)

იხმარება, როგორც დამამშვიდებელი და ძილმომგვრელი საშუალება, პრეპარატი გამოწვეული ძილი გრძელდება 8 საათამდე, რის გამოც ფართოდ იყენებენ ზანგრძლივი ძილით მკურნალობის დროს და აგრეთვე მწვავე ფსიქიკური აგზნების შეძთხვევებში.

უმალესი ერთჯერადი დოზაა — 0,5, სადღელამისო 1,0.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 და 0,2—10—10 ტაბლეტი.

Rp: Tabulettae Barbamyli 0.2

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი ძილის წინ.

ბაროტალი — Barotalum (B)

პრეპარატი წარმოადგენს 5 კროტილ 5 ეთილბარბიტურის მკავას, იხმარება როგორც ძილმომგვრელი და დამამშვიდებელი საშუალება. გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 რაოდენობით.

Rp: Barotali 0.25

D t d № 10 in tabul.

S. თითო ტაბლეტი ძილის წინ.

## სმოლენსკის მიქსტურა — *Mixtura Smolensky*

შემადგენლობა: ვალერიანის ძირების  
გამონაცემები 8,0—200,0  
ნატრიუმის ბრომიდი  
ამიდოპირინი  
ბარბიტალ-ნატრიუმი  $\frac{aa}{aa}$  3,0

იხმარება, როგორც დამამშვიდებელი და ძილმომკვრელი სა-  
შუალება, უნიშნავენ ერთ სუფრის კოვხს სალამოს ძილის წინ.

Rp: *Mixtura Smolensky* 200,0

D. S. სუფრის კოვხი ძილის წინ.

## ბრომიტალი — *Bromitalum* (B)

შემადგენლობა: ბარბამილი  
ბრომიზოვალი  
ბარბიტალ-ნატრიუმი  $\frac{aa}{aa}$  0,15.

იხმარება, როგორც ძილმომკვრელი და დამამშვიდებელი სა-  
შუალება. გამოშვებულია ტაბლეტებში თითო ზეკერაში 6—6 ტაბ-  
ლეტი.

Rp: *Tabulettae Bromitalum*

D t d № 6

S. თითო ტაბლეტი ძილის წინ.

## დიმერინი — *Dimerinum* (B)

იხმარება უძილობის შემთხვევაში და ნერვული აგზნების  
დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,05, 0,1, 0,2—უნიშნავენ რო-  
გორც საძილე საშუალებას 0,1—0,2 ერთ მიღებაზე, როგორც და-  
მამშვიდებელ საშუალებას 0,05, 3—4-ჯერ დღეში.

Rp: *Dimerini* 0,1

D t d № 10 in tabul

S. თითო ტაბლეტი ძილის წინ.

## ტარდილი — *Tardil* (B)

შემადგენლობა: ბარბამილი 0,125  
დიბრაზინი 0,075  
ნოქსირონი 0,125

გამოშვებულია დრაჟე ტაბლეტებში. თითო ზეკერაში 20 ან  
100 ცალი.

იხმარება ძილის მოშლის და ხანგრძლივი ძილით მკურნალობის შემთხვევებში. უნიშნავენ 1—2 დრაჟეს ძილის წინ, ხოლო ხანგრძლივი ძილისათვის პირველად უნიშნავენ 2 დრაჟეს და შემდეგ ყოველ 6 საათში — თითოს.

Rp: Dragüs „Tardil“

D t d № 20 in tabul

S. 1—2 დრაჟე ძილის წინ.

პოპოვის მიქსტურა — *Mixtura Popovi* (5)

შემადგენლობა: ფენობარბიტილი 0,4  
ეთილის სპირტი 20,0  
გამოხდილი წყალი 200,0

იხმარება, როგორც საძილე საშუალება — ალკოჰოლური ფსიქოზის დროს.

Rp: *Mixtura Popovi* 200.0

DS ექიმის მეთვალყურეობით.

ბარბიტალი (ვერონალი) — *Barbitalum (Veronalum)* (5)

იხმარება, როგორც ძილმომგვრელი და დამამშვიდებელი საშუალება, აქვს კუმულაციური თვისება და ამიტომ 3—4 დღის განმავლობაში მიღების შემდეგ საჭიროა შესვენება 2—3 დღით. უმაღლესი ერთჯერადი დოზაა 0,5, სადღეღამისო — 1,5.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25—10—10 ტაბლეტი თითო შეკერაში.

Rp: *Tablettae barbitali* 0.25

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი ძილის წინ ერთი საათით ადრე.

ბარბიტალნატრი (მედინალი) *Barbitalum natrium* (5)

იგივე მოქმედებისაა, როგორც ბარბიტალი, ხოლო შეიწოვება უფრო სწრაფად და მოქმედებს უფრო ძლიერად, ნაკლებად ტოქსიკურია.

იხმარება: უძილობის, ნერვული აგზნების დროს, როგორც ძილმომგვრელი და დამამშვიდებელი საშუალება.

უნიშნავენ 0,3, 0,6 ერთი საათით ადრე დაძინებამდე.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,3 №6 თითო შეკერაში.

Rp: Barbitali — natrii 0,3  
D t d № 6 in tabulettis

S. ერთი-ორი ტაბლეტი ძილის წინ ერთი საათით  
ადრე.

ბ რ ო მ ი ზ ო ვ ა ლ ი (ბრომურალი) — Bromisovalum (bromuralum) (B)

ინმარება, როგორც ძილმომგვრელი და დამამშვიდებელი სა-  
შუალება. უნიშნავენ 0,3—0,6 ძილის წინ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,3—0,5 №10 თითო შე-  
კვრაში.

Rp: Bromisovali 0,3  
D t d in tabulettis № 10

S. ერთი ორი ტაბლეტი ძილის წინ ერთი საათით  
ადრე.

კ ა რ ბ რ ო მ ა ლ ი (ადალინი) — Carbromalum (B)

ხმარობენ, როგორც დამამშვიდებელ საშუალებას ნერვული  
სისტემის სხვადასხვა ფუნქციური დაავადების დროს და აგრეთვე  
უძილობის შემთხვევებში. უნიშნავენ 0,3—0,5 ძილის წინ ერთი სა-  
ათით ადრე.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,3—0,5 № 10 თითო შეკვრაში.

Rp: Tabulettae Corbromali 0,5  
D t d № 10

S. თითო ტაბლეტი ძილის წინ ერთი საათით ადრე

ქ ვ ი ე ტ ა ლ ი (—) — Quetatum (B)

ინმარება, როგორც ძილმომგვრელი საშუალება 0,1—0,3 ერთ  
მიღებაზე. ქვიეტალის მიღებისას ძილი იწყება 1/2 საათის შემდეგ  
და გრძელდება 3—4 საათი.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 № 6 თითო შეკვრაში.

Rp: Tabulettae Quetali 0,1  
D t d № 6

S. 1—3 ტაბლეტი ძილის წინ 1 საათით ადრე.

ტ ე ტ რ ი დ ი ნ ი — Tetrudinum (B)

ინმარება, როგორც დამამშვიდებელი და ძილმომგვრელი სა-  
შუალება; ტეტრიდინით გამოწვეული ძილი ახლოსაა ბუნებრივ ძილ-  
თან და ნაკლებად ღრმაა ბარბიტურების მიღებით გამოწვეულ ძილ-  
თან შედარებით. ძილი იწყება პრეპარატის მიღებიდან 20—30 წუ-  
თის შემდეგ და გრძელდება 5—7 საათი.

განსაკუთრებით კარგად მოქმედებს პრეპარატი ცენტრალური  
ნერვული სისტემის ფუნქციის მოშლის დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,2

Rp: *Tabulettae Tetridini* 0.2

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი ძილის წინ 1/2 საათით ადრე.

ფენობარბიტალი (ლუმინალი) *Phenobarbitalum* (B)

აქვს ძილმომკვრელი, ანტისპაზმური და სედატური მოქმედება. იხმარება შიგნით მისაღებად უძილობის დროს და ეპილეფსიის საწინააღმდეგოდ. მცირე დოზებში ლუმინალს იყენებენ ჰიპერტონიული დაავადების დასაწყისი ფორმებისა და სისხლძარღვთა სპაზმებთან დაკავშირებული მოვლენების დროს.

ლუმინალს აძლევენ როგორც ძილმომკვრელს 0,1—0,2—ერთჯერ დღეში, ხოლო როგორც დამამშვიდებელსა და ეპილეფსიის საწინააღმდეგოდ 0,03—0,05 ორჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,05 და 0,1 № 6 თითო შეკრაში.

Rp: *Phenobarbitali* 0.1

D t d № 6 in *tabulettis*

S. ერთი ტაბლეტი ძილის წინ 1/2 საათით ადრე.

ეთამინალნატრიუმი (ნემბუტალი) *Aethaminatum natrium* (B)

იხმარება, როგორც ძილმომკვრელი და დამამშვიდებელი საშუალება, ფსიქიკური აკზნებულობისა და ისტერიის დროს. თავისი მოქმედებით ახლოს დვას ბარბამილთან, მხოლოდ ავადმყოფები მას უფრო კარგად იტანენ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 № 6 უნიშნავენ, როგორც ძილმომკვრელ საშუალებას 0,1—0,2 დღეში ერთჯერ.

Rp: *Aethuminali natrii* 0.1

D t d № 6 in *tabulettis*

S. თითო ტაბლეტი ძილის წინ 1/2 საათით ადრე.

ნოქსირონი — *Noxyrium*

იხმარება, როგორც ძილმომკვრელი და დამამშვიდებელი საშუალება. ბარბიტურატთან შედარებით ნაკლებად აქტიურია, ნოქსირონის მიღებით გამოწვეული ძილი იწყება 20—30 წუთის შემდეგ და გრძელდება 5—6 საათი. პრეპარატი ნაკლებად ტოქსიკურია, ორგანიზმიდან ჩქარა გამოიყოფა.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 № 10. უნიშნავენ შიგნით მისაღებად თითო ტაბლეტს დღეში 15—20 წუთით ადრე დაძინებამდე.

Rp: *Tabulettae Noxyroni* 0,25

D t d № 10

S. 1 ტაბლეტი ძილის წინ 15—20 წუთით ადრე.

სედატური (დამამშვიდებელი) და ნერვული სისტემის  
მაგლოკირებელი საშუალებანი

ბრომის შემცველი პრეპარატები

ადონისი — ბრომით („Adonis — Brom“)

შემადგენლობა: დევსურას ბალახის ფხენილი 0,25

კალიუმის ბრომიდი 0,25

ერთი ტაბლეტის აქტივობა უდრის 12 ბმე.

იხმარება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება, ნერვული აგზნების, უძილობის, ნევროზების, ეპილექსიის და სხვ. დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში (დრაჟე) 20—20 ტაბლეტის რაოდენობით თითო ფლაკონში.

Rp: *Dragée „Adonis — brom“*

D t d № 2)

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ბექტერევის მიქსტურა ტაბლეტებში — *Tabulettae Bechterevi*

შემადგენლობა: დევსურას კონცენტრატი 0,138

კალიუმის ბრომიდი 0,25

კოდეინი 0,006

იხმარება ერთი-ორი ტაბლეტი დღეში, როგორც ნერვული სისტემის დამამშვიდებელი საშუალება (ორი ტაბლეტი ეფარდება ბექტერევის მიქსტურის ერთ სუფრის კოფსს).

გამოშვებულია ფლაკონებში 25—25 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: *Dragée Bechterevi*

D t d № 25

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ბრომქაფური — *Bromcamphorae*

იხმარება, როგორც ნერვული სისტემის დამამშვიდებელი საშუალება, აუმჯობესებს აგრეთვე გულის მოქმედებას.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 № 10; უნიწნავენ თითო ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae Bromcamphorae 0.25

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ბ რ ო მ ნ ა ტ რ ი უ მ ი — Natrium bromatum

ინმარება: აწეული ნერვული აგზნებულობის დროს, ისტერიის, ნევროზების, უძილობის და სხვ. დროს.

გამოშვებულია ამპულებში 10<sup>9</sup>/<sub>6</sub>—10 მლ, № 10 თითო კოლოფში.

Rp: Solutionis Natrii bromati

10%—10 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 5—10 მლ ვენაში შესაშხაპუნებლად დღეში ერთ-ჯერ.

ბ ე ლ ა ს პ ო ნ ი — Bellasponum

შემადგენლობა: ერგოტამინლენის მჟავა 0,0003

რადობელინი 0,0001

ფენობარბიტალი 0,02

პრეპარატი კარგ შედეგებს იძლევა ვეგეტონევროზების და ფსიქონევროზების დროს. სხვა საშუალებებთან ერთად ინმარება შაკიკის, კლიმაქსის, მენიერის, ჰიპერტონიული, ბაზედოვის, ათეროსკლეროზის, ურტიკარიის, კუჭისა და თორმეტკოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების და ქოლეცისტიტების შემთხვევებში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 30—30 ცალის რაოდენობით თითო შეკვრაში.

Rp: Dragée Bellasponi № 30

DS. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.

ბ ე ლ ო ი დ ი — Belloidi (B)

შემადგენლობა: ერგოტოქსინი — 0,3 მგ.

ზმაგას ალკალოიდების ჯამი 0,1 მგ და

ბუტილეთილბარბიტურის მჟავა 0,03 გ.

ბელოიდი ამშვიდებს ვეკეტატორ ნერვულ სისტემას—ამიტომ ინმარება ვეკეტორდისტონიების, ვეკეტონევროზების დროს. კარგად მოქმედებს უძილობის, შაკიკის, ჰიპერთირეოზის და კლიმაქსის შემთხვევებში.

გამოშვებულია აბების სახით 50—100 ცალის რაოდენობით თითო შეკვრაში.



Rp: Dragée Belloïdi № 50

DS თითო აბი 5-ჯერ დღეში.

ანდაქსინი — Andaxinum

პრეპარატი ამცირებს შიშის შეგრძნებას და ადამიანის შინაგან დაჭიმულობას, ცნობიერებისა და აზროვნების დაურღვევლად იხმარება ფსიქონევროზული შიშის, შინაგანი ალერგებისა და გადაღლილობის დროს, დიდ დოზებში იჩენს საძლე და დამამშვიდებელ მოქმედებას.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,2 – 0,4-№: 20 ტაბლეტის რაოდენობით თითო შეკვრაში.

Rp: Tabulettae Andaxini 0.2

D t d № 20

S. ერთ-ორი ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ტრიოქსაზინი — Trioxazinum

ასრულებს ყველა იმ დანიშნულებას, რასაც ანდაქსინი, მაგრამ მასთან შედარებით ნაკლებად ტოქსიკურია.

Rp: Tabulettae Trioxazini 0.3

D t d № 20

S. 2–4 ტაბლეტი დღეში

### ფენოთიაზინის ნაწარმი

ამინაზინი — Aminazinum (E)

ამინაზინს აქვს სედატური მოქმედება, მისი მცირე დოზა იწვევს მშვიდ ძილს. უფრო დიდი დოზა—ხანგრძლივ (16 საათი) და ღრმა ძილს. ამინაზინს ფართო გამოყენება აქვს ფსიქიატრიულ პრაქტიკაში (შიზოფრენიული ავადმყოფების მკურნალობის დროს) აგრეთვე ცირკულარული ფსიქოზების მანიაკალური ფორმის, პრენილიური და ალკოჰოლური ფსიქოზების დროს. იხმარება ნევროზების, ნევროსთენიის, უძილობის, გულისრევის და პირიღებინების (ორსულობა, ზღვისა და ჰაერის ავადმყოფობა) შემთხვევებში და ზოგჯერ ბრონქული ასთმის დროსაც.

ხმარებენ ქირურგიაში ნარკოზული საშუალებების მოქმედების გასაძლიერებლად.

გამოშვებულია: დრაჟე 0,025 – 0,05 და 0,1 № 20 თითო შეკვრაში

და ამპულებში 0,5% — 5 მლ და 2,5% — 1–2 მლ.

უნგრეთში უშვებენ ასეთსავე პრეპარატს „პლეგაზაზინს“ ხელწოდებით.

2. პ. გელბახიანი, ი. თაბაგარი.

Rp: Dragée Aminazini 0.05  
D t d № 20

DS. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp: Solutionis Aminazini 0.5%—5.0  
D t d № 6 in ampulis

S. კუნთებში გასაქეთებლად (5 მლ წინასწარ უნდა გაიხსნას 5 მლ ნოვოკაინის 0,5% ხსნარში).

Rp: Solutionis Aminazini 2.5%—2.0  
D t d № 10 in ampulis

S. ვენაში გასაქეთებლად (1—2 მლ წინასწარ უნდა გაიხსნას 10—20 მლ 40% გლუკოზის ხსნარში).

### პ რ ო პ ა ზ ი ნ ი — Propazinum (B)

ფარმაკოლოგიური თვისებებით პროპაზინი ახლოს დგას ამინაზინთან, იხმარება, როგორც სედატური (დამამშვიდებელი) საშუალება, ამცირებს მოძრაობით აქტივობას, აძლიერებს ხანგრძლიობას და ფექტურობას; საძილე, სანარკოზე და საანესთეზიო საშუალებების მიღებისას კარგ შედეგს იძლევა გულისრევისა და პირღებინების საწინააღმდეგოდ. იხმარება ყველა იმ შემთხვევაში, სადაც მითითებულია ამინაზინის ხმარება, მხოლოდ მოქმედების მხრივ პროპაზინი 2-ჯერ უფრო ნაკლებეფექტურია ამინაზინზე.

პროპაზინი გამოიშვებულება: დრაჟე 0,025, 0,5 № 50 და 2,5%-მდე ამპულებში № 10, თითო შეკვრაში.

Rp: Dragée Propazini 0.025  
D t d № 50

S. თითო დრაჟე 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp: Solutonis Propazini 2.5%—2.0  
D t d № 10 in ampulis

S. 1—2 მლ ვენაში 10—20 მლ გლუკოზის 40% ხსნართან ერთად (ან 0,5% ნოვოკაინის 5 მლ ხსნარში).

### ა კ ტ ე დ რ ო ნ ი — Actedronum (B)

პრეპარატი წარმოადგენს ფოსფატ — 1, ფენილ—2 ამინობროპანს. იყენებენ ფსიქიკური ნევროზების, შიზოფრენიის, ნარკოლეფსიის მკურნალობისათვის, ხმარობენ აგრეთვე გადაღლილობის დროს. საძილე საშუალებებით მოწამელისას და მელანქოლიის დროს. გამოიშვებულება ტაბლეტებში 0,01 №10 და 1 მლ ამპულებში პრეპარატის 0,02 შემცველობით. უნიშნავენ 1—2 ტაბლეტს უზომოზე—

ბოლო კანქვეშ უშხაპუნებენ 0,5 — 1 მლ (კანსაკუთრებულ შემთხვევაში 2 ამპულას).

Rp: *Tablettae Actedroni* 0.01

D t d № 10

S. 1—2 ტაბლეტი უზმოზე.

ბ ე ლ ა ტ ა მ ი ნ ა ლ ი — *Bellataminalum* (B)

შემადგენლობა: ერგოტამინტარტრატი — 0,0003

ფენობარბიტალი — 0,02

ბელადონას ალკალოიდების ჯამი 0,0001.

იხმარება აგზნებადობის მომატების, უძილობის, მენსტრუალური ციკლის მოშლის (ნერვულ ნიადაგზე), ჰიპერთირეოზის, ვეპეტონევიროზების, ეკზემის, ნევროდერმიტების დროს და სხვ.

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეკვრაში 50 ან 100 ცალის რაოდენობით, უნიშნავენ 1 ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae Bellataminali*

D t d № 50

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

და ლ გ ო ლ ი — *Dalgolum*

გამოშვებულია 10 მლ ფლაკონებში — იხმარება ნევროზების და ნერვული წარმოშობის ძილის მოშლის დროს, ბრონქული ასთმის და შიშის შეგრძნების შემთხვევებში. უნიშნავენ 20—30 წვეთს 1/2 საათით ადრე საკმლის მიღებამდე.

Rp: *Dalgoli* 10.0

DS 20 წვეთი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

კ ა მ ფ ა ტ ა ლ ი — „*Camphatalum*“

შემადგენლობა: ბრომკამფორა 0,25

ფენობარბიტალი 0,02

იხმარება ნერვული აგზნების მომატების, ნევრასთენიის და გულის ნევროზის დროს. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae „Camphatalum“*

D t d № 10

S. 1 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ს ტ ე ლ ა ზ ი ნ ი — *Stelazinum* (B)

პრეპარატი წარმოადგენს 3 — ტრიფტორმეთილ—10[3'—] [4"—მეთილ 1—ჰიპერაზინილ]—პროპილ ფენოტიპინს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,001 და 0,005 № 50, ამპულაში 0,001 № 12. ფლაკონებში 114 მლ (კონცენტრატის სახით, 1 მლ შეიცავს პრეპარატის 0,01).

ინმარება ფსიქიატრიულ პრაქტიკაში — შიზოფრენიული მოვლენების მკურნალობის, ცირკულარული ფსიქოზების, მანიაკალური ფორმის, პრესენილური ფსიქოზების დროს. ხმარობენ აგრეთვე ნევროზების, უძილობის, გულისრევისა და პირღებინების (ორსულობა, ზღვისა და ჰაერის ავადმყოფობა) შემთხვევაში.

უნიშნავენ შიგნით მისაღებად 30—40 მგ დღეში კუნთებში 10—15 მგ.

Rp: Stelazini 0,001

D t d № 10 in tabul

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

ტოფრანილი — Tofranilum

გამოშვებულია 2 მლ ამპულაში (შეიცავს პრეპარატის 0,025), თითო კოლოფში 10 ან 50 ამპულა.

ღრაყე ტაბლეტებში — 0,025 №50 და 200.

ინმარება ფსიქასტენიის, ფსიქოპათიის დეპრესიული მდგომარეობის დროს — შიგნით მისაღებად ან კუნთებში შესაშხაპუნებლად.

Rp: Tofranili 0,025

D t d № 50 in tabul

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

ტრანსამინი — Transaminum (B)

პრეპარატი წარმოადგენს ტრანს — 2 ფენილციკლოპროპილამინგოგირდმეყავას მარილს, გამოშვებულია ტაბლეტებში 0,005.

ინმარება ფსიქიატრიაში სხვადასხვა დეპრესიული მდგომარეობის, ფსიქოზის, ნევროზისა და შიზოფრენიის შემთხვევებში — ინდივიდუალურ დოზებში, 15 მგ 2-ჯერ დღეში.

Rp: Transamini 0,005

D t d № 10 in tabul

S. 2—2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

მ. ი. სერეისკის — ეპილეფსიის სამკურნალო ფხვნილი.  
Pul. Sereisky (B)

შემადგენლობა: ფენობარბიტალი 0,1 (0,2)  
ბრომიზოვალი 0,2 (0,3)  
პაპავერინი ჰიდროქლორიდი 0,03 (0,04)  
კოფეინ-ნატრი-ბენზოატი 0,015 (0,02)  
კალციუმის გლუკონატი (0,2)

იხმარება ეპილეფსიის მსუბუქი ფორმების დროს თითო ფხვნილი 2-ჯერ დღეში (ფრჩხილებში მოყვანილი დოზები განკუთვნილია მძიმე დაავადების შემთხვევისათვის).

Rp: Pulveres „Sereisky“

D t d № 10

S. თითო ფხვნილი 2-ჯერ დღეში.

მ ე პ ა ზ ი ნ ი — Mepazinum (5)

ფარმაკოლოგიური მოქმედებით პრეპარატი ახლო დგას ამინაზინთან და პროპაზინთან. მეპაზინი იჩენს სედატურ, პირღებინების საწინააღმდეგო, ნერვული აგზნების დამამშვიდებელ მოქმედებას. აძლიერებს საძილე, სანარკოზე და ტკივილდამაყუჩებელ მოქმედებას.

ფსიქიატრიულ პრაქტიკაში იხმარება ნევროზებისა და შიშის შეგრძნებით გამოწვეული ფსიქოზების სამკურნალოდ.

გამოშვებულია დრაჟე 0,025—0,05 №20 და ამპულებში 2,5<sup>0</sup>/<sub>0</sub> — 1 — 2 მლ

Rp: Mepazini 0.025

D t d № 20 in tabulettis

S. 1—2 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

### ვ) სხვადასხვა დამამშვიდებელი საშუალებანი

რ ე ზ ე რ პ ი ნ ი — Rezerpinum (5)

რეზერპინი ძირითადად იხმარება ჰიპერტონიული დაავადების საწინააღმდეგოდ და ფსიქიატრიულ პრაქტიკაში. ჰიპოტენიზიური მოქმედება ვითარდება თანდათანობით 2—5 დღის განმავლობაში პრეპარატის მიღებიდან. რეზერპინს იყენებენ აგრეთვე თირეოტოქსიკოზების, სხვადასხვა ფსიქოზებისა და შიზოფრენიის დროს.

უმალესი ერთჯერადი დოზაა 0,001 (1 მგ), სადღეღამისო — 0,005 (5 მგ).

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 მგ — 0.25 მგ. №50 და 100 თითო შეკვრაში.

Rp: Tabulettae Rezerpini 0.0001 (1 მგ)

D t d № 50

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ვ. გ. ბ ე ხ ტ ე რ ე ვ ი ს მ ი ქ ს ტ უ რ ა — Mixture Bachterevi

შემადგენლობა: დევსურას ბალახის გამონაცემი 6.0—2000.0  
 ნატრიუმის ბრომიდი  
 კალიუმის ბრომიდი  
 ამონიუმის ბრომიდი  $\text{am}$  4,0  
 კოფეინი 0,12

იხმარება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება. იყენებენ აგრეთვე ეპილექსიის დროს.

უნიშნავენ სუფრის კოვზით 3-ჯერ დღეში.

ი. პ. პავლოვის მიქსტურა — *Mixtura Pavlovi*

შემადგენლობა: ნატრიუმის ბრომიდი 1,0  
 კოფეინ ნატრიუმის ბენზოატი 0,5  
 გამოსდილი წყალი 200,0

იხმარება ნერვული სისტემის დაავადების დროს, უნიშნავენ 1 სუფრის კოვზს 3-ჯერ დღეში. ამავე მიზნით იხმარება პავლოვის ტაბლეტები, რომლის შემადგენლობაშია ნატრიუმის ბრომიდი 0,1

კოფეინ-ნატრიუმის ბენზოატი 0,05

Rp: *Mixtura Pavlovi* 200.0

D. S. სუფრის კოვზით 3-ჯერ დღეში.

ნ ა ნ ო ფ ი ნ ი — *Nanophynum* (B)

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 №10; 2 და 5%, ხსნარი 1 მლ ამპულაში № 10.

იხმარება I და II ხარისხის ჰიპერტონიული დაავადების სამკურნალოდ. უნიშნავენ შიგნით თითო ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში, კანქვეშ ან კუნთებში 1 მლ 2—3-ჯერ დღეში. მკურნალობას აგრძელებენ 2—4 კვირას.

Rp: *Nanophyni* 0.1

D t d № 10 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ო ლ ი ტ ო რ ი ზ ი დ ი — *Olitorisidum* (A)

პრეპარატი წარმოადგენს გრძელნაყოფიანი ჯუთის თესლის გლუკოზიდს — გამოშვებულია ამპულაში 1 მლ № 10 (ამპულა შეიცავს 0,4 მგ). იხმარება გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული უკმარისობის, მიოკარდიუმის ინფარქტის, კარდიოსკლეროზის დროს და სხვ. უშხაპუნებენ ვენაში ხსნარს განზავებულს 1:2500-ზე. 0,5—1 მლ 1-ჯერ დღეში (0,04%/o).

Rp: Olitrosidi 0.0004

D t d № 10 in ampulis

S. 0,04%<sub>0</sub> ხსნარი — 1 მლ 1-ჯერ დღეში 3-  
ნაშ.

პ ა ს ტ ი ნ ა ც ი ნ ი — Pastinacinum (B)

პრეპარატი მიღებულია ძირითეტრას ნაყოფისაგან.

იხმარება სხვადასხვა ფორმის კორონარული უკმარისობის დროს (კორონაროკარდიოსკლეროზი, კორონარონევროზი). უნიშნავენ 1 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში; გამოშვებულია ტაბლეტებში 0,02 № 25

Rp: Pastinacini 0.02

D t d № 25 in tabul

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

პ ი რ ი ლ ე ნ ი — Pirlenum

პრეპარატი წარმოადგენს 1, 22, 66—პენტამეთილპიპეოლინ—  
ტოლუოლსულფონატს. გამოშვებულია ტაბლეტებში 0,005 № 20.

იხმარება I, II და III ხარისხის ჰიპერტონიული დაავადების, პერიფერიულ სისხლძარღვთა სპაზმების (ენდარტერიტი და სხვ.) და კუჭის წყლულის დროს.

უნიშნავენ 1/2—1 ტაბლეტს 4—5-ჯერ დღეში

Rp: Pirelini 0.005

D t d № 20 in tabul

S. თითო ტაბლეტი 4—5-ჯერ დღეში.

რ ა უ ვ ა ზ ა ნ ი — Rauvasan (B)

პრეპარატი წარმოადგენს მცენარე Rauwolfia serpentina-ს  
ალკალოიდების ჯამს. გამოშვებულია დრაჟე 0,0023 № 20; იხმარება ყველა სტადიის ჰიპერტონიული დაავადების დროს, როგორც ურყევი საშუალება სისხლის წნევის დაწევის.

Rp: Dragée „Rauvasan“ 0.0023

D t d № 20 in tabul

S. სქემის მიხედვით (რაუვატინის მსგავსად).

რ ა უ ს ე დ ი ლ ი — Rausedylum (B)

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.1 და 0.25. ამპულებში 0.1 და 0,25 მგ სპეციალური გამხსნელით.

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების შემთხვევებში და ფსიქიატრიულ პრაქტიკაში: წყნებენ აგრეთვე თირეოტოქსიკოზების,

სხვადასხვა ფსიქოზების და შიზოფრენიის დროს. უნიშნავენ თითო  
ტაბლეტს 1--3-ჯერ დღეში.

Rp: Rausedyli 0,0001  
D t d № 50

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ს ი რ ო ტ ი ნ ი ნ ი ს ა ბ ე ბ ი — *Pilulae Sirotinini*

შემადგენლობა -- ქლორალჰიდრატი 3,0  
ბრომქაფური ან კალიუმის ბრომი-  
დი 2,5 ვალერიანის ექსტრაქტი 30 აბის  
მოსამზადებლად.

იხმარება, როგორც ნერვული სისტემის დამამშვიდებელი სა-  
შუალება

Rp: *Pilulae Sirotinini*  
D t d № 30

S. თითო აბი 3-ჯერ დღეში.

დ ე ე ი ნ კ ა ნ ი — *Devincanum*

პრეპარატი იხმარება ყველა სახის ჰიპერტონიული დაავადების  
სამკურნალოდ, განსაკუთრებით I და II სტადიის დროს. იხმარება  
აგრეთვე ნევროგენული ტაქიკარდიის და ვეგეტატიური ნევროზის  
შემთხვევებში.

უნიშნავენ შიგნით მისაღებად 4 — 8 დღის განმავლობაში 0,005  
დღეში 4-ჯერ, ეფექტის მიუღებლობისას დოზას ზრდიან 0,01-მდე  
3 — 4-ჯერ დღეში.

კუნთებში I დღეს 0,5% ხსნარის 1 მლ. შემდგომ კი 1 მლ  
3-ჯერ დღეში ან 2 მლ დღეში 2-ჯერ.

გამოშვებულია: ტაბლეტებში 0,005 და 0,01 № 50.

ამპულებში 0,5% ხსნარის 1 მლ № 50 თითო შეკერაში.

Rp: *Tabulettae Devincani* 0,005  
D t d № 50

S. თითო ტაბლეტი 4-ჯერ დღეში.

Rp: *Solutionis Devincani* 0.5% — 1.0

D t d № 50 in ampulis

S. თითო მილილიტრი 3-ჯერ დღეში.

ა მ ი ზ ი ლ ი — *Amizylum (A)*

ამიზილი იჩენს მრავალმხრივ ფარმაკოლოგიურ მოქმედებას,  
იხმარება ნევროლოგიურ და ფსიქიატრიულ პრაქტიკაში. უნიშნავენ



ასთენიური და ნევროზული რეაქციების დროს. მსუბუქი შიშისა და დეპრესიული მდგომარეობის. ტოქსიკონევროზების, ნეიროდერმიტი-ის და რიგ სხვა შემთხვევებში. ქირურგიულ პრაქტიკაში ამიზილს იყენებენ ავადმყოფის მოსამზადებლად სანარკოზოდ. განსაკუთრებით მიზანშეწონილია მისი გამოყენება ცთომილი ნერვის გაღიზიანებაზე რეაქციის შესუსტების დროს. ოპერაციის შემდეგ ამიზილი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამაწყნარებელი, ქოლინოლიზური და სპაზმოლიზური საშუალება.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,001 — 0,002 (1 — 2 მგ).

Rp: *Tablettae Amizyli* 0,001

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

მ ე პ რ ო ტ ა ნ ი — *Meprostanum* (B)

იხმარება უმთავრესად ნევრო-ფსიქიკური დაავადების სამკურნალოდ. პრეპარატის დამამშვიდებელი მოქმედება უფრო გამოხატულია შიშის შეგრძნების, შინაგანი დაკვიპულობის, ნერვული აგზნების აწევის, ფსიქოზების, ძილის მოშლის შემთხვევებში.

უნიშნავენ 0,2—0,4—3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,4 № 20 თითო შეკვრაში.

Rp: *Tablettae Meprotani* 0,4

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

### ვალერიანას (კატაბალანას) ძირების პრეპარატები

ვალერიანას ძირებისა და ფესურების მოქმედ საწყისად ითვლება ბორნეოლი, ვალერიანის ზეთი და რძული ეთერი ბორნეოლისა და იზოვალერიანის მეთვისა. მას აქვს კარგად გამოხატული სპაზმოლიზური მოქმედება, ამცირებს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებადობას.

ვალერიანასაგან დამზადებული პრეპარატები იხმარება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ნერვული მდგომარეობის დროს, უძილობის, ნევროზების სპაზმური მოვლენების შემთხვევებში და ა. შ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ა ს ძ ი რ ე ბ ი (*Rizoma cum radicibus valerianae*)

Rp: *Rizoma valerianae* 50,0

D S. 5—10 გ გამონაცემის მოსამზადებლად.

იხმარება თითო სუფრის კოვზი 5—5-ჯერ დღეში.

კ ვ ა ტ ე რ ი ს მ ი ქ ს ტ უ რ ა — *Mixtura Quateri*

შემადგენლობა: ვალერიანას ძირებს გამოწაცემ	10,0—200,0
პიტნის ფოთლების გამოწაცემი	4.0
ნატრიუმის ბრომიდი	3.0
მაგნიუმის სულფატი	0.8
ამილოპირინი	0,6
კოფეინნატრიუმის ბენზოატი	0.4

Rp: Mixture Quateri 2x1.0

D S სუფრის კოვზი 2—3-ჯერ დღეში.

ვალკორმიდი — Valocormidum

შემადგენლობა: ვალერიანის ნაყენი	
შროშანას ნაყენი $\frac{aa}{aa}$	10.0
ბელადონას ნაყენი	5,0
ნატრიუმის ბრომიდი	4,0
მენტოლი	0.25
წყალი	3,0

გამოშვებულია მინის ფლაკონებში 30—30 მლ—იხმარება გულის ნევროზის დროს და აგრეთვე, როგორც დამამშვიდებელი საშუალება.

უნიშნავენ 20—25 წვეთს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Guttae „Valocormidum“

D S 20—25 წვეთი 3-ჯერ დღეში.

კუნელას ნაყენი — Tinctura crataegi

გამოშვებულია 15 და 25 მლ მინის ფლაკონებში. იხმარება გულის ფუნქციური მოვლენების, ანგიონევროზების, მოციმციმე არიტმიის და პაროქსიზმული ტაქიკარდიის შემთხვევებში.

Rp: T-rae Crataegi 50

D S 20—30 წვეთი 3—4-ჯერ დღეში.

ვალერიანას ნაყენი — Tinctura Valerianae

გამოშვებულია: 15—25—50 მლ მინის ფლაკონებში.

Rp: Tincturae Valerianae 25.0

D S 20—30 წვეთი 3-ჯერ დღეში

ვალერიანასა და შროშანას ნაყენი — Tinctura Valerianae cum Convallariae

გამოშვებულია 5—5 მლ შემცველობით 10 მლ მინის ფლაკონებში.

**Rp: Tincturae Valerianae**

**Tincturae Convallariae aa 5.0**

**MDS 20—30 წვეთი 3-ჯერ დღეში.**

ვალერიანას ნაყენი ქაფურით — **Tinctura Valerianae cum Camphora (10%)**.

გამოშვებულია 10%—10 მლ მინის ფლაკონებში.

**Rp: Tinctura Valerianae cum**

**camphorae 10%—10.0**

**DS 20—30 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.**

ეთერო-ვალერიანას ნაყენი — **Tinctura Valerianae aetherea**

გამოშვებულია 50 მლ მინის ფლაკონებში.

**Rp: Tincturae Valerianae aetherae 50.0**

**DS 20—30 წვეთი 3-ჯერ დღეში.**

ზელენინას წვეთები — **gutta Zelenina**

შემადგენლობა: ვალერიანას ნაყენი

შროშანას ნაყენი

ბელადონას ნაყენი  $\frac{m}{m}$  2.5

მენტოლი 0.1

გამოშვებულია მინის ფლაკონებში 20—25 მლ რაოდენობით.

**Rp: guttae Zelenini 25.0**

**DS 20—25 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.**

ჩაი დამამშვიდებელი — **Specie Sedativa**

შემადგენლობა: ვალერიანას ძირები

1 წილი.

პიტნის ფოთლები

2 წილი

სამყურას ფოთლები

2 წილი

სეია

1 წილი

გამოშვებულია 100—100 გრამი თითო შეკვრაში.

**Rp: Speciei sedativae 100.0**

**DS 1** სუფრის კოვზი ჩაი უნდა მოიხარშოს ერთ ჩაის კიჭა წყალში — გაცივებისა და გაწუოვის შემდეგ მიღებული უნდა იქნას სუფრის კოვზით 3—4-ჯერ დღეში.

შავბალახა — **Herba Leonuri**

იხმარება გამონაცემის ან ნაყენის სახით, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ნერვული აგზნების დროს, ვულ-სისხლძარღვთა ნევროზის დროს და პიპერტონიული დაავადების საწყის მომენტში. თავისი მოქმედებით შავბალახს ახლოს დგას ვალერიანასთან.

გამოშვებულია: 100—100 გრამი თითო შეკვრაში.

Rp: *Herbae Leonuri* 100,0

DS 2 სუფრის კოვზი ბალახი უნდა მოიხარშოს ჩაის ქიქა წყალში და გაცივებისა და გაწურვის შემდეგ მიღებული უნდა იქნეს 1 სუფრის კოვზი 3—5-ჯერ დღეში.

შ ა ვ ბ ა ლ ა ხ ა ს ნ ა ყ ე ნ ი — *Tinctura Leonori*

გამოშვებულია მინის ფლაკონებში 15—25 მლ. რაოდენობით.

Rp: *Tincturae Leonuri* 25,0

DS 20—30 წვეთი 3—4-ჯერ დღეში.

მ ა გ ნ ი უ მ ი ს ს უ ლ ფ ა ტ ი — (ინგლისური მარილი) *Magnesia Sulfurica*

მაგნიუმის სულფატი იხმარება, როგორც დამამშვიდებელი, სპაზმოლიზური საშუალება. კრუნჩხვების დროს შეჰყავთ კუნთებში 25% ხსნარის 5—10—20 მლ.

პიპერტონიული დაავადების წინააღმდეგ ხმარობენ 25% ხსნარის 5—10—20 მლ. კუნთებში ყოველდღე 2—3 კვირის განმავლობაში.

გამოშვებულია ამპულებში 25% 10 მლ № 10 თითო შეკვრაში

Rp: *Solutionis Magnesium Sulfurici*

25%—10,0

Dtd № 10 in ampulis

S. 5—10 მლ ერთჯერ დღეში კუნთებში.

რ ა უ ნ ა ტ ი ნ ი — *Raunatini* (A)

პრეპარატი იხმარება I და II სტადიის პიპერტონიული დაავადების ხანგრძლივი მკურნალობისათვის. რეზერპინისაგან განსხვავებით, რაუნატინის პიპოტენზიური ეფექტი უფრო ნაზია. წნევის დაქვეითებასთან ერთად უმჯობესდება ავადმყოფის გუნებგანწყობა, ქრება თავის ტკივილი და თავბრუ, უმჯობესდება ძილი, მადა და მალა იწვევს შრომისუნარიანობა.

პრეპარატით მკურნალობას იწყებენ ძილის წინ ერთი ტაბლეტის მიცემით (0,002); შემდეგ დოზებს თანდათან უმატებენ და

მკურნალობის მესამე დღეს აყავთ 5 — 6 ტაბლეტამდე. თერაპიული ეფექტის მიღწევის შემდეგ დოზებს ამცირებენ უფრო ხშირად თითო ტაბლეტამდე, მკურნალობას აგრძელებენ 3—4 კვირას.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,002 (2 მგ).

Rp: *Tabulettae Raunatini 0.002*

*D t d № 50*

S. ერთი ტაბლეტი ღამით; მესამე დღიდან 4—5 ტაბლეტი დღე-ღამეში, შემდეგ ისევ თითო ტაბლეტი ღამით.

ვალოკორდინი — *Valocordin*

ვალოკორდინი შედგება ბრომიზოვალერიანის მჟავას ეთილის ეთერის 2% ხსნარის, 2% ფენილეთილბარბიტურის მჟავას ნატრიუმის მარილის, 0,1% პიტნის ზეთისა, 51,6% ეთილის სპირტისა და გამოხდილი წყლისაგან (ad 100%).

იხმარება, როგორც საგულე, დამამშვიდებელი და სპაზმოლიზური საშუალება, სტენოკარდიული ტკივილის, ტაქიკარდიის დროს და აგრეთვე აწეული აგზნებადობისა და უძილობის შემთხვევებში.

გამოშვებულია ფლაკონებში 25,0 რაოდენობით.

Rp: *Valocordini 25.0*

D S 5—10 წვეთი 2—3-ჯერ დღეში (ტაქიკარდიის დროს უნიშნავენ 20 წვეთს).

მკილმფსიის, კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალებანი

ჰექსამიდინი — *Hexamidinum (E)*

ჰექსამიდინი ქიმიური შემადგენლობით ახლოსაა ლუმინალთან, იხმარება ეპილექსიის წინააღმდეგ. უფრო კარგ შედეგებს იძლევა ძლიერი გულყრების დროს (*grand — mol*) უნიშნავენ პრეპარატს პირველ ორ დღეს 0,125, მესამე დღეს 0,25, შემდეგ დოზას ყოველ 3 — 7 დღეში უმატებენ. სანამ დოზა არ მიაღწევს 0,5 — 1,5 (0,25 — 0,5, 2 — 3-ჯერ დღეში).

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 № 50 თითო შეკვრაში.

Rp: *Tabulettae Hexamidini 0.25*

*D t d № 50*

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

დიფენინი — (*Dipheninum*) (E)

იხმარება ეპილეფსიის საწინააღმდეგოდ. უნიშნავენ 0,1, 2—3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.1 № 10 თითო შეკვრაში.

Rp: *Tablettae Diphenini* 0.1

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ექიმ კარმანოვის ტაბლეტები № 1 და 2 (*Tabletteri Karmanova* (A))

შემადგენლობა: აზოტმჟავა სტრიქნინი	0,001
კოდეინი	0,01
ქაფური	0,017
ლუმინალი	0,1
ნატრიუმის ბრომიდი	0,133
კალციუმის გლიცეროფოსფატი	0,4
ვალერიანის ძიძების ექსტრაქტი ან ფხვნილი	0,042

ტაბლეტები № 2-ში №1-ისგან განსხვავებით ლუმინალი აღებულია 0,05 ნაცვლად 0,1. დანარჩენი შემადგენლობა უცვლელია. პრეპარატი იხმარება ეპილეფსიის სამკურნალოდ.

Rp: *Tablettae Karmanovos* № 1

D t d № 30

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ქლორაკონი — *Chloralconum*

იხმარება ეპილეფსიის წინააღმდეგ 1,0—2,0 3-ჯერ დღეში. გამოშვებულია ტაბლეტებში 0.25 № 50 თითო შეკვრაში

Rp: *Tablettae chloroconi* 0.25

D t d № 50

S. 4—4 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

პარკინსონიზმის სამკურნალო საშუალებანი

დინეზინი — *Dinezinum* (B)

იხმარება პარკინსონიზმის და პარკინსონის დაავადების სამკურნალოდ 0,05—0,1 3—5-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 № 50 თითო შეკვრაში

Rp: *Tablettae Dinezini* 0.1

D t d № 50

S. თითო ტაბლეტი 3—5-ჯერ დღეში.

რიდინოლი — Ridinolum (A)

თერაპიული მოქმედების მიხედვით, რიდინოლი ახლოს დგას ციკლოდოლოთან (არტანი), იხმარება პარკინსონიზმის სამკურნალოდ. პარკინსონის ავადმყოფობისა და ექსტოპირამიდული სისტემის სხვა დაავადებათა დროს, რომელსაც თან ერთვის კენტის ტონუსის ამაღლება და ჰიპერკინეზი.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,001 — 0,005

Rp: *Tablettae Ridinoli 0.005*

*D t d № 50*

S. მკურნალობის პირველი 10 დღის განმავლობაში აძლევენ დღეში 1 ტაბლეტს, შემდგომში დოზა დიდდება 2 ტაბლეტამდე.

მკურნალობის ხანგრძლიობა გრძელდება საშუალოდ 4—6 კვირას.

კარმანოვის მიქსტურა — *Mixtura Karmanovi* (B)

შემადგენლობა: ნატრიუმის ბრომიდი	8,0
კალციუმის ქლორიდი	10,0
კოდეინი	0,2
ადონიზიდი (ან სტროფანტის ნაყენი)	
5 მლ გამობდილი წყალი	200,0

იხმარება ეპილექსიის სამკურნალოდ, უნიშნავენ სუფრის კოვზით 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Mixtura Karmanovi 200,0*

*DS* სუფრის კოვზი 2—3-ჯერ დღეში.

კრასნუშკინის მიქსტურა — *Mixtura Krasnuschkiuy*

შემადგენლობა: ქლორალჰიდრატი	
ნატრიუმის ბრომიდი	$\frac{7}{100}$ 7,0
ვალერიანის ნაყენი	8,0
ადონიზიდი	3,0
ფენობარბიტილ ნატრიუმი	0,25
ომნოპონი	0,05
გამობდილი წყალი	250,0

იხმარება ეპილექსიის დროს, უნიშნავენ 1 სუფრის კოვზს 2—3-ჯერ დღეში (ან ოყნით 50,0—50,0).

Rp: *Mixtura Krasnuschkiuy 250,0*

*DS* სუფრის კოვზი 2—3-ჯერ დღეში.

არტანი (ციკლოდოლი) — Artanum (Cyclodolum) (A)

იხმარება პარკინსონის დაავადების სამკურნალოდ და პარკინსონიზმის ყველა ფორმის დროს, გამოშვებულია ტაბლეტებში. 0,002 და 0,005 №50. უნიშნავენ შივნიით მისაღებად 0,001 პირველ დღეს; შემდგომ დოზებს ზრდიან ყოველდღიური მატებით 0,06—0,01-მდე. ამ დღიურ დოზას აძლევენ 3—4 მიღებაზე დღეში, ჭამის დროს.

Rp: Artani (eye'lodoli — 0.002)

Dtd № 50 in tabul

S. 1/2—1/2 ტაბლეტი 1-ჯერ დღეში ჭამის დროს.

ტროპაცინი — Tropacinum (A)

იხმარება პარკინსონის დაავადების წინააღმდეგ, პარკინსონიზმის მოვლენების შემთხვევებში (ეპიდემიური ენცეფალიტის, ტრავმის შემდეგ), სპაზმური პარეზების და სხვა დაავადების დროს, რომელიც კუნთების ტონუსის აწევით მიმდინარეობს.

უნიშნავენ 0,01 — 0,015 1 — 2-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,01 — 0,015.

Rp: Tabulettae Tropacini 0,01

Dtd № 12

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

ბამაუტკივარებელი. სიცხის დამწევი და ანთიბიოტი  
პროცესების სამკურნალო საშუალებანი

ა) ოპიუმის ჭგუფის პრეპარატები და მათი სინთეზური  
შემცვლელები

ოპიუმი — Opium (A)

ოპიუმი და მისი პრეპარატები იხმარება როგორც გამაუტკივარებელი საშუალება, სხვადასხვა წარმოშობის ძლიერი ტკივილისა და მასთან დაკავშირებული უძილობის დროს, მშრალი ხველისა და სასუნთქი ცენტრის აგზნების შემთხვევაში.

ოპიუმის მარტივი ნაყენი — Tinctura opii simplex (A)

Rp: Tincturae opii simplicis 5,0

D S 5—10 წვეთი 2-ჯერ დღეში.

ოპიუმ ბენზოეს ნაყენი — Tinctura opii benzoica (B)

შემადგენლობა: ოპიუმის მარტივი ნაყენი	50 მლ
ბენზოეს მჟავა	20,0
ჭაფური	10,0
ანისულის ზეთი	5,0



სპირტი 70%, .

1 ლიტრამდე.

შეიცავს მორფინს 0,045-0,055%/.

Rp: Tincturoe opii benzoicae 10.0

D S 20 წვეთი 2-ჯერ დღეში.

ოპიუმის ექსტრაქტი სანთლებში — Suppositoria cum Extracta opii (A)

შემადგენლობა: ოპიუმის ექსტრაქტი	0.01 წილი
ფენოლი	0.0014 წილი
ცხიმოვანი ფუძე	1,385 წილი.

გამოშვებულია მუყაოს კოლოფებში 10—10 სანთლის რაოდენობით, თითო შეკვრაში.

Rp: Suppositorii extracti Opii

D t d № 10

S. თითო სანთელი სწორ ნაწლავში.

კუჭის წვეთები ოპიუმით — guttae stomachicae, guttae gastricum cum Opium (A).

შემადგენლობა: ოპიუმის ნაყენი	1 წილი
პიტნის ნაყენი	2 წილი
აბზინდას ნაყენი	3 წილი
ვალერიანის ნაყენი	4 წილი

გამოშვებულია ფლაკონებში 10 მლ რაოდენობით.

Rp: guttae gastrici cum opii 10.0

D S 15—15 წვეთი 2-ჯერ დღეში.

მორფინი — Morphinum (A)

მორფინი იწვევს პირობით რეფლექსთა დამუხრუჭებას, ტკივილის შეგრძნების შემცირებას, სასუნთქი და ხველების ცენტრების აგზნებადობის დაწევას, იჩენს ძილმომგვრელ თვისებას. ამიტომ იხმარება გამაუტკივარებელ საშუალებად, ტკივილით გამოწვეული უძილობის შემთხვევაში, მშრალი ხველის. გულის უკმარისობასთან დაკავშირებული ძლიერი ქოშინის დროს, ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ ტკივილის საწინააღმდეგოდ.

ქლორწყალბადმჟავა მორფინი — Morphinum hydrochloricum (A)

გამოშვებულ ა ამპულებში 1% — 1 მლ.

Rp: Solutinis Morphini hydrochlorici 1%—1.0

D t d № 10 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ საპირობის დროს.

ომნოპონი (პანტაპონი) *Omniponum s. pantaponium (A)*

ომნოპონი იხმარება იმავე შემთხვევებში, როგორც მორფინი. მორფინთან შედარებით მას ის უპირატესობა აქვს, რომ ნაკლებად ამუხრუჭებს სასუნთქ ცენტრს, არ იწვევს გლუვი კუნთების სპაზმს და უფრო ადვილი ასატანია.

გამოშვებულია 1—2% ხსნარი 1 მლ ამპულაში.

**Rp: Solutionis Omniponi 2%—1.0**

**D t d № 10 in ampulis**

**S. 1 მლ კანქვეშ.**

პრომედოლი — *Promedolum (A)*

თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ძლიერ ახლოს დგას მორფინთან და ომნოპონთან, მნიშვნელოვანია პრეპარატის გამაუტკივარებელი და სპაზმოლიზური თვისებები; იხმარება იმავე შემთხვევებში, რაშიც ომნოპონი.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,025 № 10; უნიშნავენ შიგნით თითო ტაბლეტს 1—3-ჯერ დღეში.

ამპულაში გამოშვებულია 1 და 2% ხსნარი 1 მლ რაოდენობით

**Rp: Solutionis promedoli 2%—1.0**

**D t d № 10 in ampulis**

**S. 1 მლ კანქვეშ.**

**Rp: Tabulettae promedoli 0,025**

**D t d № 10**

**S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.**

ესკოდოლი — *Escodolum (A)*

წარმოადგენს შვა კომბინირებულ პრეპარატს ამპულაში; 1 მლ შეიცავს პრომედოლს 0,02  
სკოპოლამინს 0,0005  
ეფედრინს 0,025

იხმარება ქირურგიულ პრაქტიკაში, როგორც ადგილობრივი და საერთო გამაუტკივარებელი საშუალება.

გამოშვებულია: 1 მლ ამპულაში.

**Rp: Escodoli 1 ml.**

**D t d № 10 in ampulis**

**S. 1 მლ კანქვეშ დღეში ერთჯერ.**

მიზიდოლი — *Mizidolum (A)*

წარმოადგენს მზა კომბინირებულ პრეპარატს ამპულებში; 1 მლ შეიცავს პრომედოლს	0,02
ამინაზინს	0,01
ამიზილს	0,0025

იხმარება ქირურგიულ პრაქტიკაში გამაუტკივარებელ და დამამშვიდებელ საშუალებად როგორც ოპერაციის წინა, ისე შემდგომ პერიოდში.

გამოშვებულია 1 მლ ამპულებში.

Rp: Mizodoli 1 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ დღეში ერთჯერ.

### ამფედოლი — Amphetolum (A)

წარმოადგენს მზა კომბინირებულ პრეპარატს დრაჟეს სახით.

შემადგენლობა: პრომედოლი	0,005
დიმედროლი	0,005
ამინაზინი	0,0025
ჰექსონია	0,0025
ანალგინი	0,1
ფენაცეტინი	0,05

იხმარება როგორც გამაუტკივარებელი და დამამშვიდებელი საშუალება ქირურგიული ოპერაციების დროს; აგრეთვე ნევრალგიისა და თავის ტკივილის შემთხვევაში. უნიშნავენ 2—3 დრაჟეს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Dragee Amphetroli 5,0

D S თითო დრაჟე 2—3-ჯერ დღეში.

### იზოპრომედოლი — Isopromedolum (A)

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,025, აგრეთვე 1 ან 2% ხსნარი 1 მლ ამპულებში; პრეპარატი ქიმიური თვისებებით და შენებით ახლოს დგას პრომედოლთან.

იხმარება, როგორც გაუტკივარების საშუალება. ხმარობენ აგრეთვე გინეკოლოგიურ პრაქტიკაში — მშობიარობის გამაუტკივარებელ და დამაჩქარებელ საშუალებად. უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0,025—0,05 ერთ მიღებაზე, ან კანქვეშ თითო ამპულას.

Rp: Isopromedoli 0.025

Dtd № 10 in tabul

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ლემორანი — *Laemorani* (A)

გამოშვებულია 0,2% ხსნარი 1 მლ ამპულაში. თითო შეკვრაში 10 — 10 ცალი.

იხმარება, როგორც გაუტკივარების საშუალება, უნიწნავენ 1 — 1,5 მლ 2 — 3-ჯერ დღეში.

Rp: *Laemorani* 0,2%—1.0  
D t d № 10 in ampulis

S. თითო ამპულა 2—3-ჯერ დღეში.

### ბ) პირაზოლინის ნაწარმი

ამიდოპირინი (პირამიდონი). *Amidopyrinum* (B).

ამიდოპირინი იხმარება გაუტკივარების საშუალებად და სიცხის დასაწვეად. განსაკუთრებით რევმატული დაავადების დროს. პრეპარატი ფართოდ გამოიყენება მწვავე და ქრონიკული ართრიტის, ნევრალგიების, შაკიკის, მიოზიტების, ქორეასა და თავის ტკივილის შემთხვევებში.

ამიდოპირინი, შედის მთელ რიგ მზა კომბინირებული წამალ-ფორმების შემადგენლობაში, რომლებიც იხმარება, როგორც ტკივილდამაყუჩებელი და სიცხის დამწვევი საშუალებანი.

Rp: *Tablettae Amidopyrini* 0.25  
D t d № 6

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში:

ანაპირინი — *Anapyrinum* (B)

შემადგენლობა: ამიდოპირინი	0,25
ანალგინი	0,25
კოფეინი—ნატრიუმბენზოატი	0,1

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტი.

Rp: *Tablettae „Anapyrinum“*  
D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ამიდოპირინი — ბუტადიონით — *Amidopyrini cum Butadionum* (B).

შემადგენლობა: ამიდოპირინი	0,125
ბუტადიონი	0,125

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: *Tablettae Amidopyrini et*  
*Butadioni aa* 0.125

*D t d* № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ ჰემდეგ.

კოფადინი — *Cofadinum* (B)

*Tablettae „Coffadinum“*

Rp: *Amidopyrini*

*Analginii aa* 0.25

*Coffeini natrio benzoici* 0.1

*C o d e i n i* 0.015

*D t d* № 10 in *tablettis*.

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Amidopyrini*

*Analginii aa* 0.25

*Codcini* 0.015

*Phenobarbitali* 0.01

*D t d* № 10 in *tablettis*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

აპიკოდინი — *Apycodinum* (B)

შემადგენლობა: ამიდოპირინი 0,3

ანალგინი 0,3

კოდეინი 0,015

Rp: *Tablettae „Apycodinum“*

*D t d* № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

პირანალი — *Pyranalum* (B)

შემადგენლობა: ამიდოპირინი

ანალგინი 0,25

Rp: *Tablettae „Pyranalum“*

*D t d* № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

პენტალგინი — *Pentalginum* (B)

შემადგენლობა: ამიდოპირინი

ანალგინი *aa* 0,3

კოფეინი-ნატრიუმბენზოატი 0,05

კოდეინი 0,015

ფენობარბიტალი 0,01

Rp: **Tablettae „Pentalginum“**

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

პ ი რ ო კ ო ფ ე ნ ი — **Pyrocophenum (B)**;

შემადგენლობა: ამილოპირინი

ფენაცეტინი  $\overline{\text{aa}}$  0,25

კოფეინი ნატრიუმბენზოატი 0,05

Rp: **Tablettae „Pyrocophenum“**

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

პ ი რ ა ფ ე ნ ი — **Pyraphenum (B)**

შემადგენლობა: ამილოპირინი

ფენაცეტინი  $\overline{\text{aa}}$  0,25

Rp: **Tablettae „Pyrophenum“**

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ბ ა რ ო ფ ე ნ ი — **Barophenum (B)**

შემადგენლობა: ბარბიტალი

ნატრიუმის ბრომიდი

ფენაცეტინი  $\overline{\text{aa}}$  0,2

იხმარება თავის ტკივილის დროს; აგრეთვე ნევრალგიისა და გაცივებითი ავადმყოფობის შემთხვევაში. უნიშნავენ 1 ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: **Tablettae „Barophenum“**

D t d № 6

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

პ ი რ ა მ ე ი ნ ი — **Pyrameinum (B)**

შემადგენლობა: ამილოპირინი

0,3

კოფეინი

0,03

Rp: **Tablettae „Pyrameinum“**

D t d № 6

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

პ ი რ ა მ ი ნ ა ლ ი — **Pyraminalum (B)**

შემადგენლობა: ამიდოპირინი	0,25
კოფეინი	0,03
ფენობარბიტალი	0,02

Rp: *Tablettae „Pyraminalum“*  
D t d № 6

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ადოფენი — Adofenum (B)

შემადგენლობა: ამიდოპირინი	0.2
ანალგინი	0.2
ფენაცეტინი	0.2
კოფეინნატრიუმბენზოატი	0.05
კოდეინფოსფატი	0.015

Rp: *Tablettae „Adofenum“*  
D t d № 6

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

დიაფენი — Diaphenum (B)

შემადგენლობა: ამიდოპირინი	
ანალგინი	0.25
კოფეინი ნატრიუმბენზოატი	0.05
ფენობარბიტალი	0,02

Rp: *Tablettae „Diaphenum“*  
D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ფენალგინი — Phenalginum (B)

შემადგენლობა: ამიდოპირინი	
ანალგინი	
ფენაცეტინი	0.125

Rp: *Tablettae „Phenalginum“*  
D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

თესამინალი — Thesaminalum (B)

შემადგენლობა: ამიდოპირინი	0.3
თეობრომინი	0,15
სალსრლინი	
ფენობარბიტალი	0.03

Rp: Tabulettae „Thesaminalum“

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2 — 3-ჯერ დღეში

თ ე მ ი ნ ა ლ ი — Theminalum (B)

შემადგენლობა: ამიდოპირინი

თეობრომინი  $\bar{a}a$  0,25

ფენობარბიტალი 0,02

Rp: Tabulettae „Theminalum“

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ა ნ ბ ი ტ ა ლ ი — Anbitalum (B)

შემადგენლობა: ანესთეზინი 0,3

ფენობარბიტალი 0,05

იხმარება — კუჭის ნევროზის, საყლაპავი მილის მგრძნობელობის გადიდების, ზღვისა და ჰაერის ავადმყოფობის დროს;

გამოშვებულია ტაბლეტებში №6 და 10. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3 — 4-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae „Anbitalum“

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ა ნ კ ო ფ ე ნ ი — Ancophenum (B)

შემადგენლობა: ანტიპირინი

ფენაცეტინი  $\bar{a}a$  0,25

კოფეინ—ნატრიუმბენზოატი 0,05

იხმარება ნევრალგიის, შაკიკის, რევმატიზმის, ქორეის და გაცივებითი ავადმყოფობის სამკურნალოდ.

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეკვრაში 6 — 10 ცალის რაოდენობით.

უნიშნავენ თითო ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae „Ancophenum“

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

კ ო ფ ე კ რ ი ს ტ ი ნ ი — Coffecristinum (B)

შემადგენლობა: ეთანსულფონატ ერგოკრიატინი 0,0005

კოფეინი 0,1



იხმარება მიგრენისა და თავის ტკივილის დროს. უნიშნავენ  
1—2 ტაბლეტს 2-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae „Coffeeristinum“*  
*D t d № 10*

S. 1—2 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

კოფეტამინი — *Coffetaminum*

შემადგენლობა: ერგოტამინის ტარტრატი 0.001  
კოფეინი 0.1

იხმარება მიგრენისა და თავის ტკივილის დროს.

Rp: *Tablettae „Coffetaminum“*  
*D t d № 10*

S. 1—2 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

პარაცეტამოლი — *Paracetamolium* (5)

პრეპარატი წარმოადგენს P-აცეტამინოფენოლს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.1, 0.15, 0.2 და 0.5 № 10. იხ-  
მარება, როგორც სიცხის დაძვწევი და გაუტკივარების საშუალება,  
უნიშნავენ 0,3 — 3 — 4-ჯერ დღეში.

Rp: *Paracethamoli 0.3*  
*D t d № 10 in tabul*

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

პლანტაგლუციდი — *Plantagluclidum*

პრეპარატი დამზადებულია მრავალძარღვასაგან და გამოშვე-  
ბულია 100 მლ ქილაში 50.0 რაოდენობით გრანულებში.

იხმარება პიზოანაციდური გასტრიტის, თორმეტკოჯა ნაწლავისა და კუჭის წყლულოვანი დაავადების სამკურნალოდ.

Rp: *Plantagluclidi in granulis 50.0*  
*D S 0.5—1.0 დღეში 3-ჯერ.*

დობრონრავეის წვეთები — *Guttae Dobronravovi*

შემადგენლობა: ვალერიანის ნაყენი 6.0  
პიტნის ნაყენი 1.0  
ეთერი სამედიცინო 3.0

იხმარება, როგორც გაუტკივარების საშუალება.

Rp: *Guttae Dobronravovi 10,0*

D S 15—15 წვეთი თითო მიღებაზე (ხმარების წინ  
უნდა შეინჯღრეს).

სეპას მიქსტურა — *Mixtura Seppi*

შემადგენლობა: ნატრიუმის ბრომიდი	2,0
აღონიზიდი	5,0
ომნოპონი	0,08
პიტნის წყალი	200,0

იხმარება ნერვეული დაავადების დროს, სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

Rp: *Mixtura Seppi* 200 0

DS სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

შარკოს მიქსტურა — *Mixtura Scharko*

შემადგენლობა: ვალერიანას ძირების გამონაცემი	6.0 - 2000,0
ნატრიუმის ბრომიდი	6,0
კოდეინის ფოსფატი ან	0,2
ნატრიუმის ბრომიდის ხსნარი	4.0—180,0
ვალერიანას ნაყენი	
შროშანას ნაყენი $\frac{1}{2}$	10,0
კოდეინის ფოსფატი	0.5

იხმარება, როგორც ნერვეული სისტემის დამამშვიდებელი სა-  
შუალება.

Rp: *Mixtura Scharko*—№ 1—2000,0

DS სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

ბელალგინი — *Bellalginum* (B)

შემადგენლობა: ანალგინი —	
ანესთეზინი $\frac{1}{2}$	0,25
ბელადონას ექსტრაქტი	0,015

Rp: *Tablettae „Bellalginum“*

D t d № 6

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

დიკაფენი — *Dicaphenum* (B)

შემადგენლობა: ანალგინი	
ფენაცეტინი $\frac{1}{2}$	0,25
კოფეინ ნატრიუმბენზოატი	0,05
კოდეინი	0,015

Rp: *Tablettae „Dicaphenum“*  
D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ანდიპალი — „*Andipalum*“

შემადგენლობა: ანალგინი 0,25  
პაპავერინი  
ფენობარბიტალი  
დიბაზოლი  $\frac{1}{100}$  0,02

Rp: *Tablettae „Andipalum“*  
D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ამითესალი — *Amithesalum*

შემადგენლობა: ამილოპირინი 0,3  
თეობრომინი 0,15  
ფენობარბიტალი  
სალსოლინი  $\frac{1}{100}$  0,03

Rp: *Tablettae „Amithesalum“*  
D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

პირაბუტოლი — *Pyrabutolum*

შემადგენლობა: დიოქს—დიფენილ — ბუთილპიროზოლი—  
დინი ფენილ—ბუტაზონი 0,125  
ამილოპირინი 0,125

წარმოადგენს გაუტკივარების, სიცხის დამწვევ და ანთებითი პროცესების საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებას. იხმარება ბენზერევის ავადმყოფობის, პროგრესული ართრიტის, მწვავე და კუნთების რევმატიზმის, ნევრალგიებისა და სხვ. დროს.

გამოშვებულია: ტაბლეტებში 20 და 250 ტაბლეტის რაოდენობით. (უნგრეთში უშვებენ „რეოპირინის“ სახელწოდებით).

ამპულებში 5 მლ № 10 და 50

Rp: *Tablettae „Pyrabutolum“*  
D t d № 20

S. 2—2 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Solutionis Pyrabutoli 5 ml*  
D t d № 10 in ampulis

S. 5 მლ ერთჯერ დღეში.

ანალგინი — Analginum (B)

ანალგინს აქვს ანალგეზიური და სიცხის დამწვევი მოქმედება; პრეპარატი იხმარება როგორც გამაუტკივარებელი და სიცხის დამწვევი საშუალება მწვავე რევმატიზმის, სახსრებისა და კუნთების რევმატული დაავადების დროს, აგრეთვე ნევრალგიების, რადიკულიტი-სა და თავის ტკივილის შემთხვევებში.

უნიშნავენ 0,3 — 0,5 სამჯერ დღეში; კანქვეშ იხმარება 50% — ხსნარის 0,5 — 1 მლ, 1 — 2-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.5 № 10

ამპულაში 50% 1 მლ № 10

Rp: Analgini 0,5

D t d № 10 in tabletis

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Analgini 50%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. თითო ამპულა 1—2-ჯერ დღეში კუნთებში.

კოფალგინი — Cofalginum (B)

შემადგენლობა: ანალგინი

0,3

კოფეინი

0,05

დაფასოებულია 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: Tabulettae „Cofalginum“

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ანტიპირინი — Antipyrinum (B)

პრეპარატი წარმოადგენს ფენილდიმეტილპირაზოლონს; ანტიპირინი იხმარება ნევრალგიების, მიგრენის, რევმატიზმის, ქორეასა და ე. წ. გაცივებითი ავადმყოფობის სამკურნალოდ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 №10

Rp: Tabulettae Antipyrini 0,25

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ბუტადიონი — Butadionum (B)

ფარმაკოლოგიურად ბუტადიონი ხასიათდება ანალგეზიური, სიცხის დამწვევი თვისებებით და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

იხმარება მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული რევმატული პო-

ლიართრიტის შემთხვევაში, ინფექციური. არასპეციფიკური პოლი-  
ართრიტების და ნიკრისიის ქაოსის დროს. იწვევს ტკივილისა და  
სხვა მოვლენების შემცირებას.

პრეპარატს უნიშნავენ 3 — 6-ჯერ კამის შემდეგ ან კამის დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,15 № 10 (უნგრეთში უშვებენ  
„პირაზოლინიდის“ სახელწოდებით).

Rp: *Tablettaa Butadioni 0,15*

*Dtd № 10*

S. თითო ტაბლეტი 4-ჯერ დღეში კამის შემდეგ.

ვეროდონი — *Verodonum* (B)

შემადგენლობა: ამილოპირინი 0.3

ბარბიტალი (ვერონალი) 0.1

იხმარება, როგორც სედატიური, ტკივილდამაყუჩებელი, ძილ-  
მომგვრელი საშუალება. კარგად მოქმედებს მტკივნეული თვითრის-  
დროს.

უნიშნავენ თითო ტაბლეტს 2 — 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,4 № 6

Rp: *Tablettaa „Verodonum“*

*Dtd № 6*

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში ტკივილის დროს.

ნოვომიგროფენი — *Novomigrophenum* (B)

შემადგენლობა: პირამიდონი (ამილოპირინი) 0.2

ფენაცეტინი 0.1

კოფეინი 0,015

ლიმონის მჟავა 0.015

შაქარი 0,1

იხმარება თავის ტკივილის, ნევრალგიის და გაცივების დროს —  
თითო ტაბლეტი 2 — 3-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettaa „Novomigrophenum“*

*Dtd № 6*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

### გ) სალიცილმჟავას ნაწარმი

ასპირინი — *Acidum acetyl salicylicum—Aspirinum*

იხმარება, როგორც გაუტკივარების და სიცხის დამწვევი საშუ-  
ალება, აგრეთვე ნევრალგიის, შაკიკის, ე. წ. გაცივებითი ავადმყო-

ფობის, რევმატიზმისა და რევმატული ეტიოლოგიის დაავადებების შემთხვევებში.

უნიშნავენ 0,25 — 1,0 — 3 — 4-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 — 0,5 № 6

Rp: *Tablettae acidi acetyl salicylici 0.5*

*D t d № 6*

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ასპირინი შედის კომბინირებული ტაბლეტების შემადგენლობაში, რომელთაც ხმარობენ თავის ტკივილის, ნევრალგიისა და გაცივებითი ავადმყოფობის დროს.

აკოფინი — *Acofinum* (B)

შემადგენლობა: ასპირინი 0,25

კოფეინი 0,05

გამოშვებულია ტაბლეტებში 6—6 ტაბლეტის რაოდენობით თითო შეფუთვაში.

Rp: *Tablettae „Acofinum“*

*D t d № 6*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ასფენი — *Asphenum*

შემადგენლობა: ასპირინი 0,25

ფენაცეტინი 0,15

გამოშვებულია ტაბლეტებში 6—6 ცალი თითო შეკვრაში.

Rp: *Tablettae „Asphenum“*

*D t d № 6*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ასკოფენი — *Ascophenum* (B)

შემადგენლობა: ასპირინი 0,2

ფენაცეტინი 0,2

კოფეინი 0,04

გამოშვებულია ტაბლეტებში 6—6 ტაბლეტი თითო შეკვრაში.

Rp: *Tablettae „Ascophenum“*

*D t d № 6*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

სალიცილმჟავა ნატრიუმი — *Natrium salicylicum*

სალიცილმჟავა ნატრიუმს ძირითადად იყენებენ რევმატული დაავადების წინააღმდეგ. კაოგ ეფექტს იძლევა პოლიაროოიტის, მიოზიტების, ნევრალგიების, თავის ტკივილის, ზოგიერთ შემთხვევაში ექსულაციური პლევრიტისა და სხვ. დროს.

გამოშვებულია 0,5 № 30

Rp: Natrii salicylicii 0,5

D t d № 30 in tabulettis

S. თითო ფხენილი 3—4-ჯერ დღეში.

ნოვოცეფალგინი — Novocephalinum (B)

შემადგენლობა: ასპირინი	0,3
ფენაცეტინი	0,2
კოფეინი	0,03

გამოშვებულია ტაბლეტებში 6 — 6 ტაბლეტი თითო შეკვრაში. იხმარება თავის ტკივილის, ნევრალგიური ტკივილისა და სხვ. დროს.

Rp: Tabulettae „Novocephalinum“

D t d № 6

S. თითო ტაბლეტი 2 — 3-ჯერ დღეში.

ციტრამონი — Citramonum (B)

შემადგენლობა: ასპირინი	0.24
ფენაცეტინი	0,2
კოფეინი	0,03
კაკაოს ფხენილი	0,03
ლიმონის მჟავა	0,02
შაქარი	0,5

იხმარება თავის ტკივილის, ნევრალგიისა და გაცივებითი ავადმყოფობის დროს თითო ტაბლეტი 2 — 3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae Citramonum

D t d №6

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

რეოპირინი — Rheopyrinum

იხმარება მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული რევმატული პოლიართრიტების სამკურნალოდ, აგრეთვე არასპეციფიკური პოლიართრიტის დროს, საერთოდ კი იხმარება იმავე შემთხვევებში, რომლებშიც ბუტადიონი.

პრეპარატი შეიცავს ბუტადიონსა და ამიდოპირინს 0.125 რა-  
ოდენობით ტაბლეტებში, ხოლო ამპულებში 0,75 ბუტადიონის ნატ-  
რიუმის მარილს და 0,75 ამიდოპირინს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 და ამპულებში 5 მლ 3%  
ხსნარი № 5.

Rp: *Tablettaa „Rheopyrinum“*  
*D t d № 50*

S. თითო ტაბლეტი 4-ჯერ დღეში.

Rp: *Solutionis „Rheopyrinum“ 5 ml.*  
*D t d № 5 in ampulis*

S. თითო ამპულა დღეში 1-ჯერ (უშხაპუნებენ ნელნელა).

### აცეტანილიდის ნაწარმი

ა ც ე ტ ო ფ ე ნ ი — *Acetophenum (E)*

ქიმიური შენებითა და ფარმაკოლოგიური მოქმედებით ახლოს  
დგას ფენაცეტინთან, რამდენადმე ნაკლებად ტოქსიკურია, იხმარე-  
ბა, როგორც სიცხის დამწევი, გამაუტკივარებელი და ანთებითი  
პროცესების სამკურნალო საშუალება.

იხმარება შიგნით მისაღებად 0,2 — 0,3 -- 0,5 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25

Rp: *Tablettaa Acetopheni 0,25*  
*D t d № 20*

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ფ ე ნ ა ც ე ტ ი ნ ი — *Phenacetinum*

იხმარება სიცხის დასაწევად და ტკივილგამაყუჩებლად (თავის  
ტკივილი, ნევრალგიური ტკივილი და სხვ.)

უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0,2 — 0,5 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25

Rp: *Phenacetini 0,25*  
*D t d № 10 in tabul.*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ფ ე ნ ა ც ე ტ ი ნ ი კ ო ფ ე ი ნ ი თ — *Phenacetinum et coffeinum (E)*

შემადგენლობა: ფენაცეტინი	0,25
კოფეინი	0,05

დაფასოებულია 6—6 ტაბლეტი თითო შეკვრაში.



Rp: *Tabulettae phenacetini* 0,25

*et coffeini* 0,05

*D t d* № 6

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ვენაპიოლინი — 1 და 2 *Venapiolinum* 1 u 2 (5)

პრეპარატი წარმოადგენს ხსნარს განზავებულს 1:1000 და 1:2000—(κφ-1 и κφ-2) ფუტკრის შხამისას ატმის ზეთში. გამოშვებულია 1 მლ ამპულაში. κφ-1 1 მლ შეიცავს 2-3 მე (1 მოქმედების ერთეული უდრის 1 ფუტკრიდან მიღებულ შხამს ანუ 0,0002 — 0,0003). κφ — 2 შეიცავს 8 — 12 მე, შესუსტებულ ფუტკრის შხამს, რაც სიძლიერით შეეფარდება 2—3 მე ვენაპიოლინი 1-ის ხსნარს.

ვენაპიოლინი— 1 იხმარება, როგორც გამაუტკივარებელი და რევმატული ანთებითი პროცესების სამკურნალოდ. ხმარობენ აგრეთვე ნევრალგიების და პლევრიტის შემთხვევებში.

ვენაპიოლინი — 2 იხმარება ალერგიული და სხვა დაავადებების დროს.

Rp: *Venapiolin*—I—1,0

*D t d* № 10 in amp.

S. ექიმის მეთვალყურეობით.

ვიპრაზიდი — *Viprasidum* (A)

პრეპარატი წარმოადგენს სტაბილიზებულ, სტანდარტულ და სტერალურ წყლიან ხსნარს სხვადასხვა შხამიანი გველის ტოქსინებისას.

იხმარება კუნთების რევმატიზმის, მიალგიის, ართრიტის, ლუმბაგოს, იშიაზის და ბრონქული ასთმის დროს. გამოშვებულია 1 და 5 მლ ამპულაში (0,1 მე 1 მლ ქლორნატრიუმის იზოტონურ ხსნარში). თითო შეფუთვაში 1 მლ — 5-5 ცალი და 5 მლ 1 ცალის რაოდენობით, უშხაპუნებენ კანქვეშ ან კუნთებში 0,1 მლ, შემდეგ დოზა აჰყავთ 1 მლ-მდე 7 დღის განმავლობაში:

Rp: *Viprasidi* 1,0

*D t d* № 10 in Ampulis

S. 1 მლ კუნთებში შესაშხაპუნებლად 1-ჯერ დღეში.

ვიპრაქსინი — *Vipraxinum* (A)

წარმოადგენს შხამიანი გველისაგან დამზადებულ პრეპარატს. იხმარება ნევრალგიის, მიალგიების, ართალგიების და ართრიტების დროს, გამოშვებულია 1 მლ ამპულაში № 100.

Rp: *Vipraxini* 1,0

*D t d* № 10 in ampulis

S. ექიმის დარიგებისამებრ.

4. პ. გელბახიანი, ი. თაბაგარი.

## ვირაპინი — Virapin

წარმოადგენს ფუტკრის შხამისაგან დამზადებულ პრეპარატს. იხმარება სახსრებისა და კუნთების ქრონიკული რევმატიზმის დროს.

გამოშვებულია ტუბებში მალამოს სახით—20-20 გრამის რაოდენობით და შეიცავს 3 მგ ფუტკრის შხამს. უნიშნავენ კანზე წასანმელად ავადმყოფს 1/2 ჩაის კოვზს I დღეს 1-ჯერ და თუ ავადმყოფი კარგად გადაიტანს პრეპარატის მოქმედებას შემდეგ 2-ჯერ დღეში — 6 დღის განმავლობაში.

Rp: Unguenti „Virapini“ 20,0

D s 1/2 ჩაის კოვზი კანზე შესაზელად 1—2-ჯერ დღეში.

## ვიპრატოქსი — Vipratoxum (B)

შხამიანი გველისაგან დამზადებული პრეპარატია მალამოს სახით, რომლის შემადგენლობა ასეთია:

შხამიანი გველის ტიქსონი	0,0001
მეთილის სალიცილატი	6,0
სინთეზური ქაფური	3,0
საცხის ფუძე	100,0-მდე.

გამოშვებულია პრეპარატი აგრეთვე 1 მლ ამპულებში 5-5 ცალის რაოდენობით.

იხმარება ნევრალგიის, ართალგიის და მიალგიის დროს. უნიშნავენ კანქვეშ ან კუნთებში. შიგნით 2 მლ თითო შეყვანაზე. 72 საათის შემდეგ დოზას ზრდიან 0,1 მლ-ით (უმალღესი დოზაა 1 მლ, მკურნალობის კურსი 10 ინექცია). მალამოს უსყამენ დღეში 2-ჯერ.

Rp.: Vipratoxi 1,0

D t d № 5 in ampulis

S. 0,2 კანქვეშ 1-ჯერ დღეში.

Rp: Unguenti vipratoxi 50,0

D s კანზე შესაზელად 2-ჯერ დღეში.

## იორდასალამის ნაყენი — Tinctura Paconiae

გამოშვებულია 200 მლ ფლაკონებში, წარმოადგენს იორდასალამის ბალახისა და ფესვების 10% ნაყენს. იხმარება ნერვული მდგომარეობის დროს, როდესაც ავადმყოფი იმყოფება აგზნებულ მდგომარეობაში — უნიშნავენ 30 — 40 წვეთს 3-ჯერ დღეში 30 დღის განმავლობაში.

Rp: Tincturae Paconiae 200,0

D s 40—40 წვეთი 3-ჯერ დღეში.

## სალიცილამიდი — Salicylamidum

პრეპარატი წარმოადგენს სალა ცოლჰჰეას ამიდს. გამოწვებულია ტაბლეტებში 0,25 და 0,5.

ინმარება, ისევე როგორც სხვა სილიცილჰეას პრეპარატები: რევმატიზმის, ალერგიული რეაქციის, მიოზიტის და პოლიართრიტის დროს. უნიშნავენ მწვავე და ზემწვავე რევმატიზმის დროს თითო გრამს 6 — 10-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ, ხოლო გაუტყვიარებისა და სიცხის დაწვეისათვის 0,25 — 0,5 გ დღეში 2 — 3-ჯერ.

Rp: Salicylamidi 0,5  
D t d .N: in tabul

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

## რავკინის მიქსტურა — Mixtura Ravkini

შემადგენლობა: შავბალახას ნაყენი 12,0—200,0  
ნატრიუმის ბრომიდი 3,0 (5,0)  
ბარბიტალ-ნატრიუმი 2,0 (3,0)

ინმარება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება, სუფრის კოვზით 3-ჯერ დღეში.

Rp: Mixtura Ravkini 200,0  
D s სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

## მცენარეული წარმოშობის სიცხის დამწვევი საშუალებანი

### ცაცხვის ყვავილი — Florum Tiliae

ინმარება, სიცხის დასაწევად, როგორც ოფლისმომგვრელი საშუალება.

გამოწვებულია თითო შეკვრაში 100—100,0

Rp: Florum Tiliae 100,0

D s თითო სუფრის კოვზი 1—2 ჭიქა მდულარე წყალში, გაცივებისა და გაწურვის შემდეგ დაილიოს, როგორც ჩაი.

### ჟოლო (ნაყოფი) — Fructus Rubi jdae

შეფუთულია 50—50 გრამი

Rp: Fructus Rubi jdae 50,0

D s 2 სუფრის კოვზ ჟოლოს ხარშავენ 1 ჭიქა წყალში და ღებულობენ 1—2 საათის განმავლობაში.

### ოფლმდენი ჩაი № 1 (Speciei diaphoreticae № 1)

შემადგენლობა: ცაცხვის ყვავილი 1 წილი  
ვირისტერფა 1 წილი

Rp: Speciei diaphoreticae № 1 100,0

D s გამონაცემის მოსამზადებლად.

ო ფ ლ მ დ ე ნ ი ხ ა ი № 2 — Speciei diaphoreticae № 2

შემადგენლობა: ყოლო 2 წილი  
ვირისტერფა 2 წილი  
თავშავას ბალახი 1 წილი

როგორც № 1, ისევე № 2 დაფასოებულია თითო შეფუთვაში 100—100 გ.

Rp: Speciei diaphoreticae № 2 100,0

D s გამონაცემის მოსამზადებლად.

შ ა ე ი მ ო ც ხ ა რ ი — Fructus Ribes nigri

დაფასოებულია თითო შეფუთვაში 100,0—100,0

Rp: Fructus Ribes nigri 100,0

D s ერთი სუფრის კოვზი უნდა მოიხარშოს ერთ კი-  
ქა წყალში და გაცივების შემდეგ მიღებულ იქ-  
ნას 2 მიღებაზე.

ც ე ნ შ რ ა ლ შ რ ი ნ მ რ ვ შ ლ ი ს ი ს ტ ი მ ი ს ა მ ბ ზ ნ ე მ ბ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი

კ ო ფ ე ი ნ ი — Coffeinum (B)

სამედიცინო პრაქტიკაში კოფეინს ფართო გამოყენება აქვს. იგი იხმარება გულ-სისხლძარღვთა სისტემის და სასუნთქი ცენტრის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის, სტენოკარდიის, შაკიკის დროს. მას იყენებენ, როგორც სტიმულატორს ფიზიკური და გონებრივი დაღლილობის დროს, აგრეთვე ძილისპომგვერელ საშუალებად, ხოლო მორფინით მოწამელის შემთხვევებში, იხმარება აგრეთვე როგორც შარდმდენი საშუალება საგულე საშუალებებთან კომბინაციებში. ამავე მიზნით იხმარება კოფეინის სხვა მარილები (პრეპარატები).

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,05

Rp: Tabulettae Coffeini 0,05

D t d № 20

S. ორ-ორი ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

კ ო ფ ე ი ნ — ნ ა ტ რ ი უ მ — ბ ე ნ ზ ო ა ტ ი — Coffeinum natrio benzoicum (B)

გამოშვებულია ტაბლეტებში

0,1 № 6

0,2 № 10

ამპულებში 10% ხსნარი 1 მლ და 20% ხსნარი 1 და 2 მლ

Rp: *Tablettae Coffeini natrio benzoici* 0,2

*D t d № 10*

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

Rp: *Solutionis coffeini natrio benzoici* 20%—1 ml.

*D t d № 10 in ampulis*

S. თითო ამპულა კანქვეშ.

კო რ ა ზ ო ლ ი — *Corazolium* (B)

თავისი მოქმედებით ახლოს დგას ქაფურთან და კოფეინთან, მხოლოდ შეიწოვება უფრო მალე და ასევე ჩქარა გამოდის ორგანიზმიდან, იხმარება გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და სუნთქვის სასტიმულაციოდ. იხმარება აგრეთვე ნარკოზის შესაწყვეტად ან შესამკირებლად. ფსიქიატრიაში იხმარება კრუნჩხვითი თერაპიის ჩასატარებლად შიზოფრენიის წინააღმდეგ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1

ამპულებში 10% ხსნარი 1 მლ № 10

Rp: *Tablettae corazoli* 0,1

*D t d № 10*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Solutionis corazoli* 10% 1 ml.

*D t d № 10 in ampulis*

S. კანქვეშ (კუნთებში) თითო ამპულა 1—2-ჯერ დღეში.

კო რ დ ი ა მ ი ნ ი — *Cordiaminum* (B)

პრეპარატი თავისი მოქმედებით ახლო დგას ქაფურთან და კორაზოლთან. იგი იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულაციას, სასუნთქი ცენტრის აგზნებას და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ტონუსის მომატებას.

უნნიშნავენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის დროს, სუნთქვის სასტიმულაციოდ ინფექციურ დაავადებათა შემთხვევებში, მწვავე ასფიქსიის, კოლაფსის, ნარკოზული ნივთიერებებით, მორფინით, ნახშირორჟანგით მოწამელის და ახალშობილთა ასფიქსიის დროს.

ამღვევენ შიგნით მისაღებად 20—25 წვეთს 2—3-ჯერ დღეში ან ევენაში 1 მლ 1—2-ჯერ დღეში.

კორდიამინი წარმოადგენს ნიკოტინის მკავეს დიეთილამიდის 25% ხსნარს. გამოშვებულია 25% ხსნარი მინის ფლაკონებში 10—20 და 30 მლ რაოდენობით.

ამპულებში 1 და 2 მლ.

Rp: Cordiamini 10,0

Ds. 20—25 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Cordiamini 1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. თითო ამპულა 1—2-ჯერ დღეში კანქვეშ.

ლობელინი — Lobelinum (B)

მელიცინაში გამოყენებულია ქლორწყალბადმეყავა ლობელინის მარილი (Lobelinum hydrochloricum).

იხმარება, როგორც სასუნთქი ცენტრის სტიმულატორი, ამ ცენტრის მწვავედ განვითარებული უკმარისობის დროს, ახალშობილთა ასფიქსიის, სანარკოზე საშუალებათაგან მოწამვლის შემთხვევებში.

დიდ დოზებში ლობელინი იწვევს პირღებინების ცენტრის აგზნებას, გულის დამბლას, სუნთქვის დათრგუნვას და კრუნჩხვებს.

გამოშვებულია 1 მლ 1% ხსნარი ამპულაებში.

Rp: Solutionis lobelini hydrochlorici 1%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 0,5—1 მლ კანქვეშ.

ქაფურის 20% ხსნარი ატმის ზეთში—Oleum Camphoratum 20%.

იხმარება: გულის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის დროს, სასუნთქი და სისხლის მიმოქცევის ცენტრების სასტიმულაციოდ, კრუპოზული პნევმონიის და სხვა ინფექციური დაავადების შემთხვევაში, იხმარება აგრეთვე ნარკოზული და საძილე საშუალებები მოწამვლის დროს.

გამოშვებულია ამპულაებში 1 და 2 მლ

Rp: Solutionis Camphorae oleosae 20%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. თითო ამპულა დღეში 2—3-ჯერ კანქვეშ.

აზოტმეყავა სეკურიინი — Securinum nitricum (A)

აზოტმეყავა სეკურიინი ალაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, განსაკუთრებით ზრდის ზურგის ტვინის რეფლექსურ აგზნებადობას, რის გამოც იყენებენ ასთენიური მდგომარეობის, ნერვასთენიის, გადაღლილობის, გულის მოქმედების შესუსტების, პარეზებისა და დამბლის, ნერვულ-ფუნქციურ ნიადაგზე წარმოშობილი სქესობრივი უძლურების შემთხვევებში და სხვ.

უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0,4% ხსნარის 10—20 წვეთს 2—3-ჯერ დღეში. კანქვეშ შეჰყავთ 0,2% ხსნარის 1 მლ ერთჯერ დღეში.

გამოშვებულია 0,4% ხსნარი ფლაკონებში 20 მლ რაოდენობით და 0,2% ხსნარი ამპულებში 1 მლ № 6.

Rp: Solutionis Securini nitrici 0,4%—20,0

D s. 10—20 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Securini nitrici 0,2%—1 ml.

D t d № 12 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ დღეში ერთჯერ.

აზოტმჟავა სტრიქნინი — Strychninum nitricum (A)

იხმარება, როგორც ტონუსის ამწვევი საშუალება საერთო სისუსტის დროს და გრძნობითი ორგანოების (ამახვილებს მხედველობას. სმენას, გემოვნებას და სხვ.) და ნივთიერებათა ცვლის სტიმულატორად. ხმარობენ აგრეთვე დაღლილობის, ჰიპოტონიური დაავადების, მიოკარდიუმის მუშაობის შესუსტების, პარეზების და ატონიის დროს.

გამოშვებულია ამპულებში 0.1 ხსნარი 1 მლ უნიშნავენ თითო ამპულას 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Strychnini nitrici 0,1%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ 2—3-ჯერ დღეში.

ციტიტონი — Cytitonum (B)

პრეპარატი თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ახლოს დგას ლობელინთან. უნიშნავენ სასუნთქი და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედების შესუსტების, ინტოქსიკაციის და ინფექციების დროს; შოკური მდგომარეობის, კოლაფსის, ახალშობილთა ასფიქსიის შემთხვევებში. ციტიტონს იყენებენ აგრეთვე სისხლშიმოქცევის სისწრაფის გამოსაკვლევად.

გამოშვებულია ამპულებში 0.15% ხსნარი 1 მლ, უნიშნავენ კუნთებსა და ვენაში 1 მლ რაოდენობით.

Rp: Cititoni 1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 1 მლ ვენაში შეყვანით.

ჟენ-შენი — Radix Ginsengi

ჟენ-შენს აქვს ტონუსის ამწვევი და მასტიმულირებელი თვისება, იხმარება ჰიპოტონიის, დაღლილობისა და გადაღლის, ნევრასთენიის და ამის შედეგად სქესობრივი უნარის შესუსტების შემთხვევაში.

გამოშვებულია დრაჟე (ტაბლეტები) 0,15 № 50 და ნაყენის სახით 50 მლ ფლაკონებში.

Rp: Dragee Ginsengi 0,15

Dtd № 50 i

S. თითო დრაჟე 3-ჯერ დღეში ჭამის წინ (40 50 წუთით ადრე).

Rp: Tincturae Ginsengi 50.0

D s. 15—25 წვეთი 3-ჯერ დღეში.

იპრაზიდინი — Iprazidum (5)

იხმარება ფსიქოთერაპიაში — დეპრესიებისა და ნარკოლეფსიების დროს, გადაღლის, შიზოფრენიის, ჰიპოტონიისა და ასთენიური მდგომარეობის შემთხვევებში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,025 — 0,05, უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3—4-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae Iprazidi 0,025

Dtd № 20

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

არალიის ნაყენი — Tinctura Araliae

იხენს ცენტრალური ნერვული სისტემის მასტიმულირებელ თვისებას. იხმარება ჰიპოტონიის, დეპრესიული მდგომარეობისა და ასთენიის შემთხვევებში 30 — 40 წვეთი 2 — 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ფლაკონებში 50 მლ.

Rp: Tincturae Araliae 50.0

D s. 30—40 წვეთი 2--3-ჯერ დღეში.

Tinctura Echinopanax

იხმარება, როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის მასტიმულირებელი საშუალება. ასთენიისა და დეპრესიების შემთხვევებში და ჰიპერტონიის დროს.

გამოშვებულია ფლაკონებში 50 მლ რაოდენობით. უნიშნავენ 30—40 წვეთს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Tincturae Echinopanax 50,0

D s. 30—40 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

ჩინური ლიმონურა — Tinctura Schizondrae chinensis

იხმარება ნერვული სისტემის სტიმულაციისათვის, პრეპარატი ამცირებს დაღლილობის შეგრძნებას და ძილის მოთხოვნილებას, ამაღლებს შრომისუნარიანობას. იწვევს ძალღონის მომატებას, სიმხსნეის შეგრძნებას. ამიტომ იხმარება ფიზიკური და გონებრივი შრომით გადაღლის დროს და სხვ.



გამოშვებულია ფლაკონებში 50 მლ რაოდენობით. უნიშნავენ 20—30 წვეთს ორ-სამჯერ დღეში.

Rp: Tineturæ Schizandree chinensis 50,0

D s. 20—30 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

პანტოკრინი — Pantocrinum

იხმარება, როგორც ტონუსის ამწევი საშუალება გადაღლის. ნევრასთენიის, ნევროზების, ჰიპოტონიისა და ასთენიური მდგომარეობის შემთხვევებში.

გამოშვებულია ფლაკონებში 30—50 მლ რაოდენობით და ამპულაებში 1 მლ № 6. უნიშნავენ შიგნით მისაღებად 20—30 წვეთს 2—3-ჯერ დღეში. კანქეშ 1—2 მლ დღეში.

Rp: Pantocrini 50,0

D s. 20—30 წვეთი 2—3-ჯერ დღეში კამის წინ.

Rp: Pantocrini 1 ml.

D t d № 12 in ampulis

S 1 მლ კანქეშ, დღეში ერთჯერ.

ფენამინი — Phenaminum (A)

ფენამინი იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებას, რის გამოც იხმარება კუნთებისა და ნერვულ მოქმედებათა სტიმულაციისათვის; პრეპარატს იყენებენ დეპრესიების, ნარკოლეფსიების და საზოგადოდ იმ დაავადებათა საწინააღმდეგოდ, რომელთაც ახასიათებს ძილად მივიარდნა და მოდუნება. აპათიის, ასთენიის და აგრეთვე ნარკოზული და ძილმომგვრელი ნივთიერებებით მოწამვლის შემთხვევებში.

პრეპარატს ხმარობენ პროფილაქტიკური მიზნითაც, როდესაც მოსალოდნელია ხანგრძლივი ფსიხელი მუშაობა.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.01 № 5, — უნიშნავენ თითო ტაბლეტს 1—2-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettæ Phenamini 0,01

D t d № 5

S. 1/2—1 ტაბლეტი 1—2-ჯერ დღეში.

ფენატინი — Phenatinum (A)

ფენატინი (თავისი მოქმედებით ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე) ახლო დგას ფენამინთან. იგი არ იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას. რითაც სარგებლობენ და ჰიპერტონიული დაავადების შემთხვევებში საჭიროების დროს ფენამინის ნაცვლად უნიშნავენ ამ პრეპარატს.

იხმარება. აგრეთვე ყველა იმ შემთხვევაში, როცა შითითებულია ფენამინის ხმარება.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.05 № 10, უნიშნავენ თითო ტაბლეტს 1 — 3-ჯერ დღეში.

Rp: *Tabletæ Phenatini* 0.05

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 1—3-ჯერ დღეში.

ლევზეიას ნაყენი და თხევადი ექსტრაქტი — *Tinctura et Extractum Leuseae Carthamidis*

იხმარება, როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის ამგზნები ფიზიკური და გონებრივი გადაღლილობის დროს, ორგანიზმის მასტიმულირებელ საშუალებად.

გამოშვებულია ფლაკონებში 40 მლ რაოდენობით.

Rp: *Extracti Leuzææ fluidi* 40,0

D s 20—30 წვეთი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

პერვინი — *Pervitinum* (A)

პრეპარატი წარმოადგენს 1 ფენილ 2 მეთილ ამინოპროპანს; გამოშვებულია ტაბლეტებში 0,003 № 20.

ქიმიური სტრუქტურით და ფარმაკოლოგიური თვისებებით ახლოსაა ფენამინთან, მაგრამ უფრო ტოქსიკურია.

იხმარება ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულაციისათვის, ამცირებს დაღლილობის შეგრძნებას, ამიტომ პრეპარატს ხმარობენ პროფილაქტიკური მიზნითაც, როცა (საჭიროა და) მოსალოდნელია ხანგრძლივი ფიზიკური მუშაობა. ამაღლებს შრომისუნარიანობას და აძლევს სიმხნევის შეგრძნებას. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Pervitini* 0,003

D t d № 20 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ცენტედრინი — *Centedrinum* (A)

წარმოადგენს მეთილპიპერიდილფენილაცეტილპიდროქლორიდს (ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულიატორს).

იხმარება გადაჭარბებული გადაღლის, აპათიის და მეხსიერების შესუსტების შემთხვევებში 1—2 ტაბლეტი დღეში (სალამოს 4 საათის შემდეგ არაა რეკომენდებული პრეპარატის მიღება, რათა გამოწვეული არ იქნეს უძილობა).

Rp: *Centedrini* 0.41

D t d № 50 in tabul

S. თითო ტაბლეტი 1—2-ჯერ დღეში.

## პარასიმპათიკურ ნერვებზე მოქმედი საშუალებანი

### პარასიმპათიკური ნერვების ამგზნები საშუალებანი

აცეტილქოლინის ქლორიდი — *Acetylcholinum chloratum* (B)

აცეტილქოლინქლორიდი ატროპინის ანტაგონისტია და მისი საწინააღმდეგო ფარმაკოლოგიური მოქმედება ახასიათებს. იხმარება, როგორც პარასიმპათიკური ნერვული სისტემის ამგზნები საშუალება.

გამოშვებულია 5 მლ ამპულებში და შეიცავს 0,1—0,2 პრეპარატისას მშრალი სახით.

Rp: *Acetylcholini chlorati* 0,2

Dtd № 10 in ampulis

S. 1 ამპულა უნდა გაიხსნას 1—2 მლ გასტერილვებულ გამოხდილ წყალში და გაუკეთდეს კანქვეშ 0,5—1 მლ ერთჯერ დღეში.

ბენზამონი — *Benzamonum* (A)

იხმარება გლაუკომის სამკურნალოდ, საგრძნობლად სწევს თვალის შინაგან წნევას და იწვევს გუგის შევიწროებას.

Rp: *Solutionis benzomoni* 10%—10,0

DS. 1—2 წვეთი 3—4-ჯერ დღეში.

კარბოქოლინი — *Carbocholinum* (A)

ქიმიური შენებითა და ფარმაკოლოგიური მოქმედებით კარბოქოლინი ახლოს დგას აცეტილქოლინთან. იხმარება ნაწლავებისა და შარდის ბუშტის ტონუსის შემცირებისას, განსაკუთრებით ოპერაციის შემდგომ პერიოდში. ჰიპერტონიული დაავადების ადრეულ პერიოდში, გლაუკომის, ტაქიკარდიის შეტყვისა და მშობიარობის მოქმედების სტიმულირებისათვის.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,001 და ამპულებში 0,01—0,025% 1 მლ, უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0,001 ერთჯერ დღეში ან კანქვეშ თითო ამპულას დღეში ერთჯერ.

Rp: *Tablettae Carbocholini* 0,001

Dtd № 6

S. თითო ტაბლეტი 1—2-ჯერ დღეში.

Rp: *Solutionis carbocholini* 0,01% 1 ml.

Dtd № 6 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ ერთჯერ დღეში.

ქოლინესთერაზას შემავარაგებელი თვისების  
საშუალებანი

არმინი — Arminum (A)

სინთეზური, მიოზური დაავადების და გლაუკომის საწინააღმდეგო საშუალებაა — იხმარება გლაუკომის დროს და საერთოდ გუგის შევიწროების საჭიროების შემთხვევაში (ბროლის ამოვარდნის, რქოვანას გახვრეტის და სხვ.).

გამოშვებულია ფლაკონებში 0.005% ხსნარი 10—10 მლ რაოდენობით. უნიშნავენ 1—2 წვეთს 2-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Armini 0,005% — 10,0

D s. 1—2 წვეთი 2-ჯერ თვალში.

გალანთამინი ბრომწყალბადმქვეა — Galanthaminum hydrobromicum (A)

ფარმაკოლოგიური მოქმედებით პრეპარატი ახლოს დგას ფიზოსტიგმინთან.

იხმარება მიასთენიის, მიოპათიის, პოლიომიელიტის შედეგად დარჩენილი მოვლენების დროს და შეგრძნებისა და მოძრაობის მოშლის შემთხვევებში, რომელიც დაკავშირებულია ავადმყოფობასთან ან ნერვული სისტემის ტრავმულ დაზიანებასთან. ხმარობენ აგრეთვე რადიკულიტის დროს.

გამოშვებულია ამპულებში 0.25 — 0,5 და 1% ხსნარი 1 მლ № 10 და 100. უნიშნავენ კანქვეშ 0,25% — 1% ხსნარის 1 მლ 1—2-ჯერ დღეში .

Rp: Solutionis Galanthamini hydrobromici

1%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 0,5 მლ კანქვეშ ერთჯერ დღეში.

ოქსაზილი — Oxazylum (A)

იხმარება მიასთენიისა და მიოზური დაავადების შემთხვევებში. გამოშვებულია ტაბლეტებში 0,001, 0,005 და 0,01 № 50.

Rp: Tabulettae oxazyli 0,005

D t d № 50

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში. შემდეგ დოზას თანდათანობით უმატებენ 0.01-მდე, სასურველი ეფექტის მიღებამდე.

პიროფოსი — Pyrophos (A)

თავისი თვისებების და მოქმედების მექანიზმით პრეპარატი ახლოს დგას ფოსფაკოლთან და არძინთან, ამიტომ პიროფოსი, ისე როგორც აღნიშნული პრეპარატები. იხმარება მიოზური დაავადებისა და გლაუკომის დროს. მკურნალობაში იხმარება 0,01% ატმის ზეთიანი ხსნარი. გამოშვებულია 0.01% — ხსნარი 10 მლ რაოდენობით, იხმარება 2—2 წვეთი 2—3-ჯერ დღეში მტკივან თვალში.

Rp: Solutionis Pyrophosi 0,01%— 10 ml.

D s 2—2 წვეთი 2-ჯერ დღეში მტკივან თვალში.

პ რ ო ზ ე რ ი ნ ი — Proserinum (A)

პრეპარატი წარმოადგენს კურარის მსგავსი პრეპარატების ანტაგონისტს. თავისი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ახლოს დგას ფიზოსტიგმინთან.

იხმარება მიასთენიის, ტვინის ტრავმის შედეგად გამოწვეული მოძრაობის მოშლისას, დამბლის ტუბერკულოზური მენინგიტის აღდგენითი პერიოდის დროს, პოლიომიელიტის, ენცეფალიტის, მხედველობითი ნერვის ატროფიის შემთხვევებში და აგრეთვე ნშობიარობის მოვლენების სტიმულაციისათვის.

გამოშვებულია ამპულაში 0,05% ხსნარი 1 მლ № 10 და 100. იხმარება თითო ამპულა 1—2-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Proserini 0.05%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. თითო ამპულა კანქემ 1—2-ჯერ დღეში.

ფ ო ს ფ ა კ ო ლ ი — Phosphacolum (A)

იხმარება გლაუკომისა და მიოზური დაავადების დროს. 1—2 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია 0,02% ხსნარი ფლაკონებში 10 მლ რაოდენობით.

Rp: Solutionis Phosphacoli 0,02%—10,0

D s. 2—2 წვეთი 2-ჯერ დღეში.

### უმთავრესად ქოლინოორეაქტიულ სისტემაზე მოქმედი საშუალებანი

ან უ ზ ო ლ ი — Anuzolum (B)

სანთელის შემადგენლობა: შმაგას გამონაწვლილი	0,02
ქსეროფორმი	0,1
თუთიის სულფატი	0,05
გლიცერინი	0,12
ცხიმის ფუძე	2,0

იხმარება, როგორც გამაუტკივარებელი საშუალება. გამოყენება აქვს ბუასილით გამოწვეული დაავადების დროს.

გამოშვებულია სანთლებში თითო შეკვრაში 10—10 ცალის რაოდენობით.

Rp: Suppositorii Anusolum

D t d № 10

S. თითო სანთელი სწორ ნაწლავში ძილის წინ.

ასთმატოლი — Asthmatolum (B)

შემადგენლობა: ლენცოფას ფოთლები	1 წილი
ბელადონას (შმაგას) ფოთლები	2 წილი
ლემას ფოთლები	6 წილი
ნატრიუმის ნიტრატი	1 წილი.

იხმარება ბრონქული ასთმის შეტევის საწინააღმდეგოდ (გამომწვებულია სიგარეტების სახითაც)

გამოშვებულია თითო შეფუთვაში 50—50 გ რაოდენობით.

Rp: Specei Asthmatolum

D s. 1/2 ჩაის კოვზი ფხვნილი უნდა დაიწვას და შეისუნთქოს.

ანტასტმანი — Antasthmanum (B)

შემადგენლობა: ამიდოპირინი	0,2
ფენაცეტინი	0,2
თეოფილინი	0,1
კოფეინი	0,05
ბელადონას ექსტრაქტი	0,01
ლობელინის ფოთლების ფხვნილი	0,09
ეფედრინი	0,02
ლუმინალი	0,02

იხმარება, როგორც პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება ბრონქული ასთმის წინააღმდეგ.

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეკვრაში 12—12 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: Tabulettae Antastman

D t d № 12

S. თითო ტაბლეტი დღეში 1—2-ჯერ.

გოგირდმჟავა ატროპინი (ატროპინის სულფატი) — Atropinum Sulfuricum (A)

ატროპინი ამცირებს ჭირკვლების სეკრეციულ ფუნქციას, ადუბებს გლუვი კუნთების ტონუსს (სპაზმს), აფართოებს თვალის გუ-

ჯას. მოქმედებს გულის მუშაობაზე. ასეთი თვისებების გამო ატროპინის გოგირდმჟავა მარილი იხმარება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს. ქრონიკული მკავე გასტრიტის შემთხვევებში. პილორუსის სპაზმის საწინააღმდეგოდ. ქოლეცისტიტების, ქოლელითიაზის და სხვა ორგანოების კენჭოვანი დაავადების დროს. კარგად მოქმედებს ბრონქული ასთმის წინააღმდეგ. ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაში იხმარება თვალში ჩასაწვეთებლად გუგების ხანგრძლივი გაფართოების მიზნით და აგრეთვე თვალის ზოგიერთი დაავადების საწინააღმდეგოდ (ირიტი, კერატიტი და სხვ.). პრეპარატს იყენებენ ოფლის გაძლიერებული გამოყოფის წინააღმდეგ. ხმარობენ აგრეთვე აცეტილქოლინით. მორფიუმითა და სხვა ანალგეზიური საშუალებებით მოწამელის დროს.

გამოშვებულია ამპულებში 1 მლ 0,1% ხსნარის სახით.

Rp: Solutionis Atropini Sulfurici

0.1%—1 ml.

Dt d №10 in ampulis

S. 0,5—1 მლ კანქეშ, 1—2-ჯერ დღეში.

ა ე რ ო ნ ი — Aëronum (B)

შემადგენლობა: ქაფურის მკავე სკოპოლამინი	0,0001
ქაფურისმკავე ჰიოსცინამინი	0,0004
შაქარი	0,08

აერონი თავისი მოქმედებით აქლოს დგას ატროპინთან, ამცირებს პირღებინების ცენტრის აგზნებადობას და ლორწოვანი გარსისა და სანერწყვე ჯირკვლის სეკრეციას.

იხმარება გემითა და თვითმფრინავით მოგზაურობის დროს, გულისრევის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით, იყენებენ აგრეთვე მენიერის დაავადების დროს.

გამოშვებულია 0,1 №10 ტაბლეტებში. უნაშნავენ თითო ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში

Rp: Tabulettae „Aëronum“

Dt d № 10

S. 1—2 ტაბლეტი 1/2—საათით ადრე სასურველი ეფექტის მიღებამდე.

ბ ე კ ა რ ბ ო ნ ი — Becarbonum (B)

შემადგენლობა: ბელადონას (შმაგას) ექსტრაქტი	0,01
ნატრიუმის ბიკარბონატი	0,3

იხმარება როგორც გამაუტკივარებელი საშუალება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებისა და ქოლეცისტიტების დროს.

გამოშვებულია 6—6 ტაბლეტის რაოდენობით თითო შეკვრაში.

Rp: *Tablettae „Becarbonum“*

*D t d № 6*

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ბესალოლი — *Besalolum (B)*

შემადგენლობა: ბელადონას (შმაგას) ექსტრაქტი 0,01  
ფენილსალიცილატი (სალოლი) 0,3

გამოშვებულია თითო შეკვრაში 6—6 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: *Tablettae „Besalolum“*

*D t d № 6*

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ბეთიოლი — *Bethiol*

1 სანთელი შედგება: ბელადონას (შმაგას) ექსტრაქტი 0,015 გ.  
იქთიოლი 0,2

ცხიმოვანი ფუძე 1,18

იხმარება, როგორც გამაუტკივარებელი საშუალება ბუასილის დროს.

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 სანთელი.

Rp: *Suppositorii „Bethiol“*

*D t d № 10*

S. თითო სანთელი სწორ ნაწლავში ძილის წინ.

კორბელა — *Tablettae Corbella (B)*

იხმარება პარკინსონის დაავადების დროს. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 1-ჯერ დღეში ძილის წინ. შემდეგ დოზას ზრდიან 3—4 ტაბლეტამდე დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში. თითო ტაბლეტი შეიცავს 0,01 ბელადონას ფესვების ალკალოიდების ჯამს.

Rp: *Tablettae Corbella*

*D t d № 50*

S. თითო ტაბლეტი ძილის წინ, შემდეგში უნდა გაიზარდოს დოზები სასურველი ეფექტის მიღებამდე.

ბევისალი — *Bevisalum (B)*

შემადგენლობა: ბისპუთის ფუძე ნიტრატი 0,25  
ფენილსალიცილატი (სალოლი) 0,025  
ბელადონას ექსტრაქტი 0,015.



Rp: Tabulettae „Bevisalum“

Dtd № 10

ს. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

მ. ტ რ ა ს კ ო ვ ა ს მ ი ქ ს ტ უ რ ა — Mixture Traskovi

შემადგენლობა: კინკრის ფოთლები	32,0
მინდვრის შვიტა	32,0
ბალის პიტნის ფოთლები	32,0
ცხვირსატეხელას ბალახი	
ანისის (ან კამის) ნაყოფი	
ფიჭვის წიწვები	12.5
ასკილის ნაყოფი	6,0
კალიუმის იოდიდი	
ნატრიუმის იოდიდი	
გლიცერინი $\frac{1}{100}$	100,0
ნატრიუმის ჰიდროკარბონატი	20,0
აზოტმჟავა ვერცხლის მარილი	0,003
წყალი 1 ლიტ. მიქსტურის მისაღებად.	

იხმარება ბრონქული ასთმის სამკურნალოდ, უნიშნავენ ჩაის კოვზით თბილ რძესთან ერთად 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Mixture [Antiasthmaticae] Traskovi 200,0

DS. ჩაის კოვზით 2—3-ჯერ დღეში თბილ რძესთან ერთად, ჭამის შემდეგ.

ა პ რ ე ნ ა ლ ი — Aprenalum (B)

პრეპარატი იხმარება ბრონქული ასთმის დროს, ხმარობენ აგრეთვე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ქოლეცისტიტის შემთხვევაში და სხვ. უნიშნავენ 0,05 თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში ან 1—2 მლ 5% ხსნარს კანქვეშ.

Rp: Tabul. Aprenali 0.05

Dtd № 10

ს. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Apronali 5%—1.0

Dtd № 10 in ampulis

ს. თითო ამპულა კუნთებში, 2-ჯერ დღეში.

გ ა ს ტ რ ი პ ო ნ ი — Gastriponum (B)

იხმარება გასტრიტის, თორმეტგოჯა ნაწლავისა და კუჭის წყლულის, კენჭოვანი დაავადების დროს და სხვ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,005 № 20 და 1 მლ ამპულა-  
5. პ. გელბახიანი, ი. თაბაგარი.

ში 0.002 პრეპარატის შემცველობით, თითო შეკვრაში 20 — 20 აბ-  
პულა.

უნიშნავენ შიგნით მისაღებად 1 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში, კან-  
ქვეშ 1/2 — 2 მლ 3-ჯერ დღეში.

Rp: Gastriponi 0,05

Dtd № 10 in tabul.

S. თითო ტაბლეთი 3-ჯერ დღეში.

გ ა ს ტ რ ო ბ ა მ ა ტ ი — Gastrobamat

შემადგენლობა: ანდაქსინი	0,2
გასტრიპონი	0,008

გამოშვებულია ტაბლეტებში, თითო შეკვრაში 20 და 250  
ტაბლეტის რაოდენობით; იხმარება კუჭისა და თორმეტკოჯა ნაწ-  
ლავის წყლულის, ვეგეტატიური ნერვული სისტემის ფუნქციური  
დაავადების დროს და სხვ.

უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0,5 — 1,5 ტაბლეტს 3-ჯერ  
დღეში, 3 — 6 კვირის განმავლობაში.

Rp: Tabulettae Gastrobamat

Dtd № 20

S. 0,5 — 1,5 ტაბლეთი 3-ჯერ დღეში.

დ ე დ ა ლ ო ნ ი — Dedalonum (B)

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,05

იხმარება ზღვისა და ჰაერის ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ  
და პროფილაქტიკისათვის, აგრეთვე ორსულობისას პირღებინების  
დროს. უნიშნავენ 1 — 2 ტაბლეტს 4 — 6 საათში ან 1/2 საათით  
ადრე მოგზაურობის დაწყებამდე.

Rp: Dedaloni 0.05

Dtd № 10 in tabul.

S. 1—2 ტაბლეთი 4-ჯერ დღეში.

პ ი რ ლ ე ბ ი ნ ე ბ ი ს ს ა წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ო ნ ა რ ე ვ ი

შემადგენლობა: პლატიფილინის ჰიდროტარტარიტი	0,005
კოფეინნატრიუმის ბენზოატი	0,15
ნატრიუმის ბრომიდი	0,15

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10 — 10, ტაბლეთი.

იხმარება გემითა და თვითმფრინავით მოგზაურობის დროს  
გულისრევის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, ორსულო-  
ბითა და წყლულოვანი დაავადებით გამოწვეული პირღებინების დროს.  
უნიშნავენ 1 ტაბლეტს 1/2 საათით ადრე მოგზაურობის დაწყებამ-  
66

დღე. 3 — 5 საათის მოგზაურობის შემდეგ განმეორებით აძლევენ კიდევ 1 ტაბლეტს.

Rp: Plathyphyllini hydrotartarici 0,005

Coffeini natri benzoici

Natrii bromati  $\overline{aa}$  0,15

D t d №10 in tabul.

S. ერთი ტაბლეტი 1/2 საათით ადრე მოგზაურობამდე.

ს ა რ ა ც ი ნ ი ს ბ ი ტ ა რ ტ ა რ ი ტ ი — Sarracinum bitartaricum (B)

პრეპარატი წარმოადგენს მცენარე ხარისშებლადან გამოყოფილ ალკალოიდს: გამოშვებულია ტაბლეტებში 0,01.

ინხარება, მუცლის ღრუს ორგანოების გლუვი კუნთების სპაზმების, წყლულოვანი დაავადების, გასტრიტების, ქოლეცისტიტების, ბრონქული ასთმის ადრეული ფორმის და მიგრენის დროს — 1 — 3 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp: Saracini bitartarici

D t d №10 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ს პ ა ზ მ ო ლ ი ტ ი ნ ი — Spasmolytinum (B)

პრეპარატი წარმოადგენს ჰიდროქლორიდ ბეტადიეთილამინოეთილის ეთერს დიფენილ ძმარმეავასას.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 და 0,25.

იყენებენ სისხლძარღვთა სპაზმის (სტენოკარდია, ენდარტერიტი), შინაგანი ორგანოების გლუვი კუნთების სპაზმის, ნევრალგიის, ნევრიტის და რადიკულიტის შემთხვევაში, — უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0,1 — 0.25 დღეში 2 — 3-ჯერ.

Rp: Spasmolitini 0.1

D t d № 10 in tabul

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ქ ლ ო რ ა ც ი ზ ი ნ ი — Chloracizinum (B)

პრეპარატი წარმოადგენს ჰიდროქლორიდ 10 (ბეტადიეთილამინოპროპიონილ) — 2 — ქლორფენათიაზინს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,015 № 30 და 60.

ინხარება გულის ვენური ძარღვების არტერიოსკლეროზის, ქრონიკული უკმარისობისა და ახლად გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტის დროს — დოზებში 0,015 დღეში 3 — 4-ჯერ, 10 — 20 დღის განმავლობაში.

Rp: Chloracizini 0,015

D t d № 30 in tabul

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

ცელანიდი — *Celanidum*.

წარმოადგენს კრისტალურ გლუქოზიდს წამწამოვანი სათათურას ფოთლებისას.

გამოშვებულია ხსნარი 1:5000-ზე — 1 მლ ამპულებში (1 მლ შეიცავს 3,3 ბმე) და ტაბლეტებში 0,00025 (1 ტაბლეტი შეიცავს 4 ბმე).

იხმარება გულის უკმარისობის დროს, ვენაში 1—2 მლ დღეში 1—2-ჯერ. შიგნით მისაღებად თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Celanidi 1:5000—1,0

D t d № 10 in ampulis

S. ვენაში 2-ჯერ დღეში.

ცეტამიფენი — *Cetamiphenum*

ამინოეთანოლოვანი მარილი ფენილეთილძმარმეჟავასი.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 № 20

იხმარება ათეროსკლეროზის (რომელსაც თან ერთვის და ახასიათებს ქრონიკული კორონარული უკმარისობა) და ჰიპერტონიის შემთხვევებში.

Rp: Cetamipheni 0,25

D t d № 20 in tabul.

S. 1—2 ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

ა. შელოკუროვის ფხვნილი — *Pulveres Schelogurovi*

შემადგენლობა: ეუფილინი 0,2  
აცეტილსალიცილმეჟავა (ასპირინი) 0,15  
ეფედრინის ჰიდროქლორიდი 0,025  
ეთელმორფინჰიდროქლორიდი (დიონინი) 0.015

იხმარება ასთმის სამკურნალოდ.

Rp: Pulveres „Schelogurovi“

D t d № 10

S. თითო ფხვნილი ასთმის შეტევის დროს.

ბელადონას ფესვების წვენი (სუკრაბელი) *Sucradbellum (B)*

შეიცავს ბელადონას ფესვების ალკალოიდების ჯამს 0,13—0,15% რაოდენობით. იხმარება პარკინსონის დაავადების საწინააღმდეგოდ. უნიშნავენ 3—3 წვეთს 2—3-ჯერ დღეში, შემდგომში დოზას ზრდიან 15 წვეთამდე.

გამოშვებულია ფლაკონებში 25 მლ რაოდენობით.

Rp: „Sucrabbellum“ 25,0

1)S. 3—4 წვეთი 2—3-ჯერ დღეში, შემდეგში წვეთების რაოდენობა უნდა გაიზარდოს (არაუმეტეს 15) სასურველი ეფექტის მიღებამდე.

ბელადონას ნაყენი — Tinctura Belladonnae (B)

შეიცავს 0.027—0,033% ალკალოიდებს.

Rp: Tincturae Belladonnae 10,0

1)S. 5—10 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

ბელადონას ექსტრაქტის სანთლები — Suppositorii cum Extractum Belladonnae (B)

შემადგენლობა: ბელადონას ექსტრაქტი	0,015
ფენოლი	0,0014
ცხიმოვანი ფუძე	1,258

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 სანთელი.

Rp: Suppositorii cum Extracto Belladonnae  
D t d № 10

S. თითო სანთელი სწორ ნაწლავში.

პლატიფილინის ბიტარტარიტი — (Platiphyllinum bitartaricum) (A)

პრეპარატს აქვს ქოლინოლიზური და სპაზმოლიზური თვისება მუცლის ღრუს ორგანოების სპაზმების დროს.

იყენებენ — ბრონქული ასთმის, ჰიპერტონიული დაავადების, სტენოკარდიის, კრიზების, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადების გამწვავების, სპასტიკური კოლიტების დროს, აგრეთვე ხმარობენ თვალის გუგის გასაფართოებლად.

გამოშვებულია 1 მლ ამპულებში პრეპარატის 0,2% ხსნარი, უნიშნავენ 1—2 მლ 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Platiphyllini bitartarici (0,2%—1 ml).

D t d № 10 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ, დღეში ერთჯერ.

კუჭის დაავადების სამკურნალო ტაბლეტები —  
Tablettae gastricum (B)

შემადგენლობა: ბელადონას ექსტრაქტი	0,01
აბზინდას ექსტრაქტი	0,012
ვალერიანას ექსტრაქტი	0,015

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეთი.

Rp: *Tablettae „gastricum“*

*D t d № 10*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

კუჭის ტაბლეტები ოპიუმით — *Tablettae gastricum cum Opii (A)*

შემადგენლობა: ბელადონას ექსტრაქტი..	0,015
ოპიუმის ფხვნილი	0,01
. აბზინდას ექსტრაქტი	0,012

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტი,  
თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

ურობესალოლი — *Urobesalolum (B)*

შემადგენლობა: ბელადონას ექსტრაქტი	0,015
ჰექსამეთილტეტრამინი (უროტროპინი)	0,25
ფენილსალიცილატი (სალოლი)	0,25

გამოშვებულია ტაბლეტებში — თითო შეკვრაში 6—6 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: *Tablettae Urobesalolum*

*D t d № 6*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში

### ბანზოხონის მამლოკირებელი საშუალებანი

ბენზოჰექსონი — *Benzohexonum (B)*

პრეპარატი ბლოკირებას უკეთებს ვეგეტატიური ნერვული განგლების N — ქოლინორეაქტიულ სისტემას, ხელს უშლის ნერვული იმპულსების გადაცემას. იხმარება ნერვული რეგულაციის მოშლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ავადმყოფობის, სისხლძარღვების სპაზმების, ჰიპერტონიის, კუჭის წყლულის, ბრონქული ასთმის და სხვ. დროს.

გამოშვებულია 0,1—0,25 ტაბლეტებში № 20 და  
ამპულებში 2,5% ხსნარი 1 მლ № 6

Rp: *Solutionis Benzohexonili 2,5%—1,0*

*D t d № 6 in ampulis*

S. 1 მლ კუნთებში 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae Benzohexoni 0,1*

*D t d № 20*

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

## დიკოლინი — Dicolinum (B)

პრეპარატი იხმარება ჰიპერტონიული დაავადების, ჰიპერტონიული კრიზების, სისხლძარღვების სპაზმის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ბრონქული ასთმის შეტევის დროს, აგრეთვე იყენებენ მშობიარობის დასაჩქარებლად და ორსულობის მოგვიანებითი ტოქსიკოზების დროს.

დიკოლინი ეკუთვნის განგლომაბლოკირებელ ნივთიერებათა ჯგუფს და თავისი მოქმედებით იგი უფრო აქტიურია, ვიდრე პენტამინი და ბენზოჰექსონი. გამოშვებულია 0.05 — 0.1 ტაბლეტებში №20, აგრეთვე 1 და 2 მლ 1% ხსნარი ამპულებში. უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0,05, 2 — 3-ჯერ დღეში ან კანქვეშ 1 მლ, შემდეგ დოზებს თანდათან აღიდებენ სასურველი ეფექტის მიღებამდე.

**Rp: Tabulettae Dicolini 0,05**

**D t d № 20**

ს. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში, შემდგომში თანდათანობით გაიზარდოს დოზა 0,1—0,2-მდე.

**Rp: Solutionis Dicolini 1%—1 ml.**

**D t d № 6 in ampulis**

ს. 1 მლ 2-ჯერ დღეში კუნთებში.

## პახიკარპინი — Pachycarpinum (B)

პრეპარატს აქვს განგლომაბლოკირებელი მოქმედება. მოქმედებს საშვილოსნოს კუნთებზე და აძლიერებს მის ტონუსს.

იხმარება მშობიარობის დასაჩქარებლად, აგრეთვე მათობლიტურებელი ენდარტერიიტის შემთხვევაში, ჰიპერტონიული კრიზის, პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმის დროს, აგრეთვე პრეპარატი აუმჯობესებს კუნთების ფუნქციას მოიპათიის დროს. გამოშვებულია 0,01 ტაბლეტებში № 30 და ამპულებში 5 მლ 3% ხსნარის სახით. მშობიარობის დასაჩქარებლად უნიშნავენ 3% ხსნარს კუნთებში 2,5 — 5 მლ რაოდენობით. შიგნით მისაღებად 0,05 — 0,1 2-3-ჯერ დღეში.

**Rp: Tabulettae pachycarpini 0,1**

**D t d № 30**

ს. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

**Rp: Solutionis pachycarpini hydrochlorici 3%-5 ml.**

**D t d № 3**

ს. 5 მლ კუნთებში (ან კანქვეშ).

## პენტამინი — Pentaminum (B)

პენტამინი იხმარება ჰიპერტონიული დაავადების, კრიზის ენდარტერიიტის ქოლევსტიტის, თირკმლების კენჭოვანი დაავადების, ბრონქული ასთმის, ეკლამფსიის და მწვავე გლავუკომის დროს. გამოშვებულია ამპულებში 5% ხსნარის 1 მლ №6 თითო კოლოფში.

Rp: Solutionis pentamini 5%—1 ml.

D t d № 6 in ampulis

S. 0.4—1 მლ კუნთებში დღეში 2—3-ჯერ.

სფეროფიზინი — Sphaerophysinum (B)

სფეროფიზინი იწვევს არტერიული სისხლის წნევის დაწევას და საშვილოსნოს კუნთების შეკუმშვის გაძლიერებას.

იხმარება ჰიპერტონიული დაავადებისა და სამეანო-გინეკოლოგიურ პრაქტიკაში მშობიარობის დროს სუსტი ჰინთეებისას, მშობიარობის შემდეგ საშვილოსნოდან სისხლდენის შემთხვევაში და აგრეთვე: როგორც საშვილოსნოს ინვოლუციის დამაჩქარებელი საშუალება.

Rp: Solutionis Sphaerophysini benzoici 1%—1 ml

D t d № 10 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ 1—2-ჯერ დღეში.

ტეტამონი — Tetamonum

იწვევს სისხლძარღვთა ტონუსის დაწევას, სპაზმების შემცირებას და სისხლძარღვთა გაფართოებას. რის გამოც სისხლის წნევა კლებულობს. იხმარება მთავარი ტერაპიული ენდარტერიიტის დროს სპაზმის შესამცირებლად. გამოშვებულია 1 მლ ამპულებში 10% ხსნარი. უნიშნავენ 1 მლ ერთჯერ დღეში. მესამე დღიდან 2—2 მლ დღეში, 4—6 კვირის განმავლობაში.

Rp: Solutionis Tetamoni 10%—1 ml.

D t d № 6 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ 1-ჯერ დღეში.

კურარამს მსბავსნი საშუალებანი

უმთავრესად გამოიყენებენ ნერვების დაბოლოებებზე მოქმედი საშუალებანი

დიპლაცინი — Diplacinum (A)

პრეპარატი ფარმაკოლოგიური მოქმედებით ახლოს დგას კურარესთან, მაგრამ კურარეზე ნაკლებად ტოქსიკურია.



იხმარება, როგორც კუნთების მომდუნებელი საშუალება სხვადასხვა სახის ოპერაციების დროს, განსაკუთრებით გულმკერდის არერი: ფილტვების მკურნალობაში ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში.

გამოშვებულია 2 მლ ამპულებში 2% ხსნარის სახით, თითო შეკერაში 10 ამპულის რაოდენობით.

Rp: Solutionis Diploacini 2%—2,0

Dtd № 10 in ampulis

S. 2 მლ ვენაში.

დიტილინი — Ditiolum (A)

იხმარება როგორც კუნთების მომდუნებელი საშუალება, მცირე ოპერაციების დროს; ხმარობენ ფსიქიატრიულ პრაქტიკაში კრუნჩხვითი მოვლენების მკურნალობისათვის. იყენებენ აგრეთვე მთავრობის სამკურნალოდ.

გამოშვებულია 1 მლ ამპულებში 1% ხსნარის სახით, 10 — 10 ამპულა თითო კოლოფში.

Rp: Solutionis Ditiolini 1%—1 ml.

Dtd № 10 in ampulis.

S. 1—2 მლ ვენაში შესაშხაპუნებლად.

მელიქტინი — Mellictinum (A)

იყენებენ კუნთოვანი ტონუსის დასაქვეითებლად. პოსტენცეფალიტური პარკინსონიზმის, არაქრონიკული და სხვა ანალოგიური დაავადების დროს. გამოშვებულია 0.002 ტაბლეტებში, თითო შეკერაში 20 ტაბლეტის რაოდენობით. უნიწნავენ თითო ტაბლეტს დღეში ერთჯერ და შემდგომში დოზას ზრდიან 5 ტაბლეტამდე.

Rp: Tabulettae Mellictini 0,002

Dtd № 20

S. თითო ტაბლეტი 1-ჯერ დღეში 1 საათით ადრე კამის წინ. შემდგომში დოზა გაიზარდოს 5 ტაბლეტამდე.

პარამიონი — Paramyonium (A)

იხმარება, როგორც კუნთების მომდუნებელი საშუალება სხვადასხვა ოპერაციის დროს.

გამოშვებულია 2 მლ ამპულებში 10 — 10 ცალი 0,1% ხსნარის სახით.

Rp: Solutionis Paramyoni 0,1%—2 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. 4—5 მლ კუნთებში, აზოტის ქვეყანგის ნარკოზის დროს.

## ადრენალინი და ადრენალინის მსგავსი მოქმედების საშუალებანი

### აკუმარინი — Aquamarinum (AM-4)

პრეპარატი წარმოადგენს ზღვის წყლისაგან დამზადებულ კომპლექსური მარილების სსნარს. პინერალური შემადგენლობით ახლოს დგას ადამიანის სისხლის პლაზმასთან.

იხმარება სისხლის დაკარგვით გამოწვეული სისხლის წნევის დაწევის შემთხვევაში. ტრავმული შოკის, ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ პერიოდში ავადმყოფის დაუძლეობის დროს.

გამოშვებულია 250 მლ ამპულებში. უშხაპუნებენ კანქვეშ ან კუნთებში 1 — 4 ამპულას თითო ინექციაზე (დღე-ღამეში 5 ლიტრამდე).

Rp: Aquamarinii 250,0

Dtd № 4 in ampulis

S. 250,0—1000,0 კანქვეშ შესაშხაპუნებლად.

### პანივერინი — Paniverinum (B)

პრეპარატი წარმოადგენს პაპავერინის მარილს ნიკოტინის მჟავასას. გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 № 20 და 250, ამპულებში 0.09 (2 მლ) № 10.

იხმარება სკლეროზით დაავადების დროს 1 — 2 ტაბლეტი უზმოზე. კანქვეშ 1 — 2 მლ 1 — 2-ჯერ დღეში.

### ქლორწყალბადმჟავა ადრენალინი — Adrenalinum hydrochloricum (B)

ადრენალინი იწვევს მეცლის ღრუს ორგანოთა, კანისა და ლორწოვანის სისხლძარღვების შევიწროებას, აფართოებს გულისა და ფილტვების სისხლძარღვებს. მაღლა წევს სისხლის წნევას, ადუნებს ბრონქებისა და ნაწლავების კუნთების ტონუსს. აფართოებს თვალის გუგას. იწვევს სისხლში შაქრის მომატებას, აძლიერებს საშვილოსნოს კუნთების შეკუმშვის უნარს — ამის გამო იგი იხმარება, როგორც გულ-სისხლძარღვთა სისტემის სტიმულატორი, იყენებენ კოლაფსისა და ბრონქული ასთმის შეტევის წინააღმდეგაც.

ქირურგები იყენებენ ნოვოკაინთან კომბინაციაში ოპერაციების დროს (სისხლძარღვთა შევიწროების, სისხლდენის შემცირების, საანესთეზიო ნივთიერების მოქმედების გახანგრძლივების მიზნით), შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ჰიპოგლიკემიური კომის შემთხვევაში.

ქლორწყალბადმჟავა ადრენალინი იხმარება მხოლოდ კანქვეშ ან ვენაში ნელი შეყვანით ფიზიოლოგიურ ან გლუკოზის 40% ხსნართან ერთად.

გამოშვებულია (1 1000 განზ.) 1 მლ ამპულებში № 6 და დლკონებში 30 — 30 გრამი.

Rp: Solutionis Adrenalini hydrochlorici 0,1%—30,0

DS. გარედან სახმარად.

Rp: Solutionis Adrenalini hydrochlorici 0,1%—1 ml.

D t d № 6 in ampulis

0,5—1 მლ კანქვეშ 1-ჯერ დღეში.

იზადრინი — Isadrinum (B)

პრეპარატს აქვს ადრენალინის მსგავსი მოქმედება, იხმარება ბრონქული ასთმის საწინააღმდეგოდ.

გამოშვებულია 0,005 ტაბლეტებში № 20 და 0,5% ხსნარი ფლაკონებში 10 და 25 მლ რაოდენობით. ხმარობენ 1 მლ იიპალაციისათვის. შიგნით მისაღებად თითო ტაბლეტი დღეში 1-ჯერ.

Rp: Solutionis Isadrini 0,5%—25,0

DS. 1 მლ იიპალაციისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში იიპალაცია შეიძლება განმეორებულ იქნას 2—3-ჯერ.

Rp: Tabulettae Isadrini 0,005

D t d № 20

S. ერთი ტაბლეტი ენის ქვეშ სრულ გახსნამდე.

მესატონი — Mesatonum (B)

იხმარება კოლაფსის, შოკური მდგომარეობის დროს სისხლის წნევის ასაწევად, კიპოტონიური დაავადების, სისხლის დაკარგვის შემთხვევაში ინფექციური დაავადების, ზურგის ტვინის ანესთეზიისათვის ოპერაციის მომზადებისას სისხლის ძარღვების შევიწროებისათვის და თვალის გუგის გასაფართოებლად.

გამოშვებულია 1 მლ ამპულებში 1% ხსნარის სახით. უნიშნავენ კანქვეშ შესაშხაპუნებლად ნელი მეთოდით 0.5—1 მლ დღეში.

Rp: Solutionis Mesatoni 1%—1 ml

D t d № 10 in ampulis

S. 0,5 მლ კანქვეშ 1-ჯერ დღეში.

ნორადრენალინი (ბიტარტრეტი) — Noradrenalinum bitartaricum (B)

ადრენალინთან შედარებით ნაკლებ ტოქსიკურია. აქვს უფრო ძლიერი პრესორული მოქმედება, ამავე დროს იწვევს გულისა და ცენტრალური ნერვული სისტემის ნაკლებ აგზნებას. აქვს სუსტი ბრონქოლიზური მოქმედება და გავლენა ნივთიერებათა ცვლაზე.

იხმარება სისხლის წნევის ასაწევად მისი სწრაფად დაცემისას (ოპერაციების დროს) ტრავმის, მოწამელის და სხვ. შემთხვევაში.

გამოშვებულია ამპულებში 1 მლ 0,1 და 0,2% ხსნარი; შეჰყავთ ვენაში წვეთობრივად 8 მლ 0,1% ნორადრენალინი 1000 მლ გლუკოზის 5%-ხსნარში.

**Rp: Solutionis Noradrenalini 0,1%—1 ml.**

**D t d № 10 in ampulis**

S. ვენაში წვეთობრივი მეთოდით 5% გლუკოზის ხსნართან. (ნორადრენალინის 8 მლ 0,1% ხსნარი უნდა გაზავდეს 5% გლუკოზის 1000 მლ).

**ქლორწყალბადმჟავა ეფედრინი — Ephedrinum hydrochloricum (B)**

პრეპარატი იწვევს სისხლძარღვების შეკუმშვას, სისხლის წნევის აწევას, ბრონქების კუნთების მოღუნებას, აბრკოლებს ნაწლავთა პერისტალტიკას, აფართოებს გულებს და უმატებს შაქრის დონეს სისხლში.

იხმარება ოპერაციების დროს სისხლის წნევის დაცემის პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ. ხმარობენ ჰიპოტონიის წინააღმდეგ. ეფედრინს იყენებენ ბრონქული ასთმის შეტევის, ჰინჭრის ცხელების, შრატით გამოწვეული ავადმყოფობის დროს და ვაზომოტორული რინიტების წინააღმდეგ. იხმარება აგრეთვე შარდის შეუკავებლობის და ხშირი შარდვის შემთხვევაში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,025 და ამპულებში 1 მლ 5% ხსნარი. უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0,025—0,05. 2—3-ჯერ დღეში. ხოლო კანქვეშ 5%—ხსნარის 0,5—1 მლ 1—2-ჯერ დღეში.

**Rp: Tabulettae Ephedrini hydrochlorici 0,025**

**D t d № 10**

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

**Rp: Solutionis Ephedrini hydrochlorici 5%—1 ml.**

**D t d № 10 in ampulis**

S. 0,5—1 მლ კანქვეშ 1—2-ჯერ დღეში.

## 7. ადრენოლიზური საშუალებანი

ეს ისეთი საშუალებანია, რომლებიც ახდენენ ადრენალინით გამოწვეული ეფექტის მოხსნას.

**აპრესინი — Apressinum (B)**

პრეპარატს აქვს ჰიპოტენზიური თვისებები, რის გამოც იხ-

მარება პიპერტონიული დაავადების დროს. უფრო ეფექტურია დასაწყის სტადიებში. იწვევს სისხლმიმოქცევის გაძლიერებას თირკმლებში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,01—0,025—0,05, უნიშნავენ 0,01 2—4-ჯერ დღეში. შემდეგ დოზას თანდათან ზრდიან და უნიშნავენ 0,025 3-ჯერ დღეში.

Rp: *Tabulettae Apressini* 0,01

*D t d* № 20

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

რედერგამი — *Redergam* (B)

პრეპარატი წარმოადგენს ქვაკის რქის დიჰიდროირებული ალკალოიდების ჯამის ხსნარს.

იხმარება პიპერტონიული დაავადების, პერიფერიული სისხლმიმოქცევის მოშლილობის (ენდოარტერიიტი, აკრიციანოზი და სხვ.). და შაკიკის დროს.

გამოშვებულია ამპულებსა და წვეთებში, უნიშნავენ 5—5 წვეთს 3-ჯერ დღეში, შემდეგ დოზას ზრდიან 30—40 წვეთამდე 3-ჯერ დღეში.

Rp: *Redergami* 30,0

*DS.* 5—5 წვეთი 3-ჯერ დღეში.

### ჰისტამინი და ანტიჰისტამინური პრეპარატები

ჰისტამინი — *Hystaminum*

პრეპარატი, ორგანიზმში პარენტერალურად შეყვანის დროს იწვევს სისხლის წნევის დაწევას, კაპილარების უონვადობის გაძლიერებას, საშვილოსნოს შეკუმშვას, კუნთების სპაზმას, ბრონქების ლორწოვანის შეშუპებას, ჯირკვლების ექსკრეტორული ფუნქციის გაძლიერებას.

ამჟამად პრეპარატი საექიმო პრაქტიკაში ნაკლებად იხმარება; ზოგჯერ მას ხმარობენ კუჭის სეკრეციული ფუნქციის გამოსაკვლევად. იშვიათად ხმარობენ აგრეთვე რევმატული დაავადების შემთხვევებში და პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმების დროს.

გამოშვებულია 1 მლ 0,1% ხსნარი ამპულებში № 10.

Rp: *Solutionis Hystamini* 0,1%—1 ml.

*D t d* № 10 in ampulis

S. 0,5 მლ კანქვეშ (კუჭის სეკრეციული ფუნქციის გამოსაკვლევად).

### ანტიჰისტამინი — Antihystaminum (B)

ინმარება გამონაყარის, შრატის ავადმყოფობის, წამლის მიღებით გამოწვეული გამონაყარების, ბრონქული ასთმის, შაკიკის სამკურნალოდ და სხვ. გამოშვებულია დრაჟე 0,05 — თითო შეკვრაში 30 — 250 ცალი.

Rp: Dragee Antihystamini 0,05

D t d № 30

S. თითო დრაჟე 3-ჯერ დღეში.

### პიპოლფენი — Pipolphen (B)

გამოშვებულია დრაჟე 0,025 № 10, 25 და 250; ამპულებში 2,5<sup>10</sup>; 2,5 მლ. 5, 100 და სანთლებში 0,025 შემცველობით.

ინმარება ყველა სახის ალერგიული დაავადების დროს, ეგზემის, მწერების ნაკბენზე და სხვა დაავადებათა შემთხვევებში, ემარობენ აგრეთვე ზღვაზე და ჰაერში მოგზაურობის დროს გულისრვის პროფილაქტიკის მიზნით. სხვადასხვა წარმოშობის პირღებინების და ბრონქული ასთმის სამკურნალოდ. უნიშნავენ 2 — 6 დრაჟეს დღე-ღამეში, სანთლებს 1 ცალს 1 — 2-ჯერ დღეში, კუნთებში, უშხაპუნებენ 1—2 მლ დღე-ღამეში.

Rp: Dragee „Pipolphen“ 0,025

D t d № 25

S. თითო დრაჟე 2—3-ჯერ დღეში.

### სუპრასტინი — Suprastinum (B)

პრეპარატი წარმოადგენს პიდროქლორიდ დიეთილ-ამინო-ეთილ ქლორბენზილ-ალფა-ამინო-პირიდინს.

გამოშვებულია ტაბლეტებში—0,025 № 20 და ამპულებში პრეპარატის 2<sup>10</sup>/<sub>10</sub> ხსნარი 1 მლ № 5.

ინმარება ბრონქული ასთმის, ვაზომოტორული რინიტის, თივის ცხელების, ქეინკეს შეშუპების, შრატის დაავადების, ჰინჭრის ციებისა და სხვა ალერგიული მოვლენების დროს. უნიშნავენ 1 — 2 ტაბლეტს 3 — 4-ჯერ დღეში ჰამის დროს., 1 — 2 მლ კუნთებში (ან ვენაში).

Rp: Suprastini 0,025

D t d № 20 in tabul

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

### დიმედროლი — Dimedrolum (B)

დიმედროლი ძლიერ აქტიური ანტიჰისტამინური საშუალებაა. ინმარება: ჰინჭრის ციების, შრატის ორგანიზმში შეყვანით გა-

მონეული დაავადების, ჰემორაგიული ვასკულაციის, ვასომოტორული რინიტების, ანგიონევროზული შეშუპების, ალერგიული დაავადების, წამლის მიღებასთან დაკავშირებული ალერგიული მოვლენების (ანტიბიოტიკებით) და სხივული დაავადების დროს.

პრეპარატს აქვს აგრეთვე სედატიური და ქოლინოლითური მოქმედება, რის გამოც იხმარება პარკინსონიზმის, ორსულთა პირღებინების და უძილობის შემთხვევაში.

უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0.03 — 0,05 2 — 3-ჯერ დღეში 10 — 15 დღის განმავლობაში; გამოშვებულია ტაბლეტებში 0.05 №6 და 1 მლ ამპულებში 1% ხსნარი.

Rp: *Tablettae Dimedroli* 0,05

D t d №6

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

Rp: *Solutionis Dimedroli* 1% — 1 ml.

D t d №10 in ampulis

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

დიპრაზინი — *Diprazinum* (B)

აქტიური ანტიჰისტამინური საშუალებაა, აქვს სედატიური მოქმედება, აძლიერებს ძილმომგვრელ. მაანალგიზებელ ნივთიერებათა მოქმედებას.

დიპრაზინი იხმარება: ჰინქრის ციების, შრატის ავადმყოფობის, ალერგიული მოვლენების, ზოგიერთი დერმატოზის, მენიერის დაავადების, ქორეის, ენცეფალიტის და ზღვის ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ. იყენებენ აგრეთვე ქირურგიულ პრაქტიკაში ადგილობრივი გამაუტკივარებელი ნივთიერებების მოქმედების გასაძლიერებლად.

უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0.025 — 2 — 3-ჯერ დღეში, კენაში 2 მლ 1-ჯერ დღეში. გამოშვებულია ტაბლეტებში 0,025 №10, და ამპულებში 2,5% ხსნარის 1 მლ № 10.

Rp: *Tablettae Diprasini* 0,025

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Solutionis Diprazini* 2,5%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 1 მლ კუნთებში ერთჯერ დღეში.

ეთიზინი — *Aethyzinum* (B)

ქიმიური შენებით ახლოს დგას ამინაზინთან, დიპრაზინთან, დინეზინთან, მხოლოდ ფარმაკოლოგიური მოქმედებით ყველაზე ახლოსაა დიპრაზინთან, იჩენს ანტიჰისტამინურ მოქმედებას.

იხმარება ყველა იმ შემთხვევაში, როცა ნაივერებია დიპრანინის ხმარება.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,025 და ამპულებში 0,5% ხსნარის 5 მლ.

Rp: Tabulettae Aethozini 0,025

Dtd №10

S. თითო ტაბლეტი 2—4-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Aethazini 0,5%—6 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. თითო ამპულა კუნთებში 1-ჯერ დღეში.

დი ა ზ ო ლ ი ნ ი — Diazolinum (B)

აქვს ანტიჰისტამინური და ანტიალერგიული მოქმედება. დიმედროლისაგან განსხვავდება იმით, რომ არ იჩენს დამამშვიდებელ და ძილმომგვრელ თვისებებს.

უნიშნავენ სხვადასხვა ალერგიული მდგომარეობის, კინკრის ციებისათვის დამახასიათებელი გამონაყარის (ურტიკარია) ანგიონევროზული შეშუპებების დროს; აგრეთვე ხმარობენ კაპილაროტოქსიკოზის, დერმატიტების, ჰაგილის, თივის სურდოს, რევმატული ინფექციების შემთხვევებში და სხვ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,05 და 0,1. უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0,05—0,1 1—2-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae Diazolini 0,05

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

## სისხლძარღვების, ბრონქებისა და გუცლის ღრუს ორგანოების გლუვი კუნთების მომღუშნებელი საშუალებანი

(სპაზმოლიზური საშუალებანი)

ა) ნიტრატები და ნიტრიტები

ამილნიტრიტი — Amylum nitrosum (B)

პრეპარატი მოქმედებს როგორც ვაზომოტორულ ცენტრზე, ისე უშუალოდ სისხლძარღვებზე, პრეპარატის შესუნთქვისას ფართოდდება სისხლძარღვები, რის შედეგადაც კლებულობს არტერიული სისხლის წნევა და ხშირდება გულისცემა.

ამილონიტრიტი იხმარება უმთავრესად სტენოკარდიული შეტევის წინააღმდეგ, და როგორც ანტიდოტი ციანწყალბადმჟავათი მოწამვლის დროს.



პრეპარატი გამოშვებულია ნარინჯიასცერ ამპულებში 0.5 მლ რაოდენობით. ხმარების დროს ამპულას ტეხენ, ასხამენ ცხვირსახოცზე ან ბამბაზე 2—3 წვეთის რაოდენობით და შეისუნთქავენ, მოქმედების მაქსიმუმი იწყება მესამე წუთზე.

Rp: Amylii nitrosi 0,5

D t d № 10 in ampulis

S. 2—3 წვეთი დაწვეთოს ცხვირსახოცზე და შეისუნთქოს (სტენოკარდიის შეტევის დროს).

ნიტროგლიცერინი — Nitroglycerinum (B)

ნიტროგლიცერინი სამედიცინო პრაქტიკაში იხმარება 1% ხსნარისა და ტაბლეტების სახით, აქვს ანტისპაზმური მოქმედება, რის გამოც იყენებენ იმ დაავადებების დროს, რომელიც დაკავშირებულია გლუვი კუნთების სპაზმთან ან ანგიოსპაზმთან.

ძირითადად ნიტროგლიცერინი იხმარება სტენოკარდიული ტივილის წინააღმდეგ, ის იძლევა შეუდარებელ შედეგს—ტივილის გაყუჩებას პრეპარატის მიღებიდან 1/2—1 წუთის განმავლობაში.

გამოშვებულია 1% ხსნარი 5 მლ რაოდენობით შუშებში და ტაბლეტებში 0,0005 № 40.

Rp: Solutionis Nitroglycerini 1%—5 ml.

DS. 1—2 წვეთი შაქარზე საკიროების დროს (შაქარი უნდა მოექცეს ენის ქვეშ).

Rp: Tabulettae Nitroglycerini 0,0005

D t d № 40

S. თითო ტაბლეტი ენის ქვეშ საკიროების დროს.

ნიტროპენტონი — Nitropenton; ერინიტი—Erinitum (B)

აქვს გვირგვინოვანი სისხლძარღვების გამაფართოებელი თვისება—უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ნიტროგლიცერინს.

იხმარება სტენოკარდიის პროფილაქტიკაში (ტივილის საწინააღმდეგოდ არ იხმარება, რადგან მოქმედება იწყება გვიან).

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,01

Rp: Tabulettae Nitropenton 0,01

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში (ენის ქვეშ სრულ გახსნამდე).

ბ) იზოქინოლინის ნაწარმი ალკალოიდები

ქლორწყალბადმჟავა პაპავერინი — Papaverium hydrochloricum (B)

პრეპარატი მოქმედებს გლუვ კუნთებზე და იწვევს ტონუსის მოკლებას და შეკუმშვის უნარის შემცირებას, რის შედეგადაც ფართოვდება სისხლძარღვები და ამ უკანასკნელის გამო კლებულობს სისხლის წნევა. აღნიშნული თვისების გამო პაპავერინს იყენებენ პიპერტონიული დაავადების, სტენოკარდიის, შაკიკის პილოროსპაზმის, ქოლესისტიტის, სპასტიკური კოლიტის, ბრონქული ასთმის და სხვ. დროს (უმთავრესად იმ დაავადების წინააღმდეგ, რომელთა პათოგენეზში სპაზმებს ან ტონუსის გაძლიერებას უჭირავს მთავარი ადგილი).

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,02, ამპულებში 2 მლ 2% — ხსნარი.

Rp: *Tablettae Papaverini hydrochlorici* 0,02

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp: *Solutionis papaverini hydrochlorici* 2% — 2 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ 1—2-ჯერ დღეში.

პაპავერინი გამოშვებულია აგრეთვე სხვა პრეპარატებთან კომბინაციებში ტაბლეტების სახით და იხმარება იმავე შემთხვევებში, როცა პაპავერინი.

პ ა პ ა ზ ო ლ ი — *Papazolium* (B)

შემადგენლობა: ქლორწყალბადმჟავა პაპავერინი	0,03
დიბაზოლი	0,03

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: *Tablettae „Papazolium“*

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

დ ი ვ ე ნ ა ლ ი *Divenalum* (B)

შემადგენლობა: დიბაზოლი	0,02
ქლორწყალბადმჟავა პაპავერინი	0,02
ლუმინალი (ფენობარბიტალი)	0,015

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: *Tablettae „Divenalum“*

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

დ ი პ ა ს ა ლ ი ნ ი — *Dipasalinum* (B)

შემადგენლობა: ქლორწყალბადმჟავა პაპავერინი	0,025
დიბაზოლი	0,02
ფენობარბიტალი	0,015
სალსოლინი	0,025
თეობრომინი	0,15

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

**Rp: Tabulettae „Dipasalinum“**

**Dtd № 10**

**S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.**

**ლუპავერინი — Lupaverinum (5)**

შემადგენლობა: ქლორწყალბადმჟავა პაპავერინი	0,03
ლუმინალი	0,05

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

**Rp: Tabulettae „Lupaverinum“**

**Dtd. № 10**

**S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.**

**პაფილინი — Paphyllinum (5)**

შემადგენლობა: ქლორწყალბადმჟავა პაპავერინი	0,02
პლატიფილინი ბიტარტარიტი	0,005

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

**Rp: Tabulettae „Paphyllinum“**

**Dtd № 10**

**S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.**

**ასტეპირი — Astepirum (5)**

შემადგენლობა: ქლორწყალბადმჟავა პაპავერინი	0,03
თეობრომინი	0,25
ასპირინი	0,25

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

**Rp: Tabulettae „Astepirum“**

**Dtd № 10**

**S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.**

**ქლორწყალბადმჟავა სალსოლინი — Salsolinum hydrochloricum (5)**

სალსოლინი იწვევს სისხლის წნევის დაწევას, თავის ტკივილის შემცირებას, აუმჯობესებს თვითგრძნობას. ამშვიდებს ავადმყოფს.

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების საწინააღმდეგოდ და ტენიის სისხლძარღვების სპაზმის დროს.

გამოშვებულია ტაბლეტების სახით 0,03. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae salsolini hydrochlorici 0,03

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 3-4-ჯერ დღეში.

### გ) პურინის ნაწარმი

თ ე ბ რ ო მ ი ნ ი — Theobrominum (B)

აქვს სისხლძარღვების გამაფართოებელი თვისება, ახდენს მას-ტიმულირებელ გავლენას გულის მუშაობაზე, აძლიერებს დიურეზს.

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების და კორონოსპაზმების დროს, აგრეთვე იხმარება როგორც დიურეზული საშუალება.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 რაოდენობით, უნიშნავენ შიგნით 1 — 2 ტაბლეტს 1 — 2-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp: Tabulettae Theobromini 0,25

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

თეობრომინი გამოშვებულია აგრეთვე სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში ტაბლეტების სახით, რომლებიც იხმარება ყველა იმ შემთხვევაში, სადაც კი მითითებულია თეობრომინის ხმარება.

Rp: Theobromini 0,25

Salsolini hydrochlorici

Phenobarbitali  $\overset{aa}{aa}$  0,02

D t d № 10 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2-3-ჯერ დღეში.

თ ე ო ფ ე ი დ რ ო ნ ი — Theophedrinum (B)

შემადგენლობა: თეობრომინი 0,25

ფენობარბიტალი

პაპავერინი

სალსოლინი  $\overset{aa}{aa}$  0,02

Rp: Tabulettae Theophedrinum

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2-3-ჯერ დღეში.

Rp: Theobromini 0,25

Phenobarbitali

Papaverini hydrochl.  $\overset{\cdot\cdot}{aa}$  0,02

D t d № 10 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

თ ე ფ ე ლ ი დ ი ნ ი — Thephelidinum (5)

Rp: Theobromini 0,25

Papaverini hydrochl.

Salsolini hydrochl.  $\overset{\cdot\cdot}{aa}$  0,03

D t d № 10 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

თ ე ო დ ი ბ ა ვ ე რ ი ნ ი — Theodibaverinum (5)

შემადგენლობა: დიბაზოლი

პაპავერინი  $\overset{\cdot\cdot}{aa}$  0,02

თეობრომინი 0,15

Rp: Tabulettae Teodibaverinum

D t d № 10 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

თ ე ო დ ი ნ ა ლ ი — Theodinalum

შემადგენლობა: ფენობარბიტალი

დიბაზოლი  $\overset{\cdot\cdot}{aa}$  0,02

თეობრომინი 0,25

Rp: Tabulettae Theodinalum

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

პ ა ლ უ ფ ი ნ ი — Palufinum (5)

შემადგენლობა: პაპავერინი

ფენობარბიტალი  $\overset{\cdot\cdot}{aa}$  0,02

პლატიფილინი 0,003

Rp: Tabulettae palupfinum

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

თ ე ფ ა ფ ი ლ ი ნ ი — Thepaphyllinum (5)

შემადგენლობა: თეობრომინი 0,25

პაპავერინი

ფენობარბიტალი  $\overset{\cdot\cdot}{aa}$  0,03

Rp: Tabulettae Thepaphyllum

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

თ ე ფ ა ლ უ ს ა ლ ი — Thepalusalum (B)

შემადგენლობა: თეობრომინი 0,25

სალსოლინი

პაპავერინი

ფენობარბიტალი  $\overline{aa}$  0,03

Rp: Tabulettae Thepalusalum

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

თ ე ო ვ ე რ ი ნ ი — Theoverinum (B)

შემადგენლობა: თეობრომინი 0,25

ბარბამილი 0,075

პაპავერინი 0,03

Rp: Tabulettae Theoverinum

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ა ნ ე თ ი ნ ი — Anaethinum

პრეპარატს ამზადებენ სურნელოვანი კამის ნაყოფისაგან. იხმარება ქრონიკული კორონარული ნაკლოვანების დროს, სტენოკარდიის პროფილაქტიკისათვის და აგრეთვე მუცლის ღრუს ორგანოების გლუვი კუნთების სპასტიკური მდგომარეობის წინააღმდეგ, უნიშნავენ შიგნით მისაღებად თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1. თითო შეკვრაში 25—25 ტაბლეტი.

Rp: Tabulettae Anaethini 0,1

D t d № 25

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ა მ ი ტ ე ს ა ლ ი — Amithesalum (B)

შემადგენლობა: თეობრომინი 0,15

ფენობარბიტალი 0,03

ამიდოპირინი 0,3

სალსოლინი 0,003

გამოშვებულია. თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: *Tablettae Amithesalium*

*D t d № 10*

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

თ ე ო ფ ე დ რ ი ნ ი — *Theophedrinum* (B)

შემადგენლობა: თეობრომინი

თეოფილინი

კოფეინი aa

0,05

ამიდოპირინი

ფენაცეტინი aa

0,2

ლუმინალი (ფენობარბიტალი)

ბელადონას ფოთლების ფხვნილი  $\overline{aa}$  0,02

ლობელინი ქლორჰიდრატი 0.0002

გამოშვებულია ტაბლეტებში, თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

იხმარება უმთავრესად ბრონქული ასთმის წინააღმდეგ.

უნიშნავენ 1—2 ტაბლეტს 1-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae Theophedrinum*

*D t d № 10*

S. 0,5—1—2 ტაბლეტი 1-ჯერ დღეში.

თ ე ო ფ ი ლ ი ნ ი ს ა ნ თ ლ ე ბ ი — *Suppositorii Theophyllium* (B)

შემადგენლობა: თეოფილინი 0,2

ცხიშოვანი ფუძე 2,0

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 სანთლის რაოდენობით. აქვს სისხლძარღვთა გამაფართოებელი და დიურეზული თვისება.

Rp: *Suppositorii cum Theopillino*

*D t d № 10*

S. თითო სანთელი 2-ჯერ დღეში.

ე უ ფ ი ლ ი ნ ი — *Euphyllinum* (B)

პრეპარატს აქვს სისხლძარღვთა გამაფართოებელი და დიურეზული თვისება. საგრძნობლად აფართოებს კორონარულ სისხლძარღვებს, ბრონქების მუსკულატურას. ამის გამო ფართოდ იხმარება ბრონქული ასთმისა და სისხლმიმოქცევის სისტემის ქრონიკული უკმარისობის შემთხვევებში, განსაკუთრებით გულს ასთმის მოვლენების, აგრეთვე სტენოკარდიული ტკივილის და ჰიპერტონიული კრიზის დროს.

გამოშვებულია 0,15 ტაბლეტებში № 10 და ამპულებში 12 $\frac{1}{2}$  ხსნარი 2 მლ და 2,4 $\frac{1}{2}$  ხსნარი — 10 მლ

Rp: *Tabulettae Euphyllini* 0,15

*Dtd № 10*

S. თითო ტაბლეტი 2--3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp: *Solutionis Euphyllini* 2,4%—10 ml.

*Dtd № 10 in ampulis*

5--10 მლ 20 მლ გლუკოზის 40%<sup>0</sup> ხსნართან ერთად.

Rp: *Solutionis Euphyllini* 12% 2 ml.

*Dtd № 10 in ampulis*

S. 1—2 მლ კუნთებში 1—2-ჯერ დღეში.

დი ა ფ ი ლ ი ნ ი — *Diaphyllinum* (B)

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 № 20 და № 100

ამპულებში 2,4%<sup>0</sup> ხსნარი 10—10 მლ რაოდენობით. იხმარება, როგორც სისხლძარღვების გამაფართოებელი საშუალება, უნიშნავენ სტენოკარდიის, ბრონქული ასთმის, მიოკარდიუმის ქრონიკული დაავადებების შემთხვევებში და სხვ. უნიშნავენ კუნთებში შესაშხაპუნებლად 1 მლ დღეში ერთჯერ ან დღეგამოშვებით; შიგნით მისაღებად 1—2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp: *Diaphyllini* 0,1

*Dtd № 10 in tabul.*

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp: *Diaphyllini* 2,4%—10

*Dtd № 5 in ampulis*

S. ერთი ამპულა ვენაში 1-ჯერ დღეში.

დი ო ხ ი ნ ი — *Diochinum* (B)

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების დროს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, თირკმლის ჰეალის და ნაწლავების სპაზმის შემთხვევებში. უნიშნავენ ჰიპერტონიის დროს, 0,05 3-ჯერ დღეში, დანარჩენ შემთხვევებში 0,1 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,05, 0,1 და 0,2

Rp: *Tabul. Diochini* 0,1

*Dtd № 10*

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

იზ ო პ რ ი ნ ი — *Isoprinum* (B)

იხმარება I და II სტადიის ჰიპერტონიული დაავადების და ჰიპერტონიული კრიზის შემთხვევებში. უნიშნავენ კუნთებში 0 02—0,06; შიგნით მისაღებად 0,5—1 ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში, 7—8 დღის განმავლობაში.



გამოშვებულია ტაბლეტებში 0.05 № 20 და ამპულებში 2%  
ხსნარი 2 მლ № 20.

Rp: *Tablettae Isoprini* 0.05

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

კვატერონი — *Quateronum* (B)

იხმარება სტენოკარდიის, ჰიპერტონიული და წყლულოვანი  
დაავადების დროს. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში 3 კვი-  
რის განმავლობაში.

გამოშვებულია ტაბლეტებში და აბებში 0.02 და 0.03

Rp: *Quateroni* 0.02

D t d № 10 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

კელანტრინი — „*Khellanthrinum*“ (A)

შემადგენლობა: ატროპინის სულფატი 0,00025

პაპავერინი 0,02

კელინი 0.02

იხმარება ბრონქული ასთმის, სისხლძარღვების სპაზმის, ჰიპერ-  
ტონიის და სტენოკარდიის შემთხვევებში, უნიშნავენ თითო ტაბ-  
ლეტს 3-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae „Khellanthrinum“*

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

კელივერინი — *Khelliverinum* (B)

შემადგენლობა: კელინი 0.01

პაპავერინი 0,02

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10 და 20 ტაბლეტის რაოდენ-  
ობით. იხმარება, როგორც სპაზმოლიზური საშუალება სისხლძარ-  
ღეთა სპაზმის დროს (ჰიპერტონია, სტენოკარდია, მიგრენი) უნიშ-  
ნავენ თითო ტაბლეტს 3—4-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae „Khelliverinum“*

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

მეპანიტი — *Mepanitum* (B)

პრეპარატი წარმოადგენს მეთილსულფომეთილატ დიეთილამი-  
ნომეთილიოეთერს ფენოციკლოპენტან კარბონიკის მჟავიას.

ინმარება წყლულოვანი დაავადების, ბრონქული ასთმის და ბრონქების სპაზმით გამოწვეული სხვა ავადმყოფობათა დროს: უნიშნავენ კანქვეშ 1 — 1.5 მლ 2—3-ჯერ დღეში, მკურნალობის კურსი გრძელდება 3 — 4 კვირა.

გამოშვებულია 2%, ხსნარის 2 მლ ამპულებში №10

Rp: Solutionis Mepaniti 2% 2,0

D t d № 10 in ampulis

S. 1,—1,5 მლ 2—3-ჯერ დღეში.

ეკალიპტის ნაყენი — Tinctura Eucalypti

გამოშვებულია ფლაკონებში 25 — 25 მილილიტრის რაოდენობით; ინმარება ზემო სასუნთქი გზების დაავადების შემთხვევებში. როგორც ანტისეფსისური საშუალება, ინჰალაციისათვის და გამოსავლებლად.

Rp: Tinctura Eucalypti 25,0

D.S. 20—25 წვეთი 2—3-ჯერ დღეში ინჰალაციისათვის.

ნიტრანოლი — Nitranolum

ინმარება სტენოკარდიის შეტევის დაწყების თავიდან ასაცილებლად 1 ტაბლეტი 3 — 4-ჯერ დღეში კამის წინ, მკურნალობის ხანგრძლიობა 10 — 20 დღე.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,002

Rp: Nitranoli 0.002

D t d № 20 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

ნიტროსორბიდი — Nitrosorbidum (B)

ინმარება სტენოკარდიის შეტევის თავიდან ასაცილებლად და ენდარტერიიტების დროს, უნიშნავენ 0,005 — 0,012 — 3-ჯერ დღეში — 16 — 20 დღის განმავლობაში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,005 — 0,01 № 50

Rp: Nitrosorbidi 0,01

D t d № 50 in tablettae

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ნოვოდრინი — Novodrinum (B)

ინმარება ბრონქული ასთმის შეტევის სამკურნალოდ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,02 №20 და 200; აგრეთვე ფლაკონებში 1% ხსნარის 10—10 მლ. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3 — 3-

ჯერ დღეში; თუ ტაბლეტებმა არ გამოიღო სასურველი შედეგი.  
შინ უნიშნავენ პრეპარატის 1% ხსნარის 0,5 მლ ინჰალაციისათვის.

Rp: Novodrini 0,02

Dtd № 20 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

პ ა ფ ი ლ ი ნ ი — „Paphyllinum“ (B)

შემადგენლობა: პაპავერინი 0,02

პლატიფილინი 0,005

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეკვრაში 10 — 10 ცალის რაოდენობით. იხმარება სისხლძარღვებისა და მუცლის ღრუს ორგანოების გლუვი კუნთების სპაზმის და ბრონქული ასთმის შემთხვევებში.

Rd: Tabulettae „Paphyllinum“

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 2—4-ჯერ დღეში.

ს უ ლ ფ ა პ ი რ ი დ ა ზ ი ნ ი — Sulfapyridazinum

პრეპარატი წარმოადგენს 3 მეთოქსი — 6 სულფანილამიდობრიდაზინს, გამოშვებულია ტაბლეტებში 0,5.

იხმარება სასუნთქი გზების და ცხვირის ლორწოვანი გარსის ინფექციების სამკურნალოდ (პნევმონიის, ბრონქიტის, ტონზილიტის, ფარინგიტის და სხვ).

უნიშნავენ თითო ტაბლეტს 2—4-ჯერ დღეში.

Rp: Sulfapyridasini 0,5

Dtd № 10 in tabul

S. თითო ტაბლეტი 2—4-ჯერ დღეში.

ფ ე ნ ა ტ რ ი ნ ი — Phenatrinum (A)

შემადგენლობა: ატროპინის სულფატი 0,0005

პაპავერინი ჰიდროქლორიდი 0,02

ფენობარბიტალი 0,02

გამოშვებულია ტაბლეტებში, თითო შეკვრაში 6 — 6 ცალი. იხმარება ჰიპერტონიის, სტენოკარდიის, შაკიკის, ქოლეციისტიტის, სპასტიკური კოლიტის და ბრონქული ასთმის შემთხვევებში — უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae „Phenatrinum“

Dtd № 6

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ს ა ნ კ ო ვ ი ს წ ვ ე თ ე ბ ი — Guttae Sankovi (A)

შემაღგენლობა: ატროპინის სულფატი	0,025
დიმედროლი	0,1
ნოვოკაინი	0,2
კალიუმის სულფატი	0,02
გლიცერინი	1,0
ადრენალინი	(1 1000)—10,0
1% ციტრალი	0,3

იხმარება ბრონქული ასთმის სამკურნალოდ.

Rp: Guttæ Sankovi 10,0

DS. ექიმის მეთვალყურეობით.

### დ) კარბონის მჟავას რთული ეთერები

აპროფენი — Aprophehi (B)

აპროფენს აქვს სპაზმოლიზური და სისხლძარღვების გამაფართოებელი თვისება; იწვევს საშვილოსნოს შეკუმშვის გაძლიერებას.

პრეპარატი იხმარება სისხლძარღვების სპაზმის წინააღმდეგ და აგრეთვე მშობიარობის დასაჩქარებლად.

გამოშვებულია 0,025 ტაბლეტებში და 1 მლ 1% ხსნარი ამპულებში. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 2—4-ჯერ დღეში ან 1% ხსნარის 0,5, კანქვეშ.

Rp: Tabulettæ Aprophehi 0,025

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში კამის შემდეგ.

Rp: Solutionis Aprophehi 1%—1 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. 0,5 1 მლ კუნთებში 1-ჯერ დღეში.

ტიფენი — Tiphenum (B)

ტიმიური შენებით პრეპარატი ახლოს დგას სპაზმოლიტინთან, მხოლოდ უფრო ძლიერად იჩენს სპაზმოლიზურ და სისხლძარღვების გამაფართოებელ თვისებას, ვიდრე სპაზმოლიტინი; ნაკლებად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. იჩენს აგრეთვე ატროპინის მსგავს და ადგილობრივ საანესთეზიო მოქმედებას. იყენებენ სისხლძარღვების სპაზმების, სტენოკარდიის, თავის ტკივილის, I და II ხარისხის ჰიპერტონიული დაავადების, ქოლეცისტიტის, მუცლის ღრუს სპაზმის, წყლულოვანი დაავადების, კოლიტის, ბრონქული ასთმის და სხვ. დროს.

გამოშვებულია 0,03 ტაბლეტებში უნიშნავენ თითო ტაბლეტს  
2 — 3-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae Tipheni* 0,03

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში

დიპროფენი — *Diprophenum* (B)

პრეპარატს აქვს ტიფენის მსგავსი მოქმედება, მსოლოდ ნაკლებად ტოქსიკურია, ამავე დროს აღენიშნება უფრო მკაფიოდ გამოხატული სისხლძარღვთა გამათვართოებელი თვისება.

იხმარება, როგორც სპაზმოლიზური საშუალება სისხლძარღვთა სპაზმის დროს (მაობლიტერებელი ენდარტერიიტი, რენოს დაავადება და სხვ). იყენებენ აგრეთვე შინაგანი ორგანოების მხრივ სპაზმური მოვლენების დროსაც.

გამოშვებულია 0,025 № 10 ტაბლეტებში, იხმარება ერთი-ორი ტაბლეტი 2 — 3-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae Dipropheni* 0,025

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 2 — 3-ჯერ დღეში.

დიპროფილინი — *Diprophyllinum* (B)

ფარმაცოლოგიური მოქმედებით დიპროფილინი ახლოს დგას თეოფილინთან და ეუფილინთან.

იხმარება კორონარული სისხლძარღვების სპაზმების, ბრონქული ასთმის, ჰიპერტონიული დაავადების, გულის ასთმის მოვლენების დროს.

გამოშვებულია 0,2 ტაბლეტებში, ამპულებში 10% ხსნარი 5 მლ რაოდენობით.

Rp: *Tablettae Diprophyllini* 0,2

D t d № 10

S. 1—2 ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

Rp: *Solutionis Diprophyllini* 10%—5 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 5—10 მლ ვენაში.

განგლერონი — *Gangleronum* (B)

იხმარება როგორც სპაზმოლიზური საშუალება, განსაკუთრებით სტენოკარდიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის დროს.

გამოშვებულია ამპულებში 1,5% ხსნარი 2 მლ რაოდენობით № 20.

უნიშნავენ კუნთებში 1 მლ 3-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Gangleroni 1,5%—2 ml

D t d № 10 in ampulis

S. 1 მლ კუნთებში 1—3-ჯერ დღეში.

ვ) სხვადასხვა სინთეზური ნაერთები და მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სპაზმოლიზური საშუალებანი

დიბაზოლი — Dibazolium (B)

დიბაზოლს ახასიათებს სპაზმოლიზური სისხლძარღვთა გამაფარებელი და ჰიპოტონიური მოქმედება. ამის გამო პრეპარატი იხმარება კორონარული უკმარისობის, სტენოკარდიის, ჰიპერტონიული დაავადების, განსაკუთრებით ჰიპერტონიული კრიზის დროს, თავის ტკივილის, კუჭის წყლულოვანი დაავადების, მუცლის ღრუს ორგანოებში სპაზმური მოვლენების შემთხვევებში და სხვ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,02 № 10. უნიშნავენ 1 — 2 ტაბლეტს 2 — 3-ჯერ დღეში, და 1% ხსნარის 1 — 2 მლ. უკეთებენ ვენაში ერთჯერ დღეში.

Rp: Tabulettae Dibazoli 0,02

D t d № 10

S. 1—2 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Dibazoli 1%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 1—2 მლ კუნთებში 1-ჯერ დღეში.

ლაუბაზოლი — Lubazolium (B)

შემადგენლობა: ფენობარბიტალი

დიბაზოლი  $\frac{m}{mm}$  0,025

გამოშვებულია ტაბლეტებში, თითო შეკერაში 10 — 10 ცალის რაოდენობით.

Rp: Tabulettae „Lubazolium“

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

კელინი — Khellinum (B)

კელინი ძირითადად იხმარება სტენოკარდიული შეტევის წინააღმდეგ, ხოლო მისი მაქსიმალური მოქმედება შესამჩნევი ხდება გყურნალობის დაწყებიდან მე-5 — 7 დღეზე, ამიტომ მწვავე შეტევის დროს უნდა მიემართოს სწრაფადმოქმედ სხვა საშუალებას. პრეპარატი იხმარება ბრონქული ასთმის წინააღმდეგაც.

გამოშვებულია პრეპარატი ტაბლეტების სახით 0,02 № 25 რაოდენობით. უნიშნავენ 1—2 ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში

Rp: *Tablettae Khellini* 0,02

D t d № 25

S. 1—2 ტაბლეტი 2--3-ჯერ დღეში.

დაუკარინი — *Daucarinum* (5)

დაუკარინი იწენს სპაზმოლიზურ მოქმედებას; იხმარება ქრონიკული კორონარული უკმარისობის დროს. თერაპიული ეფექტი თანდათანობით ვითარდება.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,02. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3—5-ჯერ დღეში 2—4 კვირის განმავლობაში.

Rp: *Tablettae Daucarini* 0,02

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში 1/2 საათით წინ ჭამამდე.

ეკკომიის ნაყენი და ექსტრაქტი -- *Tinctura et Extractum Eucommiae*.

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების დროს.

გამოშვებულია ნაყენი და ექსტრაქტი 25—25 მლ რაოდენობით.

Rp: *Tincturae Eucommiae* 25,0

D S. 15—30 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

ბაიკალის მუზარადას ნაყენი — *Tinctura Scutellariae*

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების დროს. ადრეულ სტადიაში იწვევს არტერიული სისხლის წნევის დაწევას, აუმჯობესებს ავადმყოფის სუბიექტურ მდგომარეობას.

გამოშვებულია ფლაკონებში 25 მლ რაოდენობით.

Rp: *Tincturae Scutellariae* 25,0

D S. 20—30 წვეთი 3—3-ჯერ დღეში.

დიდყვავილა მაგნოლიას სითხოვანი ექსტრაქტი — *Extractum Magnoliae grandiflorae fluida*.

იხმარება ჰიპერტონიული დაავადების ადრეულ სტადიებში; მკურნალობის კურსი 3—4 კვირა.

Rp: *Ext. Magnoliae grandiflorae fluidi* 50,0

D S. 20—30 წვეთი 3-ჯერ დღეში.

ომელინი — *Omelinum*

წარმოადგენს თეთრი ფითრისაგან მიღებულ სქელ ექსტრაქტს, იხმარება ადრეული სტადიის ჰიპერტონიული დაავადების დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,2 და ექსტრაქტი 25.0

Rp: *Tabulettae Omelini* 0,2

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ბერულას ბალახი — *Herba Gnaphalis ulginosum*

იწვევს სისხლძარღვების მცირედ გაფართოებას, და რამდენადმე სისხლის წნევის დაწვეას; უმთავრესად იხმარება წყლულოვანი დაავადების სამკურნალოდ. დამწვრობის, კრილობების ძნელად შეხორცებისა და ზოგჯერ მსუბუქი ფორმის ჰიპერტონიული დაავადების დროს.

Rp: *Herbae Gnaphalii U'ginosi* 100,0

D.S. 1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ბალახს ასხამენ 1 ჭიქა წყალს. აყენებენ 30 წუთს, გაცავენის და გაწურვის შემდეგ აძლევენ 1—2 სუფრის კოვზს 3-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

Rp: *Tabulettae extracti Gnaphalii* 0,2

Dtd № 50

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ბენზაციინი — *Benzacinum* (A)

პრეპარატი იჩენს სპაზმოლიზურ მოქმედებას. იხმარება როგორც სპაზმოლიზური საშუალება შინაგანი ორგანოების გლუვი კუნთების სპაზმით გამოწვეული ავადმყოფობის დროს, სპასტიკური კოლიტის, ქოლეცისტიტის, თორმეტგოჯა ნაწლავის და კუჭის წყლულის დროს და სხვ.

გამოშვებულია 0,1% ხსნარი 1 მლ ამპულებში. 10 ამპულა თითო კოლოფში.

Rp: *Solutionis Benzacini* 0,1%—1 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ.

ანგიოტროფინი — *Angiotrophinum*.

პრეპარატი აფართოებს სისხლძარღვებს და აქვეითებს სისხლის წნევას, უნიშნავენ ჰიპერტონიული დაავადების დროს, სისხლძარღვთა სპაზმის, ენდოართრიტის, რენოს დაავადების შემთხვევებში, სპონტანური განგრენის დასაწყისში.

გამოშვებულია ამპულებში 1 მლ № 6. უნიშნავენ 1—2 მლ კანქვეშ ან კუნთებში 1—2-ჯერ დღეში.

ლუმისალინი — *Lumisalinum*



შემაღვენლობა: სალსოლინი 0.03

ფენობარბიტალი 0.05

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეკერაში 10—10 ცალის რაოდენობით. იხმარება ჰიპერტონიის და ტვინის სისხლძარღვების სპაზმის დროს, 1 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae „Lumisalinum“*

*D t d № 10*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ს ა მ ა ტ ლ ე ს ნ ა ყ ე ნ ი — *Tinctura „Thalietriifoetidi*

გამოშვებულია მინის ფლაკონებში 50—50 მლ რაოდენობით, იხმარება ჰიპერტონიული დაავადების დროს (განსაკუთრებით II ა და II ბ სტადიის შემთხვევაში) სტენოკარდიის და სხვა მსგავსი დაავადებისას. უნიშნავენ 40—40 წვეთს 3—4-ჯერ დღეში.

Rp: *T-rae Thalietrii foetidi 50,0*

*D S. 40—40 წვეთი 3-ჯერ დღეში.*

ც ი მ ც ი ფ უ გ ა ს ნ ა ყ ე ნ ი — *Tinctura Cimicifugae*

გამოშვებულია მინის ფლაკონებში 25 და 100 მლ რაოდენობით. იხმარება ჰიპერტონიული დაავადების დასაწყის სტადიაში. უნიშნავენ 50—60 წვეთს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Tin-rae Cimicifugae 100,0*

*D S. 50—50 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.*

ნ ა ტ რ ი უ მ ი ს ნ ი ტ რ ი ტ ი — *Natrium nitrosum (B)*

გამოშვებულია 1% ხსნარი ამპულებში 5 მლ № 10 თითო შეფუთვაში, იხმარება, როგორც სისხლძარღვების გამათართობელი საშუალება სტენოკარდიის დროს. უნიშნავენ შიგნით მისაღებად 5% ხსნარის 0,1—0,2, ხოლო ციანმჟავას პრეპარატებით მოწამვლისას 1—2% ხსნარის 10—20 მლ (უმაღლესი ერთჯერადი დოზაა 0,3 სადღელამისო-1,0).

Rp: *Solutionis natrii nitrosi 1%—5,0*

*D t d № 10 in ampulis,*

S. ექიმის მეთვალყურეობით.

## შარღმდენი საშუალებანი

დ ი ა კ ა რ ბ ი — *Diacarbium (B)*

იხმარება, როგორც დიურეზული საშუალება, სისხლმიმოქცევისთან დაკავშირებული შეშუპების დროს, აგრეთვე ნეფროზისა, და ლვიძლის ციროზის შემთხვევაში. იხმარება აგრეთვე გლაუკომის 7. პ. გელბახიანი, ი. თაბაგარი.

მკურნალობის დროს, ზოგჯერ ეპილევსიის საწინააღმდეგოდაც. უნგრეთში უშვებენ ანალოგიურ პრეპარატს ფონურიტის სახელწოდებით.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25, უნიშნავენ 1-2-ჯერ, 2—4 დღის განმავლობაში.

Rp: *Tabulettae Diacarbi* 0,25

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 1-ჯერ დღეში.

ფონურიტი — *Fonuritum* (B)

იხმარება გულის მუშაობის დეკომპენსაციით გამოწვეული შეშუპების, არტერიოსკლეროზის, ციროზის, ჰეპატიტის, მწვავე ქრონიკული გლავუკომის და ეპილევსიის დროს.

Rp: *Tabulettae Fonuriti* 0,25

Dtd № 24

S. თითო ტაბლეტი დღეგამოშვებით.

გლავუკომის მწვავე შემთხვევებში, ოპერაციის წინა საღამოს აძლევენ 2 ტაბლეტს. ოპერაციის დღეს დილით ადრე კიდევ 2 ტაბლეტს.

ნოვურიტი — *Novurit* (B)

პრეპარატს უნიშნავენ ორგანიზმში სითხის დაგროვების, სისხლ-მიმოქცევის უკმარისობის, ღვიძლის ციროზის, თირკმლების დაავადების (განსაკუთრებით ლუესური ნეფროზი) შემთხვევაში, კახექსიური შემუშუპების დროს და სხვ. ნოვურიტს უნიშნავენ აგრეთვე ქოლაციისტიტისა და საერთო სიმსუქნის შემთხვევებში.

გაძლიერებული შარდის დენა იწყება პრეპარატის კუნთებში ინექციიდან 6—8 საათის შემდეგ, ხოლო ვენაში შეყვანიდან 3—6 საათის შემდეგ.

ნოვურიტს უნიშნავენ 1—2 მლ 2-ჯერ კვირაში კუნთებში, ზოგჯერ ვენაშიც (კანქვეშ პრეპარატის გაკეთება არ შეიძლება).

გამოშვებულია ამპულებში (1-2 მლ) და სანთლებში.

Rp: *Solutionis Novuriti* 1 ml.

Dtd № 6 in ampulis

S. თითო ამპულა კუნთებში 3—4-დღეში ერთჯერ.

Rp: *Suppositorii Novuriti*

Dtd № 10

S. თითო სანთელი 2 დღეში ერთჯერ.

ჰიპოთიაზიდი — *Hypothiazidum* (B)

პრეპარატი წარმოადგენს ძლიერ დიურეზულ საშუალებას, იძლევა სწრაფ და ხანგრძლივ ეფექტს, მოქმედება იწყება პრეპარატის მიღებიდან 2 საათის შემდეგ და აღწევს მაქსიმალურ მოქმედებას 10-12 საათის განმავლობაში. აქვს აგრეთვე კარგად გამოხატული ჰიპოტენზიური თვისება.

ჩვენება: სისხლის მიმოქცევის უკმარისობით, თირკმლების დაავადებით, ღვიძლის ციროზით და ჰიპერტონიული დაავადებით გაპირობებული შემუშებები.

გამოშვებულია ტაბლეტებში 25, 50 ან 100 მგ. უნიშნავენ 25, 50 მგ 2-ჯერ დღეში 3—5 დღის განმავლობაში.

Rp: *Tablettae Hypothiazidi* 0,05

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

პ რ ო მ ე რ ა ნ ი — *Promeranium* (A)

იხმარება, როგორც დიურეზული საშუალება გულ-სისხლძარღვთა უკმარისობასთან დაკავშირებული შემუშებების დროს, თირკმლების დაავადებისას, ღვიძლის ციროზის შემთხვევებში.

გამოშვებულია ტაბლეტებში, რომელიც შეიცავს პრეპარატის 18 მგ-ს, შეესაბამება ვერცხლის წყლის 0,001-ს.

Rp: *Tablettae promerani* № 10

DS. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ც ი ს ტ ე ნ ა ლ ი — *Cystenalum*

შემადგენლობა: ენდროს ალკოპოლნაყენი	0,01
მაგნიუმის სალიცილატი	0,15
ეთეროვანი ზეთების ნარევი	6,15
სპირტი	0.8

პრეპარატი იჩენს შარდის გამოყოფისა და სპაზმოლიზური მოქმედების თვისებას. იხმარება თირკმლების კენჭოვანი დაავადებისა და შარდმდენი გზების ქრონიკული დაავადების დროს.

უნიშნავენ 3—4 წვეთს 3-ჯერ დღეში შაქარზე 1/2 საათით ადრე საჭმლის მიღებამდე.

გამოშვებულია ფლაკონებში 10 მლ რაოდენობით.

Rp: *Cystenali* 10 ml.

3—4 წვეთი 3-ჯერ დღეში 1/2 საათით ადრე ჭამამდე.

ა ლ ა ც ი ლ ი — *Allacilum* (B)

იხმარება, როგორც დიურეზული საშუალება გულ-სისხლძარ-

რღვთა უკმარისობასთან დაკავშირებული შემუშებების დროს და აგრეთვე ღვიძლის ციროზის შემთხვევებში:

გამოშვებულია 0,02 ტაბლეტებში, იხმარება 0,02—1-4-ჯერ დღეში 4 დღის განმავლობაში.

Rp: *Taluletae Allacili* 0,02

Dtd № 20

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჰამის დროს.

დიდილოს ყვავილი — *Flores centaureae*

იხმარება, როგორც მსუბუქი შარდმდენი საშუალება, გამონაცემის სახით.

გამოშვებულია თითო შეკვრაში 100—100 გ.

Rp: *Flores centaureae* 100,0

DS. 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ყვავილები უნდა მოიხარშოს 1 ჰიქა ადულებულ წყალში და მიღებულ იქნას სამ მიღებაზე.

დათვის ყურას ფოთლები — *Folia Uvae-Ursi*

იხმარება შიგნით მისაღებად ნახარშის სახით, როგორც შარდმდენი და საღებინფექციო საშუალება შარდის ბუშტისა და საშარდე სისტემის ანთებითი დაავადების დროს.

გამოშვებულია თითო შეფუთვაში 100—100 გ.

Rp: *Foliae Uvae-ursi* 100,0

DS. 1 სუფრის კოვზ დაფხვნილ ფოთლებს უნდა დაესხას 1 ჰიქა წყალი და უნდა იხარშოს 30 წუთი. გაწურვის შემდეგ მიღებული უნდა იქნას სუფრის კოვზით 5-ჯერ დღეში.

მინდვრის შვიტა — *Herba Equiziti* (B)

იხმარება, როგორც შარდმდენი საშუალება გულისა და სხვა დაავადების დროს.

გამოშვებულია თითო შეფუთვაში 100—100 გ.

Rp: *Ferba Equiziti* 100,0

DS. გამჟმარი 2 სუფრის კოვზი ბალახი მოიხარშოს 1 ჰიქა ადულებულ წყალში და ნახარში მიღებულ იქნას დღის განმავლობაში 3 მიღებაზე.

თირკმლების ჩაი — *Folia Orthosiphoni*

იხმარება გულის უკმარისობისა და თირკმლების ფუნქციის დარღვევის შედეგად დაგროვილი სითხის დროს.

გამოშვებულია თითო შეფუთვაში 100 — 100 გრამის რაოდენობით.

Rp: Foliae orthosiphoni 100,0

DS. გამონაცემის მოსამზადებლად.

არყის ნაყოფი — Gemmae Betulae

იხმარება, როგორც შარდმდენი და ნალევგამომყოფი საშუალება.

Rp: Gemmae Betulae 100,0

DS. 1 ჩაის კოვზი უნდა მოიხარშოს, როგორც ჩაი ნახევარ ჰიქა წყალში და მიღებულ იქნას დღის განმავლობაში.

შარდმდენი ჩაი — Speciei diureticae

შემადგენლობა: დათვისყურას ფოთლები 3 წილი  
ძირტკბილას ფესვები 1 წილი  
ღვიის ნაყოფი 1 წილი

გამოშვებულია თითო შეფუთვაში 100—100 გრამის რაოდენობით.

Rp: Speciei diureticae 100,0

DS. 1 სუფრის კოვზი უნდა მოიხარშოს 1 ჰიქა წყალში. გაცივებისა და გაწურვის შემდეგ მიღებული უნდა იქნას 1 სუფრის კოვზით 3—4-ჯერ დღეში.

### საშვილოსნოს კუნთების მასტიმულირებელი საშუალებანი

ჭვავის რქის სითხოვანი ექსტრაქტი — Extractum secalis cornuti fluidum (B)

პრეპარატი იხმარება საშვილოსნოს ნორმალური ტონუსის სისუსტის (ატონიის), მშობიარობის შემდეგ და საერთოდ საშვილოსნოდან სისხლდენისა და მენსტრუალური ციკლის დროს.

გამოშვებულია ფლაკონებში 15-25 მლ რაოდენობით.

Rp: Extracti secalis cornuti fluidi 25,0

S. 20—20 წვეთი 6-ჯერ დღეში.

ერგოტალი — Ergotalum (B)

იხმარება საშვილოსნოს ატონიის, მშობიარობის შემდგომ საშვილოსნოდან სისხლდენის, და სხვ. დროს.

გამოშვებულია ამპულებში 0,05%-1 მლ № 10 ან 100 და ტაბლეტებში 0,001 № 10.

Rp: Solutionis Ergotali 0,05%—1 ml.

D t d № 10

S. 0,5 1 მლ კანქვეშ 1-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae Ergotali* 0,001

*D t d № 10*

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

ერგომეტრინი — მალეატი — *Ergometrini-maleas* (B)

პრეპარატი იხმარება სამეანო პრაქტიკაში ხელოვნური მშობიარობის შემდეგ საშვილოსნოდან სისხლდენის, მშობიარობის შემდეგ ადრეული სისხლდენის, საკეისრო განაყერის შემდეგ სისხლდენისა და აბორტის შემდეგ სისხლიანი გამონაყოფის შემთხვევაში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,0002 და 0,02% ხსნარი 1 მლ ამპულებში № 10.

Rp: *Solutionis Ergometrini maleici* 0,02%—1 ml.

*D t d № 10 in ampulis*

S. თითო მილილიტრი კუნთებში 1-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae Ergometrini maleici* 0,0002

*D t d № 10*

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ერგოტინი — *Ergotinum* (B)

იხმარება სამეანო-გინეკოლოგიურ პრაქტიკაში მშობიარობის შემდგომ სისხლდენის შეჩერებისა და საშვილოსნოს შეკუმშვის გაძლიერების მიზნით.

გამოშვებულია ამპულებში 1 მლ № 10

Rp: *Solutionis Ergotini* 1 ml

*D t d № 10 in ampulis*

S. 1 მლ 1—2-ჯერ დღეში კანქვეშ ან კუნთებში.

იზოვერინი — *Isoverinum*

ფარმაკოლოგიური მოქმედებით ახლოსაა სფეროფიზინთან, იხმარება, როგორც მშობიარობის დამაჩქარებელი საშუალება და საშვილოსნოს კუნთების შემავიწროებელი, მშობიარობის შემდგომ პერიოდში.

გამოშვებულია 2 და 5%, ხსნარი 1 მლ ამპულებში და ტაბლეტებში 0,1.

Rp: *Solutionis Isoverini* 5%—1 ml.

*D t d № 10 in ampulis*

S. თითო ამპულა 1-ჯერ დღეში კუნთებში.

Rp: *Tablettae Isoverini* 0,1

*D t d № 10*

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

კოტარინის ქლორიდი (სტიპტიკინი) — Cotarinum chloratum (B)

იხმარება საშვილოსნოდან ფიბრომითა და ანთებითი პროცესებით გამოწვეული სისხლდენის შესაჩერებლად და კლიმაქსის დროს. გამოშვებულია დრაჟე — 0,05 №20.

Rp: Tabulettae Cotarinini Chlorati (stipticini) 0,05

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

პრეგნანტოლი — Praegnantolum (B)

იხმარება ატონიის, მშობიარობის აქტის მიმდინარეობისას საშვილოსნოს ანთებითი პროცესების, მშობიარობის შემდეგ საშვილოსნოს უკუგანვითარების დაჩქარების მიზნით და საშვილოსნოდან სისხლდენის შესაჩერებლად.

გამოშვებულია 0,02 ტაბლეტებში №20 და ამპულებში 1 % ხსნარი № 6.

Rp: Tabulettae praegnantoli 0,02

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

ჰიდროპიპერინი — Hydropiperinum

წარმოადგენს წყლის წიწაკას ბალახის პრეპარატს, გამოშვებულია ტაბლეტებში 0,05.

იხმარება საშვილოსნოდან ფუნქციური სისხლდენის დროს, უნიშნავენ 1 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

Rp: Hydropiperini 0,05

D t d № 10 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

გინოფორტი — Ginofortum (B)

პრეპარატი წარმოადგენს ერგოტამინტარტარატს. გამოშვებულია 0,5 1 მლ ამპულებში 5 — 5 ამპულის რაოდენობით და 10 მლ ფლაკონებში. იხმარება გინეკოლოგიურ პრაქტიკაში — საშვილოსნოს შეკუმშვის გაძლიერების მიზნით, ატონიური სისხლდენისას — აბორტის დროს უნიშნავენ 0,5 — 1 მლ კენთებში — განსაკუთრებულ შემთხვევაში. 0,5 მლ ვენაში. პარალელურად აძლევენ 10—15 წვეთს თითო მიღებაზე:

დიჰიდროერგოტამინი — Dihydroergotaminum (B)

გამოშვებულია 0,1 % ხსნარი ამპულებში 1 მლ და 0,2 % ხსნარი ფლაკონებში 10—10 მლ რაოდენობით.

იხმარება მიგრენის, ტვინის შერყევის შემდეგ, თავის ტკივილისა და მშობიარობის დროს. უნიშნავენ კუნთებში 0,1% ხსნარის 0,5 — 1 მლ დღეში, შიგნით 0,2% ხსნარის 5 — 15 წვეთს 1 — 2-ჯერ დღეში.

Rp: Solut. Dihydroergotamini 0,1%—1,0

D t d № 10 in ampulis

S. 0,5—1 მლ ერთჯერ დღეში.

მეთილანდროსტენდიოლი — Methylandrostendiolum (B)

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,01 და 0,25 № 30. იხმარება გინეკოლოგიურ პრაქტიკაში, სარძეო ჯირკვლის კიბოსა და სხვა შემთხვევებში. უნიშნავენ 1 ტაბლეტს 2 — 4-ჯერ დღეში.

Rp: Methylandrostendiolii 0.025

D t d №30 in tabulettis

S. თითო ტაბლეტი 2—4-ჯერ დღეში კანქვეშ.

მეთილერგომეტრინი — Methylergometrinum

გამოშვებულია 0,02% ხსნარი 1 მლ ამპულაებში № 5. იხმარება მშობიარობის შემდგომ საშვილოსნოს ჰიპოტონიისა და ატონიის შემთხვევაში, უმხაბუნებენ კანქვეშ 0,5 — 1 მლ.

Rp: Solutionis Methylergometrini 0,02%—1,0

D t d № 10

S. 0,5—1 მლ კანქვეშ 1-ჯერ დღეში.

არნიკას. ნაყენი — Tinctura Arnicae

დაფასოებულია მინის ფლაკონში 10, 15 და 25 მლ. იხმარება ქალის სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადების დროს სისხლდენის შესაჩერებლად. ხმარობენ აგრეთვე გარედან წასასმელად კანის გაკრით დაზიანების შემთხვევაში.

Rp: T-rae Arnicae 25,0

D.S. 30 — 40 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

ლოწახურის ნაყენი — Tinctura Berberis

დაფასოებულია მინის ფლაკონებში 50—50 მლ. იხმარება მშობიარობის შემდეგ სისხლდენის დროს; ხმარობენ აგრეთვე ღვიძლის დაავადების შემთხვევებში. უნიშნავენ 30 — 40 წვეთს 2 — 3-ჯერ დღეში.

Rp: T-rae folii Berberis 50,0

D.S. 30 წვეთი 2—3-ჯერ დღეში.

ნეოგინოფორტი — Neoginofortum



შემაღვენლობა: ერგოტამინ ტარტარატი 0.00025,  
ერგოტამინ მალიატი 0,00125—1 მლ-ში.

გამოშვებულია ამპულებში 1 მლ № 5. უმხაპუნებენ ვენაში ან კუნთებში 0.5 — 1 მლ ატონიური სისხლდენისა და დაუშთავრებელი აბორტის დროს, როგორც სისხლდენის შემაჩერებელ საშუალებას.

Rp: Neoginoforti 1,0

D t d № 10 in amp.

S. 0,5—1 მლ ვენაში 1-ჯერ დღეში.

ჭი ნ კ ა რ ი — Folium urticae

შეიცავს C და K ვიტამინებს კაროტინს, მინერალურ მარილებს, ლეციტინს, მთრიმლავ და სხვა ნივთიერებებს.

იხმარება, ფილტვებიდან, თირკმლებიდან, ნაწლავებიდან და საშვილოსნოდან სისხლდენის დროს.

გამოშვებულია თითო შეფუთვაში 100 — 100 გრამი

Rp: Folii urticae 100,0

DS. გამონაცემის მოსამზადებლად.

კო წ ა ხ უ რ ი ს ნ ა ყ ე ნ ი — Tinctura Berberis vulgaris

იხმარება ატონიური სისხლდენისა და საშვილოსნოდან ანთებითი პროცესებით გამოწვეული სისხლდენის შემაჩერებლად.

Rp: Tincturae Berberis Vulgaris 50,0

DS. 30—30 წვეთი 3-ჯერ დღეში.

## უშთავრესად მგრძნობიარე ნერვების დაბოლოების სფეროზე მოქმედი საშუალებანი

ადგილობრივად მოქმედი საანესთეზიო საშუალებანი

ქ ლ ო რ წ ყ ა ლ ბ ა დ მ ყ ა ვ ა კ ო კ ა ი ნ ი — Cocainum hydrochloricum (A)

კოკაინის ადგილობრივი ხმარება იწვევს მგრძნობელობის დაკარგვას, ახდენს რა მგრძნობიარე ნერვების დაბოლოებაში იმპულსების გატარების ბლოკირებას. სწორედ ამ თვისების გამო იგი იხმარება კონიუნქტივისა და რქოვანას (1 — 3% ხსნარი), პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ცხვირის, ხორხის (2 — 5% ხსნარით) და საშარღვე გზების ლორწოვანი გარსის ადგილობრივი ანესთეზიისათვის. გამოშვებულია 2% ხსნარი 1 მლ ამპულებში № 10 და 100.

Rp: Solut. Cocaini hydrochlorici 2%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. რქოვანას ან ცხვირის ანესთეზიისათვის.

## ანესთეზოლი — Suppositoria Anaesthesolum

შემადგენლობა: ანესთეზინი	0.05 წილი
წლის წიწაკას ექსტრაქტი	0.06 წილი
თუთიის ჯანგი	0.016 წილი
ვააქტივებული ნახშირი	0,01 წილი
ცხიმოვანი ფუძე	2,11 წილი

იხმარება ბუასილისა და უკანა ტანის ნაბზარებით გამოწვეული ტკივილის შესამცირებლად. აგრეთვე ქაეილისა და სპაზმის შემთხვევებში.

Rp: Suppositorii „Anaesthesoli“  
Dtd № 10

S. თითო სანთელი სწორ ნაწლავში ძილის წინ.

## ბენკაინი — Bencainum (B)

იხმარება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ინფილტრაციული ანესთეზიისათვის. გამოშვებულია 0,5 % ხსნარი 1 მლ ამპულებში №10 და 100.

Rp: Solutionis Bencaini 0,5%—1 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. ინფილტრაციული ანესთეზიისათვის.

## ნოვოკაინი — (Novocainum (B)

ფარმაკოლოგიური მოქმედებით ეკუთვნის ადგილობრივ საანესთეზო ნივთიერებათა ჯგუფს, მოქმედების გაძლიერებისათვის ნოვოკაინის ხსნარის 5 — 10 მლ უმატებენ ადრენალინის 0,1 % ხსნარის 1 წვეს.

იხმარება: ლორწოვანი გარსის ანესთეზიისათვის (2 — 5 — 10 % ხსნარი), ინფილტრაციული ანესთეზიისათვის (0,25 — 0.5 % — ხსნარი), ნოვოკაინით ბლოკადისათვის (0.25 — 0,5 % ხსნარი); ზურვის ტვინის ანესთეზიისათვის (2 — 5 % ხსნარის 2 მლ).

პარანეფრალური ბლოკადისათვის თირკმლის მიდამოს ფაშარ ქსოვილში შეჰყავთ 50 — 80 მლ 5 % ან 100 — 150 მლ 0.25 % ნოვოკაინის ხსნარი. ვოგოსიმპათიკური ბლოკადის დროს კი 30 — 100 მლ 0.25 % ხსნარი. ნოვოკაინს ხმარობენ აგრეთვე ჰიპერტონიული დაავადების, სისხლძარღვთა სპაზმის, კუჭისა და თორმეტკოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ნეიროდერმიტის, ეგზემის, კერატიტის, ქაეილის, ორსულთა ტოქსიკოზებისა და სხვა დაავადებათა დროს.

ნოვოკაინის 0,5% ხსნარის 10 — 15 მლ ფიზიოლოგიურ ხსნართან ერთად ნელა უშხაპუნებენ ვენაში,

გამოშვებულია ამპულებში 0,5% სსნარი 2,5 და 10 მლ.  
 1% სსნარი 1,2 და 10 მლ.  
 2% სსნარი 1,2 და 5 მლ.

Rp: Solutionis Novocaini 2%—5 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 2 მლ ზურგის ტვინის ანესთეზიისათვის.

ფუძე ნოვოკაინი ზეთში — Novocainum basicum in oleo

იხმარება ნაწიბურების, უკანა ტანის ნაბზარების ტკივილის დროს და ბუასილის ოპერაციის შემდეგ. შეჰყავთ კანქვეშ ან კუნთებში 5 — 20 მლ 1 — ჯერ.

გამოშვებულია 5% ზეთიანი ხსნარი 5 მლ № 10

Rp: Solutionis Novocaini oleosae 5% 5,0

D t d № 10 in ampulis

S. 1—2 ამპულა კანქვეშ 1-ჯერ დღეში.

### დამფარავი და ადსორბციული საშუალებანი

გალმანი — Galmaninum

შემადგენლობა: სალიცილის მჟავა 2,0

თუთიის ქანგი 10,0

სახამებელი 44,0

ტალკი 44,0

იხმარება ფეხის ოფლიანობის დროს, როგორც საღებინფექციო და გამომშრობი საშუალება.

გამოშვებულია თითო შეკვრაში 50—50 გრამი.

სახამებელი — Amylum

იხმარება, როგორც დამფარავი საშუალება გარედან მოსაყრელად, შიგნით ოყნით, მგრძობელობითი ნერვის დაბოლოების დაცვისათვის და ორგანიზმის მიერ წამლის შეწოვის შენელებისათვის.

თეთრი თიხა — Bolus alba

წარმოადგენს ალუმინის სილიკატს აქვს ადსორბციის უნარი და სწორედ ამ მიზნით იყენებენ მედიცინაში, იხმარება კანის დაავადების, წყლულის და დამწვრობის დროს.

Rp: Bolus alba 100,0

DS. 20,0 ერთ მიღებაზე კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს.

ლიკოპოდუმი — Lycopodium

იხმარება ბავშვთა პრაქტიკაში მოსაყრელად და აბების დასაფარავად.

გამოშვებულია თითო შეფუთვაში 15—15 გრამი.

თიხა-ასკანი — *Thicha ascana*

იხმარება არაბეთის გომიზის მაგივრად, ემულსიებისა და აგრეთვე ცხოველური ცხიმების მაგივრად მალამოების მოსამზადებლად, როგორც ფუძე.

იხმარება აგრეთვე შიგნით მისაღებად ენტეროკოლიტის დროს.

Rp: *Thicha ascana* 50,0

DS. 2—2 გრამი 2—3-ჯერ დღეში.

კარბოლენი — *Carbolenum*

შემადგენლობა: გააქტივებული ნახშირი 73%  
შაქარი 10%  
სახამებელი 12%  
სუფრის მარილი 5%

იხმარება შიგნით მისაღებად დისპეფსიების, მეტეორიზმის, კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადების დროს, როცა მომატებულია მჯობა, ალიმენტური ინტოქსიკაციების და მძიმე ლითონებითა და ალკალოიდებით მოწამელის შემთხვევებში.

გამოშვებულია თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტი 0,5

Rp: *Tablettae Carboleni* 0,5

D t d № 10

S. 1—2 ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

ვანელინი — *Vaselinum*

დაფასოებულია: 25 და 50 გრამის რაოდენობით.

Rp: *Vasolini* 25,0

DS. გარედან კანზე წასასმელად.

გლიცერინი — *Glycerinum*

დაფასოებულია შუშუბში 50 და 90 გრამის რაოდენობით.

Rp: *Glycerini* 50,0

DS. გარედან კანზე შესაზელად.

ბავშვთათვის კანზე მოსაყრელი ფხვნილი — *Aspersio puerilis*

შემადგენლობა: თუთიის ქანკი 1 წილი  
სახამებელი 1 წილი  
ტალქი 8 წილი

დაფასოებულია 50—20 გრამის რაოდენობით.  
იხმარება ბავშვთა პრაქტიკაში კანზე მოსაყოლად.

### კანისა და ლორწოვანი ბაჰის გამლიზიანებელი საშუალებანი

**ბორმენტოლი — Boromentholum**

შემადგენლობა: ბორისმეჯვა	5,4
მენტოლი	0,5
ვაზელინი	94,1

იხმარება, როგორც ანტისეფსისური და გამაუტკივარებელი საშუალება კანზე წასასმელად ქავილისა და ნევრალგიის დროს. აგრეთვე იხმარება ცხვირის ლორწოვან გარსზე წასასმელად სულის დროს.

გამოშვებულია თითო შეფუთვაში 5—5 გრამის რაოდენობით

Rp: Unguenti boromentholi 5,0

DS. საცხი ცხვირში წასასმელად.

**ვალიდოლი — Validolum**

პრეპარატი დამამშვიდებელ გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, რეფლექსურად აფართოებს გულის გვირგვინოვან და თავის ტვინის სისხლძარღვებს. იხმარება სტენოკარდიის საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნევროზების, ისტერიის, შაკიკის შემთხვევებში. იყენებენ აგრეთვე გულისრევისა და პირღებინების წინააღმდეგ.

ვალიდოლი წარმოადგენს 25—30% ხსნარს მენტოლისას იზოვალერიანის მეთილის ეთერში.

გამოშვებულია 0,06 №10 ტაბლეტებში და 5 მლ წვეთებში.

Rp: Tabulettae Validolum

Did № 10

S. თითო ტაბლეტი საჭიროების დროს, ენის ქვეშ სრულ გახსნამდე.

Rp: Validoli 5,0

DS. 4—5 წვეთი შაქრის ნატეხზე, ენის ქვეშ შეწოვამდე.

**მდოგვის ქაღალდი — Sinapis matis**

წარმოადგენს 8X12 ზომის ქაღალდზე წასმულ ცხიმოცილებულ მდოგვს, იხმარება, როგორც ადგილობრივი გამლიზიანებელი საშუალება.

Rp: Sinapis matis

D t d № 10

S. გარეგანი.

ქაფურის საცხი — Unguentum Camphoratum

შემადგენლობა: ქაფური	1 წილი
ლინოლინი	3 წილი
ვაზელინი	6 წილი

იხმარება გარედან წასასმელად კუნთების ტკივილისა და რევმატული დაავადების დროს.

გამოშვებულია ქილებში 15—15 გრამის რაოდენობით.

Rp: Unguenti camphorati

DS. კანზე შესაზელად.

ქაფურის 10% ხსნარი ზეთში — Oleum Camphoratum adusum  
Externum

გარედან წასასმელად გამოშვებულია 10 და 40 მლ ფლაკონებში.

Rp: Olei Camphorati

DS. კანზე შესაზელად.

ქაფურის სპირტი — Spiritus Camphoratus

ქაფურის 1 წილს ხსნიან სპირტის 7 წილში და უმატებენ 2 წილ წყალს, ანჯღრევენ. ხმარობენ გარედან წასასმელად განსაკუთრებით ნაწოლების პროფილაქტიკის მიზნით.

Rp: Spiritus Camphorati 40.0

DS. გარედან წასასმელად.

კბილის წვეთები — Guttæ odontalgicæ

შემადგენლობა: პიტნის ზეთი	3,1 წილი
ქაფური	6,4 წილი
სპირტი	33,5 წილი
ვალერიანის ნაყენი	57 წილი

გამოშვებულია მინის ფლაკონებში 10—10 მლ რაოდენობით. იხმარება კბილის ტკივილის დროს.

Rp: Guttæ odontalgicæ 10,0

DS. კბილის წვეთები.

კბილის წვეთები „დენტა“ — Guttæ odontalgicæ „Denta“

შემადგენლობა: ქაფური	1 წილი
კლორალჰიდრატი	1 წილი
სპირტი 96°	1 წილი

გამოშვებულია 5—5 მლ ფლაკონებში—იხმარება კბილის ტკივილის დროს.

Rp: Guttæ Odontalgicæ „Denta“ 5,0

DS. კბილის წვეთები.

კ ა ფ ს ი ნ ი — Capsinum

შემადგენლობა: სალიცილმჟავას მეთილის ეთერი 1 წილი  
წყლის წიწაკას ნაყენი 2 წილი  
ლენცოფას ზეთი— 2 წილი.

გამოშვებულია შუშის ფლაკონებში 50,0—50,0 გრამის რაოდენობით. იხმარება, როგორც გამაუტკივარებელი საშუალება, ხმარობენ აგრეთვე კუნთებისა და სახსრების რევმატიზმის და ართრიტის დროს.

Rp: Linimenti Capsinum

DS. კანზე გარედან შესახელად.

კ ა ფ ს ი ტ რ ი ნ ი — Capsitrium

შემადგენლობა: წყლის წიწაკას ალკოჰოლნაყენი 27 წილი  
კოზანას ალკოჰოლნაყენი 1 წილი  
მწვ-ნე საპონი 10 წილი  
ამიაკის წყალხსნარი 6 წილი  
სპირტი 60° 56 წილი.

გამოშვებულია 100,0 ფლაკონებში, იხმარება იმავე შემთხვევებში, რა შემთხვევაშიც კაფსინი.

Rp: Capsitriini 100,0

DS. კანზე გარედან შესახელად.

ა მ ო ლ ა დ ი ს ა ც ხ ი — Linimentum ammoniatum

შემადგენლობა: ამიაკის წყალხსნარი 25 წილი  
მზესუმზირას ზეთი 74 წილი  
ოლეინის მჟავა . 1 წილი

გამოშვებულია 50—50 გრამი ფლაკონებში. იხმარება, როგორც გამაუტკივარებელი საშუალება დამწვრობის დროს.

Rp: Linimenti ammoniati 50,0

DS. კანზე გარედან შესახელად.

ს ა ც ხ ი ბ ო მ - ბ ე ნ გ ე — Unguentum Baume-benge

შემადგენლობა: სალიცილმჟავა მეთილის ეთერი 21,0  
მენტოლი 4,0  
ვაზელინი 75,0

გამოშვებულია კარგად თავდასტურებულ მინის ქილებში 20—40 გრამის რაოდენობით.

იხმარება სახსრებისა და კუნთების რევმატიზმისა და ართროტიის დროს.

Rp: Unguenti Baume-benge 20,0

DS. გარედან კანზე შესაზელად.

სკიპიდარი — Oleum Terebinthinae

იხმარება გარედან, როგორც კანის გამღიზიანებელი და ნაწილობრივ გამაუტკივარებელი საშუალება, მალამოსა და ლინიმენტის სახით. უნიშნავენ აგრეთვე ნევრალგიების, მიოზიტის და ართროტიის დროს. ხმაობენ ინჰალაციისათვისაც.

Rp: Olei Terebinthinae 50,0

DS. 10—15 წვეთი 1 ჭიქა ცხელ წყალზე ინჰალაციისათვის.

Rp: Unguenti olei Terebinthinae 50,0

DS. გარედან კანზე შესაზელად.

სანიტასის ბალზამი — Balsamum „Sanitas“

შემადგენლობა: სალიცილმჟავა მეთილის ეთერი	24,0
ეკალიპტის ზეთი	1,2
სკიპიდარი	3,2
ქაფური	5,0
ლორის ქონი	33,3
ვაზელინი	33,3

გამოშვებულია მინის ქილებში 25—50 გრამის რაოდენობით. იხმარება სახსრებისა და კუნთების რევმატიზმის, აგრეთვე ართროტიის შემთხვევებში.

Rp: Balsamii „Sanitas“ 25,0

DS. გარედან კანზე შესაზელად.

მენტოლის ზეთი — 1 და 2% — Oleum Mentholum 1—2%.

შემადგენლობა: მენტოლი	1,0—2,0
ვაზელინის ზეთი	99,0—98,0

იხმარება გარედან, როგორც გამაუტკივარებელი და სუსტი ანტისეფსისური საშუალება, ფარინგიტის, ლარინგიტის, ტრაქეიტის დროს.

გამოშვებულია 10—10 გრამი.

Rp: Olei Mentholi 1%—10,0

DS. ცხვირის წვეთები.



მენტოლის სპირტი 1-2% — Spiritus Mentholi 1 et 2%.

გამოშვებულია ფლაკონებში 15—15 მლ რაოდენობით. იხმარება გარედან, როგორც დამამშვიდებელი და გამაუტკივარებელი საშუალება კანის დაავადებისა და ნევრალგიის დროს.

Rp: Spiritus Mentholi 2%—15,0

DS. გარედან კანზე წასასმელად.

პიტნის ტაბლეტები — Tabulettae Menthae

შემადგენლობა: პიტნის ზეთი 0,0025  
შაქარი 0,5

გამოშვებულია ტაბლეტებში №10 და 20—იხმარება გულსრევისა და პირღებინების წინააღმდეგ.

Rp: Tabulettae Menthae

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

პიტნის ნაყენი — Tinctura Menthae

თიამინბრომიდი — Thiaminum Bromatum (vitamini B<sub>1</sub>)

ვიტამინი სასურველ როლს ასრულებს ნერვული სისტემის  
ფუნქციის რეგულაციაში, კუჭ-ნაწლავის და გულ-სისხლძარღვთა

მოქმედებაში. ღებულობს მონაწილეობას ნახშირწყლების ცვლაში და სისხლწარმომშობ ორგანოთა მუშაობაში, იხმარება ჰიპო-და სრული ავიტამინოზის, ნევრიტის, ნევრალგიის, პერიფერიული ნერვების ტრავმული დაზიანების, ენცეფალოპათიის, დიაბეტის, პოდაგრის, კუქისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ღვიძლის დაავადების, კარდიოსკლეროზის, სტენოკარდიის, მიოკარდიუმის ინფარქტის, ენდოარტერიიტის, დერმატოზის, სხვადასხვა ეტიოლოგიის კანის ქავილის, ეგზემისა და ფსორიაზის დროს.

გამოშვებულია 1 მლ ამპულებში 0,5%, 5% და 6% ხსნარის სახით, დრაჟირებული 0,002-იანი 25 და 50 გრამი თითო შეკვრაში, ტაბლეტებში გლუკოზასთან.

Rp: Solutionis Thiamini bromati 5%—1 ml.

D t d № 15 in ampulis

S. თითო ამპულა კუნთებში დღეში 1-ჯერ.

Rp: Drageü Thiamini bromati 0.002—50,0

DS. 2 დრაჟე (ტაბლეტი) 3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae Thiamini bromati 0.001

et glucosae 1,0

D t d № 10

S. 2—2 ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

**პ ი რ ი დ ო ქ ს ი ნ ი (B<sub>6</sub> ვიტამინი) — Pyridoxinum**

პრეპარატი მონაწილეობას ღებულობს ნივთიერებათა ცვლაში, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს. იხმარება ორსულთა ტოქსიკოზის დროს (B<sub>1</sub> B<sub>2</sub> ვიტამინები, და სხვ.) ნევრიტის, მენინგოემელორადიკულიტის, პარკინსონიზმის; ქორეის, პელაგრის (ნიკოტინის მკევასთან), სხიური დაავადების, ტუბაზიდის მკურნალობით გამოწვეული მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების, ღვიძლის დაავადების (ბოტკინის ავადმყოფობა) ანემიის; კანის დაავადების (დერმატიტი, ფსორიაზი, ნეიროდერმატიტი და სხვ.) დროს და აგრეთვე არტერიოსკლეროზის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

გამოშვებულია 1 მლ ამპულებში 1, 2, 5 და 5% ხსნარის სახით.

Rp: Solutionis pyridoxini hydrochlorici 2.5%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. თითო ამპულა კუნთებში 2-ჯერ დღეში.

**რ ი ბ ო ფ ლ ა ვ ი ნ ი — (B<sub>2</sub> ვიტამინი) — Riboflavinum (vitamini B<sub>2</sub>).**

იხმარება ჰიპორიბოფლავინოზის ანუ სრული არიბოფლავინოზის, კონიუნქტივიტის, ირიტის, კერატიტის, თვალის გარსის წყლუ-

ლის. კატარაქტის, ხანგრძლივად შეუხორცებელი წყლულისა და კრილობის შემთხვევებში და აგრეთვე სხივური დაავადების ბოტკინის ავადმყოფობის, სებორეის, დერმატიტის და სხვა დაავადების დროს.

გამოშვებულია დრაჟე 0,002 50—50 გრამის რაოდენობით.  
აგრეთვე იხმარება სხვა ვიტამინებთან კომბინაციებში,

Rp: Dragee Riboflavini 0.002—50,0

Ds. 2—2 დრაჟე 3-ჯერ დღეში.

ქოლინქლორიდი — Cholinum Chloratum

პრეპარატი ეკუთვნის B ვიტამინის კომპლექსს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნივთიერებათა ცვლაში.

ქოლინქლორიდი იხმარება სტაციონარულ პირობებში ღვიძლის დაავადების დროს (ბოტკინის დაავადება, ჰეპატიტი, ციროზი) გამოშვებულია 10 მლ ამპულებში 20% ხსნარი №10

Rp: Solutionis cholini chlorati 20%—10 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. დამზადდეს გლუკოზის 5% ხსნარში პრეპარატის 1% ხსნარი, წვეთობრივად გაკეთდეს ვენაში სისწრაფით 30 წვეთი ერთ წუთში.

ფოლიკობალმინი — Folicobalminum (B)

შემადგენლობა: ფილიუმის მყავა 0,005  
ციანკობალმინი 0,00005

Rp: Tabulettae „Folicobalminum“

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

ნიკოვერინი — Nicoverinum (B)

შემადგენლობა: ნიკოტინის მყავა 0,05  
პაპავერინი 0,02

Rp: Tabulettae „Nicoverinum“

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

ჰეპავიტი — Hepavitum

წარმოადგენს ღვიძლის ორგანოთერაპიულ პრეპარატს, რომელიც სტანდარტიზებულია B<sub>12</sub> ვიტამინით და 1 მლ შეიცავს 10 ან 20 მიკ-მლ გ.

გამოშვებულია 2 მლ ამპულებში 6—6 ცალი თითო შეკვრაში, იხმარება ადისონ-ბირმერის დაავადების, ავთვისებიანი ანემიის დროს

და სხვ. უნიშნავენ კანქვეშ ან კუნთებში 2-4 მლ კვირაში. სასურველი შედეგის მიღებამდე.

Rp: Hepaviti 20

D t d № 6 in ampulis

S. 2—4 მლ კვირაში 1-ჯერ.

ჰეროვიტი -- Herovitum

შემადგენლობა: A ვიტამინი	250 სმე
B <sub>1</sub> ვიტამინი	0,75 მგ
B <sub>2</sub> ვიტამინი	1,0 მგ
B <sub>6</sub> ვიტამინი	0,25 მგ
B <sub>12</sub> ვიტამინი	0,5 მიკგ
C ვიტამინი	50 მგ
D ვიტამინი	70 მიკგ
E ვიტამინი	1 მგ
ქოლინიოლიდი	100 მგ
ნიკოტინმჟავა ამიდი	15 მგ
მეთილანდროსტენდიოლი	0,5 მგ
მენადინი	2,5 მგ

გამოშვებულია კაფსულებში თითო კოლოფში 20 და 100 კაფსულის რაოდენობით.

იხმარება როგორც საერთოდ ძილმომგვრელი საშუალება, მოხუცებულობის პერიოდში ცილების შეწოვის მოშლისას, ავიტამინოზისა და ჰიპოვიტამინოზის შემთხვევებში. ენტერიტის ჰეპატიტის, სიყვითლის დროს და ა. შ. უნიშნავენ 1—2 კაფსულას 3-ჯერ დღეში.

Rp: Heroviti

D t d № 10 in capsulis

S. 1—2 კაფსული 3-ჯერ დღეში.

გეროვიტალი — Gerovitalum H<sub>3</sub> (B)

პრეპარატი წარმოადგენს პროკაინის (ნოვოკაინის) 2% ხსნარს დანჯიდელს პროფ. ა. ასლანის მეთოდით (რუმინეთი), გამოშვებულია 2% ხსნარი ამპულაებში 5—5 მლ № 5.

იხმარება ნევრიტის, ნევრალგიის, ათეროსკლეროზის, რევმატული პოლიართრიტის, ეგზემის და სხვა დაავადების დროს, იყენებენ აგრეთვე სისხლძარღვების სპაზმისა და ნადრევი მოხუცებულობის პროფილაქტიკისათვის. უნიშნავენ 5 მლ 3-ჯერ კვირაში ერთი თვის განმავლობაში.



Rp: Gerovitali H<sub>3</sub>-2%—5,0

Dtd № 5 in ampulis

S. თითო ამპულა 3-ჯერ დღეში.

ფოლიუმმეცავა — Acidumfolicum (B)

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.002 №100, იხმარება მაკროციტური ანემიისა და სპრუს დროს. იყენებენ აგრეთვე ქრონიკული გასტროენტერიტისა და პელაგრის შემთხვევაში. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

Rp: Acidi folici 0.02

Dtd № 12 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ნიკოტინამიდი — Nicotinamidum (B)

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,025 №25, 50, 100, 200 და 300 რაოდენობით. იხმარება პელაგრის, მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტის და ლეიძლის ციროზის შემთხვევაში. უნიშნავენ 2—4 ტაბლეტს 3—4-ჯერ დღეში, 15—20 დღის განმავლობაში.

Rp: Nicotiu-amidi 0.025

Dtd № 25

S. 2 ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

ნიკოფორმი — Nicoforum

იხმარება ქოლესტიტის, ქოლანგიტის, სიყვითლის და ეპიდემიური ჰეპატიტის შემთხვევაში. უნიშნავენ შიგნით მისაღებად 2—2 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში. ან უშხაპუნებენ ვენაში პრეპარატის 4% ხსნარის 10 მლ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.5 №20 და ამპულებში 4% ხსნარი №5.

Rp: Nicoformi 0.5

Dtd № 10 in tabul.

S. 2—2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში (შემდგომ 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში).

A და D ვიტამინის პრეპარატი — Sirupus cum Axerophitholo et vitamini D

პრეპარატი მომზადებულია ყურძნის ან ხილეულის წვეწვზე— 100 და 175 გრამის რაოდენობით, კაკაოზე— 50, 165 და 200 გრამის რაოდენობით, შესქელებულ რძეზე— 100, 150 და 200 გრამში, ხილეულის სიროფზე 200 გრამის რაოდენობით.

პრეპარატის 1 ჩაის კოვზი შეიცავს A ვიტამინს 200 სე და D ვიტამინს 300 სე.

პრეპარატი განკუთვნილია ბავშვებისათვის და იხმარება ავიტამინოზთან დაკავშირებული ავადმყოფის სასაქურნალოდ.

Rp: Sirupi cum Axerophtholo et  
vitamini „D“ 200.0

1)S. ჩაის კოვზი 6-ჯერ დღეში.

ციანკობალმინი — (B<sub>12</sub> ვიტამინი) — Cyanocobalminum

პრეპარატი ანემიის საწინააღმდეგო მეტად ეფექტური საშუალებაა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოქმედება ადისონ-ბირმერის ანემიით დაავადებულთა მკურნალობის დროს და აგრეთვე სხვა ავთვისებიანი ანემიის მსგავსი დაავადების შემთხვევებში.

იხმარება ავთვისებიანი სისხლნაკლებობის, ორსულობით გამოწვეული ანემიის, ტოქსიკური ანემიის, რომელიც დაკავშირებულია ანტიბიოტიკების მიღებასთან, კუჭისა და ნაწლავების ოპერაციის შედეგად გამოწვეული ანემიის, სპრუს და სხვათა დროს და აგრეთვე გასტროენტეროგენული ანემიის (აქილია, კოლიტი), სხივური დაავადების, ლეიქმის დაავადების (ბოტკინის დაავადების, ჰეპატიტი, ციროზი) აღერგიული დაავადებისა და ნევრალგიის დროს.

გამოშვებულია ამპულებში 50—100, 200, 500 მიკ. გ, 1 მლ № 10 ან 100.

Rp: Solutionis Cyanocobalmini 200 მიკ. გ.

Dtd № 10 in ampulis

S. თითო მლ კუნთებში დღეკამოშვებით.

ასკორბინის მჟავა — C ვიტამინი.

C ვიტამინი მონაწილეობას ღებულობს ნივთიერებათა ცვლაში, ჟანგვა-აღდგენითი პროცესების რეგულაციაში, ახდენს გავლენას უჯრედებისა და ქსოვილების აღდგენაზე და სტეროიდული ჰორმონების წარმოქმნაზე, მისი ნაკლებობა ორგანიზმში იწვევს ავიტამინოზს—სკორბუტს.

იხმარება ცინგის (სკორბუტის) პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ. უნიშნავენ ინტოქსიკაციებისა და ინფექციური დაავადებების დროს, ჰემორაგიული დიათეზის შემთხვევებში, ანტიკოაგულანტების გადაჭარბებულ დოზებთან ან სხივურ დაავადებასთან დაკავშირებული სისხლდენის დროს, ადისონის დაავადების საწინააღმდეგოდ, კრილობების ან ძვლის მოტეხილობის აღდგენის დასაჩქარებლად.

გამოშვებულია დრაჟე—0,05, თითო ფლაკონში 12,0, 25,0 50,0 რაოდენობით.

ტაბლეტები — 0,35, თითო შეკვრაში 10,0 ცალი; 0.25 ტაბლეტებში 30—30 ცალი. ტაბლეტი—2,5—საერთო წონა 3.0; თითო შეფუთვაში 10 ცალი. ტაბლეტებში C ვიტამინი, 0,05, გლუკოზა 0,5 №10. სიროფი ასკილიდან—შუშებში 250 მლ, სადაც 1 მლ-ში არის 5 მლ ასკორბინის მკევა. ამპულებში ასკორბინის მკევა 1% გლუკოზის 40% ხსნარში 10 და 20 მლ № 10. 1, 2 და 5 მლ ამპულებში 5% ხსნარი; 1 და 2 მლ 10% ხსნარი, № 10.

Rp: Dragee Acidi ascorbinici 0,35—25,0

D.S. 2—2 დრაჟე 3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae Acidi ascorbinici 0,35—10,0

D.S. თითო ტაბლეტი 1—2-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae acidi ascorbinici 0,25

D t d № 30

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae acidi ascorbinici 2,5

D t d № 10

S. საკვების ვიტამინიზებისათვის.

Rp: Tabulettae vitamini C 0.05

et glucosae 0.5

D t d № 30

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis vitamini C 1% et glucosae 40%—20 ml.

D t d №12 in ampulis

S. 10—20 მლ კუნთებში.

Rp: Solutionis vitamini C 5%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. თითო ამპულა 2-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis vitamini C 10%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. თითო ამპულა კუნთებში 1-ჯერ დღეში.

ასკორუტინი — Ascorutinum

შემადგენლობა: ასკორბინის მკევა 0,05

რუტინი 0,025

გლუკოზა 0.2

იხმარება, როგორც სამკურნალოდ, ისე პროფილაქტიკის მიზნით ჰიპოდა ავიტამინოზის, ჰემორაგიული დიათეზის შემთხვევებში,

სხივური დაავადების დროს და სხვ. უნიშნავენ 1—2 ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

ასკილის ნაყოფი — *Fructus cynasbatis*

იხმარება მკურნალობაში გამონაცემის სახით (1:20) სკორბუტის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

გამოშვებულია თითო შეფუთვაში 100—100 გრამის რაოდენობით.

Rp: *Fructus cynasbatis* 100,0

DS. 1 სუფრის კოვზს უნდა დაესხას 1 ჭიქა მდუღარე წყალი და უნდა ადუღონ მომინანქრებულ ჭურჭელში 10 წუთი. დააყენონ 2—3 საათს, გაწურონ და მიიღოს 1/2—1 ჭიქა დღეში 2-ჯერ.

რუტინი — *Rutinum*

პრეპარატს აქვს „P“ ვიტამინის თვისება, ამცირებს კაპილარების მსხვრევადობას და ჟინვადობას.

იხმარება: ქუნთრუშის, წითელას, შაქრიანი დიაბეტის, დერმატოზების ჰიპერტონიული დაავადების, კაპილაროტოქსიკოზის, ანტიკოაგულანტის ზედმეტი მოქმედების წინააღმდეგ, რენტგენ-რადიუმ თერაპიის დროს და სხივური დაავადების სამკურნალოდ.

გამოშვებულია 0,02 ტაბლეტებში №50, უნიშნავენ ორ-ორ ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: *Tablettae Rutini* 0.02

D t d № 50

S. 2—2 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

ურუტინი — *Urutinum*

შემაღვენლობა: რუტინი 0,025 (2,5%)

ჰექსამეთილენტეტრამინი

(უროტროპინი) 0,05 (5%)

გამოშვებულია 1 მლ ამპულაში № 10.

იხმარება იმავე შემთხვევაში რა შემთხვევაშიც რუტინი

Rp: *Urutini* 1 ml.

D t d № 10 in ampulis

ს. კუნთებში 1 მლ დღეში 1-ჯერ.

რუტამინი — *Rutaminum* (B)

შემაღვენლობა: რუტინი 50,0

ფუძე ნოვოკაინი 50,0

ნატრიუმის ტეტრაბორატი 5,0

წყალი საინექციო 1 ლიტ.-მდე.

გამოშვებულია 1 მლ ამპულაში 10 და 100 ცალი თითო კოლოფში.

ინმარება კაპილარების განვლადობის, უონვადობისა და მსხვრევადობის შესამცირებლად, უშაპუნებენ კანქვეშ ან კუნთებში 1 მლ 1-ჯერ დღეში.

**P ვიტამინი — Vitaminum P.**

გამოშვებულია 0,015 ტაბლეტებში — წონით 0,5, თითო შეკვრაში 80 ცალი და 0,03 წონით 1.0, თითო შეკვრაში 40 ცალი. გამოშვებულია აგრეთვე დრაჟე ტაბლეტებში 0.025, 0.05, 0,1

ინმარება კაპილარების შესავიწროებლად, ჰემორაგიული დიათეზის, თვალის ფსკერში სისხლჩაქცევის შემთხვევაში, კაპილაროტოქსიკოზის, ფილტვებიდან სისხლდენის, ტროფიკული წყლულის დროს. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

**Rp: Tabulettae Vitamini P. 0.03**

**D t d № 40**

**S. თითო ტაბლეთი 3-ჯერ დღეში.**

**რუტინი და C ვიტამინი — Rutinum et Vitaminum C.**

შემადგენლობა: ასკორბინის მჟავა 0.05

რუტინი 0.025

გამოშვებულია დრაჟე ტაბლეტებში თითო შეფუთვაში 60 და 80 ცალი, ინმარება ჰიპო-და ავიტამინოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. კაპილარების განვლადობის შემთხვევაში, თვალს გარსში სისხლჩაქცევის დროს. უნიშნავენ თითო დრაჟეს 2 — 3-ჯერ დღეში.

**Rp: Acidi ascorbinici 0,05**

**Rutini 0,025 № 60**

**DS. თითო დრაჟე 2—3-ჯერ დღეში.**

**კალციუმის პანგამატი — Calcium pangamatum (vitamini B<sub>12</sub>)**

პრეპარატი წარმოადგენს გლუკონის მჟავა ეთერისა და დიმეთილგლიცინ კალციუმის მარილს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.005 № 100.

ინმარება ათეროსკლეროზის სხვადასხვა ფორმის. ფილტვების ემფიზემის, ქრონიკული ჰეპატიტის, ლვიძლის ციროზის საწყისი სტადიის, კანისა და ვენერული სნეულების (სიფილისური აორტიტი) ფილტვებისა და გულის 1 ხარისხის უკმარისობის მოვლენების, კორტიკოსტეროიდების და სულფამიდების ხმარებით გამოწვეული მოწამვლის და ალკოჰოლიზმის შემთხვევაში.

უნიშნავენ 1 — 2 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

Rp: Calcii pangamati (vitamini B<sub>12</sub>) 0.005

Dtd № 100 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

**D<sub>2</sub> ვიტამინი — Vitaminum D<sub>2</sub>**

პრეპარატი სპეციფიკური ანტირაქტული საშუალებაა. აწესრიგებს კალციუმისა და ფოსფორის მეტაბოლიზმს, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას.

იხმარება რაქიტის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, პარათირეოიდული ჯირკვლების ფუნქციის მოშლის (ტატანია), ძვლების დაავადების (კალციუმის ცვლის დარღვევით გამოწვეული), ზოგიერთი ფორმის ტუბერკულოზის, ფსორიაზის და სხვ. დროს.

გამომშვებულია დრაჟე თითო შეფუთვაში 50,0 რაოდენობით, 1 დრაჟეს აქტივობა უდრის 500 მე. აგრეთვე სპირტიანი ხსნარი 10 მლ რაოდენობით. 1 მლ აქტივობა უდრის 200.000 მე და ზეთიანი ხსნარის სახით ფლაკონებში 10, 20, 30 მლ. 1 მლ აქტივობა უდრის 50.000 მე.

Rp: Dragée vitamini D<sub>2</sub>—50,0

DS. თითო დრაჟე 3-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis vitamini D<sub>2</sub> Spirtuosae 10,0

DS. 1—2 წვეთი დღეში 1-ჯერ.

Rp: Solutionis vitamini „D<sub>2</sub>“ oleosae 10.0

DS. 3—5 წვეთი დღეში 1-ჯერ.

**E ვიტამინი — Vitaminum E**

E-ვიტამინი ლებულობს მონაწილეობას ორგანიზმში ჟანგვა-აღდგენითი პროცესების მსვლელობაში. აღნიშნული ვიტამინის ნაკლებობა იწვევს დეგენერაციულ ცვლილებებს ჩონჩხისა და გულის კუნთებში. მოქმედებს გენიტალური ორგანოების ფუნქციაზე.

იხმარება კუნთების დისტროფიისა და ზოგიერთი ნერვული დაავადების დროს. გინეკოლოგიურ პრაქტიკაში (ამენორეის, ოლიგომენორეის, ორსულთა ტოქსიკოზის და სხვ.), უნიშნავენ პრეპარატის ზეთიანი ხსნარის 1 ჩაის კოვზს დღეში.

E-ვიტამინი წარმოადგენს კონცენტრატს ხორბლის ჩანასახისას ზეთში, გამოშვებულია ფლაკონებში 90 მლ რაოდენობით, 1 მლ შეიცავს 2 მგ E ვიტამინს.

გამომშვებულია ამპულებში 1 მლ № 10.1 მლ შეიცავს 0,05 — 0.2 E-ვიტამინს და გამოშვებულია აგრეთვე სპირტშაქრიანი ხსნარი — 30 და 60 მლ რაოდენობით, რომლის 1 მლ შეიცავს 0,5 მგ E ვიტამინს.

Rp: Solutionis vitamini E Oleosae 10,0

D.S. ჩაის კოვზით 1-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis vitamini E spirit cum saccharum 90,0

D.S. სუფრის კოვზი 1-ჯერ დღეში.

ვიკასოლი — Vikasolum (B)

წარმოადგენს სინთეზურად მიღებულ K ვიტამინის ანალოგს. იგი არის ანტიჰემორაგიული ვიტამინი, ადიდებს პროთრომბინის რაოდენობას სისხლში, რაც სასურველ გავლენას ახდენს სისხლის შედედებაზე.

იყენებენ სისხლდენის შემაჩერებლად (რაც გამოწვეულია პროთრომბინის ნაკლებობით). სიყვითლის დროს, მწვავე ჰეპატიტის. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებით გამოწვეული სისხლდენის შესაჩერებლად, საშვილოსნოდან პათოლოგიური სისხლდენის, მშობიარობის შემდგომი ხანის. ოპერაციის წინ, როცა მოსალოდნელია სისხლდენა და აგრეთვე ეფექტურად მოქმედებს დიკუმარინისა და პელენტანის ქარბი დოზების მიღების გამო გამოწვეული მოვლენების წინააღმდეგ. პრეპარატის მოქმედება იწყება მიღებიდან 12—18 საათის შემდეგ. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში. გამოშვებულია 0,015 ტაბლეტებში №50 და 5 მლ ამპულებში 0,5% ხსნარის № 10.

Rp: Tabulettae vikasoli 0,015

D t d № 50

S. თითო ტაბლეტი დღეში 2-ჯერ.

Rp: Solutionis Vikasoli 0,5%—5 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 0,5—1 მლ კუნთებში 1-ჯერ დღეში.

გარდა აღნიშნული პრეპარატებისა (ვიტამინებისა), გამოშვებულია ქვემოთაღმოთვლილი კომბინირებული პრეპარატები ვიტამინებით, რომლებიც იხმარება ყველა იმ დაავადების წინააღმდეგ, რომლისთვისაც თვით ვიტამინები, მხოლოდ ესენი იჩენენ კომპლექსურ მოქმედებას.

CB<sub>1</sub> ვ ი ტ ა მ ი ნ ი — Vitaminum CB<sub>1</sub>

შემადგენლობა: ასკორბინის მჟავა 0,025

თიამინბრომიდი 0,001

გამოშვებულია თითო ფლაკონში 50—50 გრამი დრაჟეს სახით.

Rp: Tabulettae vitamini CB<sub>1</sub>—50,0

D.S. 1—2 დრაჟე 3-ჯერ დღეში.

პოლივიტამინი — Polvitaminum

შემადგენლობა: აქსეროფტოლი	1650 მგ
თიამინბრომიდი	0.001
რიბოფლავინი	0.001
ასკორბინის მჟავა	0,025

გამოშვებულია დრაჟე ფლაკონებში 50 — 50 გრამის რაოდენობით. უმთავრესად იხმარება კომპლექსური პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის ჰიპო-და ავიტამინოზის დროს, გონებრივად დაღლილობის შესამცირებლად და სხვ.

Rp: Dragee Polvitamini 50,0

DS თითო დრაჟე დღეში 3-ჯერ.

C<sub>1</sub> PP ვიტამინი — Vitaminum C<sub>1</sub> PP (B)

შემადგენლობა: ასკორბინის მჟავა	0,1
ნიკოტინის მჟავა	0,02

გამოშვებულია ფლაკონებში 50—50 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: Tabulettae vitamini C, PP

Dtd № 5

S. თითო ტაბლეტი დღეში 3-ჯერ.

A და D ვიტამინების პრეპარატი.

გამოშვებულია ხილის წვენი 200 — 200 გრამის რაოდენობით, 1 ჩაის კოვზი პრეპარატი შეიცავს „A“ ვიტამინის 200 სე და D ვიტამინის 300 სე.

Rp: Sirupi cum Axerophtholo et  
Vitamini D 200,0

DS. ჩაის კოვზი დღეში 1-ჯერ.

იგივე პრეპარატი გამოშვებულია იმავე შემცველობით ბავშვებისათვის კაკაოზე, დანიშნულება იკივია.

ვიტამინი ზებული თევზის ქონი — Oleum jecoris cum vitamino

1,0-ის შემადგენლობა: აქსეროფტოლი	500 მგ
ვიტამინი „D“	250 მგ.

გამოშვებულია ფლაკონებში 90,0, 180,0 და 250,0 რაოდენობით. იხმარება როგორც საყუათო საშუალება რაქიტის წინააღმდეგ, მოტეხილობის შეხორცების დასაჩქარებლად, ჰემერალოპის წინააღმდეგ.

ბავშვებს აძლევენ ჩაის კოვზით, მოზარდებს სუფრის კოვზით 2 — 3-ჯერ დღეში კამის წინ.



Rp: Olei jecoris cum Vitamino -A et D<sup>6</sup>

160,0

1)S. ჩაის კოვზით 2-ჯერ დღეში.

## II. სისხლის თეთრი ბურთულვიზის მასტიმულირებელი საშუალებანი

ლეიკოგენი — Leucogenum (B)

იხმარება, როგორც სისხლის თეთრი ბურთულვიზის (ლეიკოციტების) წარმოშობის მასტიმულირებელი საშუალება.

უნიშნავენ 0,02 დღეში 3 — 4-ჯერ ლეიკოციტების (სისხლის თეთრი ბურთულვიზის) სასურველი რაოდენობის აღდგენამდე.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,02

Rp: Tabulettae Leucogeni 0,02

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

თეზანი — Thesanium (B)

პრეპარატი ახდენს ლეიკოციტების წარმოშობის სტიმულაციას. იხმარება ლეიკოპენიის შემთხვევებში, რომლებიც განვითარებულია მედიკამენტების მიღებასთან ან სხივურ დაავადებასთან დაკავშირებით. უნიშნავენ შიგნით მისაღებად 0,01, დღეში 3 — 4-ჯერ. 10 დღის განმავლობაში ან კუნთებში 0,1% ხსნარის 1 მლ, 1 — 2 კვირის განმავლობაში.

გამოშვებულია 0,01 ტაბლეტებში და 1 მლ ამპულებში 0,1% ხსნარი.

Rp: Tabulettae Thesani 0.01

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 4-ჯერ დღეში.

Rp: Solutionis Thesani 0,1%—1 ml.

D t d № 10

S. 1 მლ კუნთებში დღეში 1-ჯერ.

## III. სისხლის შედედების შემნელებელი საშუალებანი

ჰეპარინი — Heparinum

პრეპარატი სისხლის შედედებებს საწინააღმდეგო საშუალებაა. ამავე დროს აკავებს ჰიალურონიდაზის აქტივობას, ხელს უწყობს თრომბული მასის დაშლას და სისხლძარღვთა გამავლობის აღდგენას, ამცირებს ქოლესთერინის რაოდენობას სისხლში, დიდი დოზებში, ა. გელბახანი, ი. თაბაგარი

ბით იწვევს სისხლძარღვთა გაფართოებას და არტერიული წნევის დაწევას.

იხმარება თრომბოემბოლიური გართულებების პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ, თრომბოფლებიტების, ემბოლიების, ლაბორატორიული გამოკვლევების დროს სისხლშიმოქცევის შენელებისათვის.

პრეპარატი გამოშვებულია ფლაკონებში 5 მლ რაოდენობით. 1 მლ შეიცავს 5000 მე.

Rp: Heparini ო ml.

Dtd № 3 in ampulis

S. 2 მლ კუნთებში 2-ჯერ დღეში.

ნეოდიკუმარინი — Neodicumarinum (A)

იხმარება. როგორც სისხლის შედედების შემამცირებელი საშუალება თრომბოზის, თრომბოფლებიტის, ემბოლიის, თრომბოემბოლიური დაავადების და მიოკარდიუმის ინფარქტის დროს.

უნიშნავენ შიგნით 0,2 3-ჯერ დღეში, შემდეგ 0,15 დღეში 3-ჯერ, ხოლო ბოლოს 0,1—0,2 დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში — 0,05, 0,01 და 0,2 № 10

Rp: Tabulettae Neodicumarini 0.2

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ, 2-ჯერ და ბოლოს 1-ჯერ დღეში.

ფენილინი — Phenilinum (A)

იხმარება თრომბოზის, ემბოლიის, მიოკარდიუმის ინფარქტის დროს.

უნიშნავენ 0,03 — 0,05 2--3-ჯერ დღეში 2 დღის განმავლობაში. შემდეგ 0,01 — 0,02 დღეში 1 — 2-ჯერ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,03, 0,05 და 0,1

Rp: Tabulettae phenilini 0.03

Dtd № 20

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

სინთეზური ანტირომბინი C — 1, სინანტრენი C — 1 —  
Sinantreni C—1

წარმოადგენს ჰეპარინის ანალოგიურ პრეპარატს და ამჟღავნებს სისხლის შედედების საწინააღმდეგო თვისებას.

იხმარება თრომბოზისა და ემბოლიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის პრაქტიკაში, მოყინვისა და დამწვრობის დროს, მიოკარდიუმის ინფარქტის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, სისხლის გადასხმისა და თრომბოფლებიტის დროს.

გამოშვებულია ამჟღადში. მშრალი პრეპარატის 1 კგრამში  
უნდა იყოს 15 მე ან 49500 სმე.

Rp: Sinantreui C-1-1.0

Dtd № 10 in ampulis

S. 0,5-1 მლ ყოველ 6 საათში 3 დღე-ღამის გან-  
მავლობაში.

პელენტანი — Pelentan (A)

თავისი მოქმედებით ახლოს დგას ნეოდიკუმარინთან, იხმარე-  
ბა სისხლის შედედების შესამცირებლად (სისხლძარღვებში). უნიშ-  
ნავენ აგრეთვე თრომბოფლებიტის, ემბოლიის და მიოკარდიუმის  
ინფარქტის დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში — 10,250, 1000 ტაბლეტის რა-  
ოდენობით.

Rp: Tabulettae „Pelentan“

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

სინკუმარი — Syncumar (A)

პრეპარატი წარმოადგენს 3 (ალფა — 4 — 6 ნიტროფენილ) — 4  
ოქსიკუმარინს — გამოშვებულია ტაბლეტებში 0,004 № 25 და 250.

იხმარება თრომბოემბოლიის პროფილაქტიკისა და მკურნალო-  
ბისათვის. უნიშნავენ პირველ დღეს 5 — 7 ტაბლეტს. მეორე დღეს  
4 — 6 ტაბლეტს, მესამე დღიდან 1 — 2 ტაბლეტს.

Rp: Syncumar 0.004

Dtd № 25 in tabul.

S. სქემის მიხედვით.

ფიბრინოლიზინი — Fibrinolisinum

გამოშვებულია 10,000, 20,000 და 30,000 მე ფლაკონებში.

იხმარება მწვავე ან ქრონიკული გამწვაებული თრომბოფლე-  
ბიტის, პერიფერიული და ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის  
(5 — 7 დღის განმავლობაში) ტვინის სისხლძარღვების თრომბოემ-  
ბოლიისა და მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევებში.

ზსნარს ამზადებენ Extempore იმ ანგარიშის, რომ 1 მლ ფი-  
ზიოლოგიურ ხსნარში იყოს პრეპარატის 60 მე. უნიშნავენ ვენაში  
შესაყვანად 4000 — 5000 მე საათში წვეთობრივი მეთოდით ისე,  
რომ სულ შეშხაპუნებულ იქნას 20,000 — 30,000 მე.

Rp: Fibrinolisini 10.000 მე

Dtd № 10 in lagenam

S. 20.000 მე ვენაში წვეთობრივი მეთოდით.

#### IV. სისხლის შედედების დამაჩქარებელი საშუალებანი

##### მთის — არწივის ყვავილი — *Flos Arnicae*

იხმარება გამონაცემისა და ნაყენის სახით გინეკოლოგიურ და სამეანო პრაქტიკაში სისხლდენის შესაჩერებლად, ხმარობენ ქოლესტიტის დროსაც.

გამოშვებულია ყვავილები თითო შეფუთვაში 100 — 100 გრამი და ნაყენის სახით 15 და 25 მლ ფლაკონებში.

Rp: Foliorum Arnici 100,0

DS. გამონაცემის მოსამზადებლად.

5—10 წვეთი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

##### ველატინა — *Gelatina*

იხმარება, როგორც სისხლის შედედების დამაჩქარებელი და როგორც სისხლდენის შემაჩერებელი საშუალება.

გამოშვებულია 10, 20, 25 მლ 10% ხსნარისა № 10

Rp: Solutionis Gelatinae 10%—25,0

Dtd .N: 10

S. 10 -15 მლ კანქვეშ (ან 6—10 მლ ვენაში).

ხმარების წინ ხსნარი შემთხარის უნდა იყოს სხეულის ტემპერატურამდე.

##### ლაგოხილუსის ნაყენი — *Tinctura Lagochilli*

იხმარება, როგორც სისხლის შედედების დამაჩქარებელი საშუალება. საშვილოსნოდან, ცხვირიდან, ბუასილის დროს და სხვ. სისხლდენის შესაჩერებლად. ხმარობენ აგრეთვე ოპერაციის დროს მომეტებული სისხლდენის შეწყვეტისათვის; იყენებენ გლაუკომის დროსაც, როგორც მიოზურ საშუალებას.

გამოშვებულია ფლაკონებში 50 — 50 გრამის რაოდენობით.

Rp: Tincturae Lagochilli 50,0

ჩაის კოვზი (1/4 ჭიქა წყალში) 3—5-ჯერ დღეში.

##### ფარსმანდუკის (ათასფურცლა) ბალახი — *Herba Millefolium*

შეიცავს ალკალოიდ ახილენს, კაროტინს, C ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთს, ორგანულ მჟავებს.

მელიციინაში იხმარება სითხოვანი ექსტრაქტი და ბალახის გამონაცემი, როგორც სისხლდენის შემაჩერებელი საშუალება, უმთავრესად საშვილოსნოდან სისხლდენის დროს.

გამოშვებულია ბალახი თითო შეკვრაში 100 — 100 გრამი და სითხოვანი ექსტრაქტი.

Rp: *Herbae Millefolii* 100,0

DS. გამონაცემის მოსამზადებლად.

Rp: *Ext. Millefolii fluidi* 30,0

DS. 20—40 წვეთი 3-ჯერ დღეში კამის წინ.

ავიკულარენი — *Avicularenium*.

პრეპარატი იხმარება სისხლის შედედების დასაჩქარებლად, ამასთან, ადიდებს ტონუსს და აძლიერებს საშვილოსნოს მუსკულატურის შემამცირებელ მოქმედებას, მშობიარობის შემდგომ პერიოდში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,5 № 10

Rp: *Tablettae Aviculareni* 0,5

Dtd № 10

S. 1—2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

## V. ორჰანო და ჰორმონთერაპიული პრეპარატები და მათი სინთეზური ანალოგები

ა) ტვინის დანამატის — ჰიპოფიზის ჰორმონული პრეპარატები და მათი სინთეზური ანალოგები

ადიურეკრინი — *Adiurecrinum* (B)

პრეპარატი წარმოადგენს მშრალ პიტუიტრინს, მზადდება პირუტყვის ტვინის დანამატის უკანა ნაწილიდან, შეიცავს ჰიპოფიზის უკანა ნაწილის ჰორმონს — ანტიდიურეზულ ფაქტორს. ახდენს გავლენას წყლისა და მარილის ცვლაზე.

იხმარება უშაქრო დიაბეტის წინააღმდეგ და აგრეთვე ღამლამობით შარდის შეუკავებლობის დროსაც.

მოქმედება იწყება 15 — 20 წუთის შემდეგ პრეპარატის მიღებიდან და გრძელდება 8 საათამდე, 1,0 შეიცავს 1 მე.

გამოშვებულია ფლაკონებში 1,0, 2,0, 5,0 და 10,0 რაოდენობით.

Rp: *Adiurecrini* 2,0

DS. 0,05 დღეში 2—3-ჯერ ცხვირში შესასუნთქად.

ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი (აქტჰ) — *Hormonium adreno. corticotropinum* — „AKTH“ (B)

პრეპარატი მზადდება დასაკლავი საქონლის ტვინის დანამატის წინა ნაწილიდან, რომელიც მაქსიმალურად გასუფთავებულია სხვა ჰორმონებისაგან.

ახდენს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის სტიმულაციას და იწვევს კორტიკოიდული ჰორმონების გამოყოფას (კორტიზონის). გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლაზე, ამცირებს კაპილარების ჟონეადობას და იჩენს ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას. ამ თვისებათა გამო პრეპარატი იხმარება: მწვავე რევმატიზმის, რევმატული და ინფექციური პოლიართრიტის, ნიკრისის ქარის, ბრონქული ასთმის დროს და აგრეთვე ლეიკემიის შემთხვევაში.

გამოშვებულია მშრალი სტერილური ფხვნილის სახით ქერმეტულად თავდაცულ ფლაკონებში 10, 20, 30, 50, 100 გრამის რაოდენობით (1,0 აქტივობა უდრის 1 მე) ხმარებისათვის ხსნარს ამზადებენ დანიშნულების წინ ასეფსისურად.

**Rp: Hormoni adrenocorticotropini pro  
injectionibus 20 ME. (2)(1).**

**Dtd .N 10 in ampulis.**

**S. 1 მლ კუნთებში 4-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში (ფლაკონში მოთავსებული პრეპარატი ხმარების წინ უნდა გაიხსნას 1 მლ ახლად გამოხდილ სტერილურ წყალში ან სტერილურ ფიზოლოგიურ ხსნარში).**

**ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი — თუთია ფოსფატი — Hormonum adreno corticotropinum — Zincum phosphoricum (5)**

გამოშვებულია ფლაკონებში 1 მლ (100 მე) ფოსფატნატრიუმის ხსნარში, თუთიისა და კონსერვანტის დამატებით.

იხმარება იმავე შემთხვევებში, რა შემთხვევაშიც აკტპ, მხოლოდ აქვს გახანგრძლივებული მოქმედება.

**Rp: Hormoni adrenocorticotropini—Zinci phosphorici  
100 ME—1,0 .N 2**

**DS. 0,5—2 მლ კუნთებში 2—3 კვირაში.**

**ჰონადოტროპინი ქორიონული—Gonadotropinum chorionicum.**

ამზადებენ ორსული ქალის შარდიდან. 1 მგ მშრალი ფხვნილი უნდა შეიცავდეს 1000 მე-ს.

იხმარება ქალისა და მამაკაცის სასქესო ფუნქციის მოშლის ან უკმარისობის დროს, უნიშნავენ კუნთებში შესაწახაუნებლად 500, 1000, 1500 მე. გამოშვებულია ამპულაებში 3—3 ცალის რაოდენობით (1 ამპულა შეიცავს 500 ან 2000 მე) და სამ-სამი ამპულა გამხსნელი.

Rp: Gonadotropini chorionici №6 ME.

D t d № 6 in ampulis.

S. კუნთებში 500 მე (ამპულაში მოთავსებული პრეპარატი ხმარების წინ გახსნილი უნდა იქნას თანდართულ გამხსნელში).

პროლაქტინი — Prolactinum

უნიშნავენ ახლადმშობიარე დედას — რძის ნაკლებობის მომენტის დადგენისთანავე, ხოლო მრავალშვილიან დედებს ლაქტაციის შემცირების დროს. გამოშვებულია ჰერმეტულად თავდაცულ ფლაკონში 5 მლ რაოდენობით.

Rp: Prolactini 5.0

DS. კუნთებში 1—2 მლ 1-ჯერ დღეში.

ინტერმედინი — Intermedinum.

იხმარება ბადურის დეკენერაციული ცვლილების (პეკმენტური რეტინიტი, მემერალოპია მიოპიური ქორიორეტინიტი) აუმჯობესებს სიბნელესთან შეგუებას და მხედველობის სიმჩვილეს.

გამოშვებულია ფლაკონებში 0,1 და 1,0 რაოდენობით.

Rp: Solutionis Intermedini 5%—10,0

DS. 3—3 წვეთი თითოეული თვალის კონიუნქტურულ პარკში (თითო წვეთს შორის შეაღებდი 5 წუთი).

პიტუიტრინი — Pituitrinum (B)

წარმოადგენს ჰიპოფიზის უკანა ნაწილის ჰორმონების წყლიან გამონაწვლილს. იხმარება საშვილოსნოს შეკუმშვის გასაძლიერებლად მშობიარობის დროს. მშობიარობის შემდეგ სისხლდენის შესაჩერებლად, იყენებენ აგრეთვე მეტრორაკიებისა და უშაქრო დიაბეტის დროს.

გამოშვებულია ამპულაში 1 მლ № 6; 1 მლ აქტივობა უდრის 3 მე.

Rp: Pituitrini 1.0

D t d № 6 in ampulis

DS. კანქვეშ 1 მლ 1-ჯერ დღეში.

ანტიასთმოკრინი — Antiasthmocrinum.

პრეპარატი წარმოადგენს 0,1% ქლორწყალადმკევა ადრენალინის ხსნარისა და ჰიპოფიზის უკანა ნაწილის გამონაწვლილის (პიტუიტრინის) თანაბარი რაოდენობის ნარევს.

იხმარება ბრონქული ასთმის წინააღმდეგ. უნიშნავენ ბრონქული ასთმის შეტევის ან დაწყების დროს 0,5 მლ კანქვეშ.

გამოშვებულია ამპულაში 1 მლ № 6.

Rp: Antiasthmocriini 1,0

D t d № 6 in ampulis

ს. 0,5—1 მლ კანქვეშ ბრონქული ასთმის შეტევის დროს.

შ ა მ ო ფ ი ზ ი ნ ი — Mammophysinum

წარმოადგენს პიტუიტრინის და მეწველი ძროხის სარძეო ჯირკვლის ექსტრაქტის (მამინის) ნარევს.

იხმარება პირველადი და მეორადი მშობიარობის სისუსტის, მშობიარობის შემდეგ ჰიპოტონიური სისხლდენის და საშვილოსნოდან სისხლდენის დროს, რომელიც დაკავშირებულია ქრონიკულ ანთებით პროცესებთან, იყენებენ აგრეთვე საშვილოსნოს ფიბრომის დროს.

გამოშვებულია ამპულებში 1 მლ № 6. უნიშნავენ მშობიარობის დროს 0,3 — 0,4 მლ ყოველ 30 წუთში (სულ 6 ინექცია) საშვილოსნოს ფიბრომის დროს 1 — 1,5 მლ.

Rp: Mommophysini 1 ml.

D t d № 6 in ampulis

ს. 1—1,5 მლ კანქვეშ საშვილოსნოდან სისხლდენის დროს.

### ბ) ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონული პრეპარატები და ანტითირეოიდული საშუალებანი

თ ი რ ე ო ი დ ი ნ ი (მშრალი, ფხვნილებში) — Thyroidinum (siccum — pulveratum) (5)

იგი ჰორმონული პრეპარატია, რომელსაც ამზადებენ პირუტყვის ცხიმოცილებული, გამშრალი ფარისებრი ჯირკვლიდან. შეიცავს იოდს 0,17 — 0,23 %-ს. იხმარება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის უკმარისობის (მიქსოდეზმა, კრეტინიზმი, ჰიპოთირეოზი, თირეოგენული ინფანტილიზმი, სპორადული და ენდოკრინული ჩიყვი) დროს, უნიშნავენ აგრეთვე სიმსუქნის დროს (თირეოგენული) როგორც დამხმარე საშუალებას. (თირკმლების დაავადების დროს).

უნიშნავენ შიგნით 0,1—0,2 2—3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 № 50 და 100:0,2 № 50

Rp: Tabulettæ Thyreoidini 0,2

D t d № 50

ს. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

პ ა რ ა თ ი რ ე ო ი დ ი ნ ი Parathyreoidinum (5)

იხმარება ტეტანის მწვავე ფორმების დროს კანქვეშ ან კუნთებში 2 2 მლ ყოველ 2—3 საათში — კრუნჩხვების მთლიანად



შეწყვეტამდე. სპაზმოფილიის, ალერგიული დაავადების (ბრონქული ასთმა, ქინკრის ციება, ვაზომოტორული რინიტის და სხვ.) დროს 1 — 2 მლ ყოველდღე ან დღეკამოშვებით.

გამოშვებულია ამპულაში 1 მლ № 6; 1 მლ შეიცავს 20 მე.

Rp: Parathyroidini 1 ml.

D t d № 6 in ampulis.

S. 1 მლ კანქვეშ 1—2-ჯერ დღეში.

ბ ე ტ ა ზ ი ნ ი — Betasium

იხმარება მსუბუქი და საშუალო ფორმის ჰიპერთირეოზის დროს. უნიშნავენ 0,05 დღეში 2 — 3-ჯერ, ჭამის შემდეგ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,05 № 20

Rp: Tabulettae betasini 0,05

D t d № 20

S. 1 ტაბლეტი დღეში 2-ჯერ ჭამის შემდეგ.

დ ი ი ო დ თ ი რ ო ზ ი ნ ი — Dijodthyrosinum

პრეპარატი შეიცავს 55%/-მდე ორგანულად შეკავშირებულ იოდს, დიოდთიროზინი ამუხრუქებს ჰიპოფიზის წინა ნაწილის თირეოტროპული ჰორმონის გამომუშავებას, რომელიც ააქტივებს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედებას. ხმარობენ მსუბუქი და საშუალო ფორმის ჰიპერთირეოზის დროს, უნიშნავენ 0,05 დღეში 2 — 3-ჯერ 30 დღის განმავლობაში, რომელიც ისევ მეორდება 10 — 20 დღის შესვენების შემდეგ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,05 № 20

Rp: Tabulettae Dijodthyrosini 0,05

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

მ ე თ ი ლ თ ი ო უ რ ა ც ი ლ ი — Methylthiouracilum (B)

ანტითირეოიდული მოქმედების სინთეზური პრეპარატია, აბრკოლებს ფარისებრ ჯირკვალში თირეოტოქსინის წარმოშობას, რის გამოც უმჯობესდება ავადმყოფის მდგომარეობა. მცირდება ტაქიკარდია, ოფლიანობა, აგზნებადობა; ხდება ძირითადი ცვლის ნორმალიზება, არ მოქმედებს ეგზოფთალმიასა და ჩიყვზე, ამიტომ ამ შემთხვევაში საჭიროა დაენიშნოს დიოდთიროზინი.

ხმარობენ ბაზედოვის დაავადების (თირეოტოქსიკოზის) დროს, უნიშნავენ 0,05 დღეში 2-ჯერ და შემდეგ დოზას თანდათან ზრდიან 0,25 დღეში 3-ჯერ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 № 20

Rp: Tabulettae Methylthiouracili 0,25

D t d . № 20

S. თითო ტაბლეტი 1—3-ჯერ დღეში კამის შემდეგ.

მერკაზოლილი Mercasolilum (B)

ინმარება ბაზედოვის დაავადების დროს (თირეოტოქსიკოზის და ჰიპერთირეოზი), უნიშნავენ 0,005 — დან 0,02-მდე დღეში 2 — 3-ჯერ. გამოშვებულია ტაბლეტებში 0,005 № 20

Rp: Tabulettae Mercasolili 0,005

D t d . № 20

S. 2—4 ტაბლეტი სამჯერ დღეში კამის შემდეგ.

ანტისტრუმინი (იოდანი ტაბლეტ) — Anti-struminium

შემადგენლობა: ნატრიუმის ქლორიდი 0,3  
კალიუმის იოდიდი 0,001

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო ფლაკონში 30 და 100 ცალი ტაბლეტის რაოდენობით, ინმარება ენდემიური ჩიყვის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით.

პროფილაქტიკისათვის უნიშნავენ 1 ტაბლეტს კვირაში ერთ-ჯერ, ხოლო ჩიყვის დიდუბური ფორმის შემთხვევაში 1—2 ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae „Antistruminium“

D t d . № 30

S. 1—2 ტაბლეტი დღეში.

### გ) თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონული პრეპარატები და მათი სინთეზური ანალოგები

დეზოქსიკორტიკოსტერონ აცეტატი (დოქსა) — Desoxycorticosteronum aceticum (B)

პრეპარატი მიღებულია სინთეზურად, იგი გავლენას ახდენს თირკმელზედა ჯირკვლის კორტიკალური შრის ჰორმონსა და წყლისა და მარილის მეტაბოლიზმზე. აკავებს ორგანიზმში ნატრიუმის მარილებს და აძლიერებს კალიუმის გამოყოფას, აძლიერებს ქსოვილების ჰიდროფილობას.

ინმარება ძირითადად ადისონის დაავადების დროს, აგრეთვე ქირურგიული ჩარევის შედეგად განვითარებული შოკის საწინააღმდეგოდ და ჰიპოტონიის, ასთენიის, ადინამიის შემთხვევებში.

უნიშნავენ 5—10 მგ დღეში 1—2-ჯერ, დადებითი ეფექტის

მიღების შემდეგ დოზას ამცირებენ 2 — 5 მკ დღეში და შემდეგ კი 2 მგ-მდე 1 — 2-ჯერ კვირაში.

0,5% ხსნარი გამოშვებულია ამპულებში 1 მლ.

Rp: Solutionis Desoxycorticosteroni acetici  
oleosae 0,5%—1 ml.

D t d .i: 10 in ampulis

კუნთებში გასაქოებლად 1 მლ დღეგამოშვებით.

ჰიდროკორტიზონი — Hydrocortisonum (B)

პრეპარატი თავისი ქიმიური სტრუქტურით და კლინიკური მოქმედებით ახლოსაა კორტიზონთან, მოქმედების მხრივ უფრო აქტიურია. გამოშვებულია ამპულებში 0,025% ხსნარი 5 მლ, მალამო 1 და 2,5% 5 — 5 გრამი და თვალის მალამო 0,5% ტუბებში — 2,5.

იხმარება, რევმატიზმის, ალერგიული დერმატოზის, ნეირო-დერმატიტის, ეგზემის, კერატიტის, მწვავე ლეიკოზის, ირიტის, ქორეის, კონიუნქტივიტის და თვალის სხვა დაავადებების დროს და სხვ.

უნიწნავენ 1 — 2,5% მალამოს 2 — 3-ჯერ დღეში, თვალის მკურნალობის პრაქტიკაში 0,5 — 2,5% სუსპენზიის 1 — 2 წვეთს 2-4 საათში, 0,5% მალამოს 3 — 4-ჯერ დღეში.

Rp: Ung. Hydrocortisoni 2,5%—5,0

DS. კანის დაავადებულ ნაწილზე წასასმელად 2-ჯერ დღეში. ამავე მიზნით იხმარება კორტიზონი მხოლოდ უფრო დიდი დოზით.

Rp: Cortisoni 0,025

D t d .i: 10 in tabul.

S. 2—4 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.

გლობინ—თუთია — ინსულინი — Globin—Zinc—Insulinum (B)

წარმოადგენს გახანგრძლივებული მოქმედების ინსულინის პრეპარატს. პრეპარატის 1 მლ შეიცავს 40 სმე ინსულინს, 0,002 გლობინს და 0,00016 თუთიას. გამოშვებულია 10 მლ ფლაკონებში.

იხმარება უმთავრესად შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ, უნიწნავენ 1 დოზას დღე-ღამეში 1/2 საათით ადრე საუზმის მიღებამდე.

Rp: Globin—Zinc—Insulini 10.0

DS. ექიმის მეთვალყურეობით.

კოკარბოქსილაზამ — Cocarboxylazum

გამოშვებულია 50 მგ და 100 მგ ფხვნილი ამპულებში ან ფლაკონებში. იხმარება შაქრიანი დიაბეტის, გულის დაავადების, ათე-

როსკლეროზის და აციდოზის შემთხვევებში — უნიშნავენ კუნთებში 25 — 200 მკ — 2 — 5-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი გრძელდება 15 — 30 დღე (პრეპარატის გამხსნელად ხმარობენ 0,5% ნოვოკაინს ან ნატრიუმის ქლორიდის ფიზიოლოგიურ ხსნარს).

Rp: Cocarboxylasac — 0,6წ

D t d № 10 in ampulis

S. 25 მკ კუნთებში 4-ჯერ დღეში.

მეთოთირინი — Methothyrinum (B)

წარმოადგენს ეფექტურ ანტითირეოიდულ საშუალებას, რის გამოც წარმატებით იხმარება თირეოტოქსიკოზისა და ბაზედოვის დაავადების სამკურნალოდ. მკურნალობის დასაწყისში ავადმყოფს აძლევენ პრეპარატის 0,005 — 0,01 3-ჯერ დღე-ღამეში, შემდეგ დოზას ამცირებენ 0,005 — 0,01-მდე დღე-ღამეში.

Rp: Methothyrini 0,01

D t d № 25 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 2 3-ჯერ დღეში.

ოქსიკორტი — Oxycort

შემადგენლობა: ჰიდროკორტიზონი 1%

ოქსიტერამიციანი 1% მალამო ტუ-  
ბიკებში 3—3,0

და ჰიდროკორტიზონი 1%

ოქსიტერამიციანი 3% მალამო ტუ-  
ბებში 10—10,0

იხმარება თვალის მწვავე და ქრონიკული კონიუნქტივიტის, ტრაქომის და თვალის გარსის წყლულოვანი დაავადების დროს.

Rp: Ungenti „oxycort“ №0

DS. თვალში წასასმელად 3-ჯერ დღეში.

კორტინი — Cortinum

გამოშვებულია 1 მლ ამპულებში № 6, 1 მლ შეიცავს 1 მე, იხმარება ადისონის დაავადების სამკურნალოდ და აკრთევე ასთენური ადინამიური მდგომარეობის დროს.

უნიშნავენ კანკეუმ ან კუნთებში 1—1 მლ დღეში 1—2-ჯერ.

Rp: Cortini 1 ml.

D t d № 6 in ampulis

S. კანკეუმ 1 მლ 1—2-ჯერ დღეში.

პრედნიზონი — Prednisonum (B)

ინმარება რევმატიზმის, რევმატული პოლიართრიტიისა და ართრიტიის, სპონდილოართრიტიის, ბრონქული ასთმის, სხვადასხვა ალერგიული დაავადების, მწვავე ლეიკოზის, ინფექციური მონონუკლეოზის, ადისონის დაავადების, ნეიროდერმიტიის, ეგზემის. კერატიტის ქორეისა და სხვ. დროს.

უნიშნავენ 5—10 მგ დღეში 3-4-ჯერ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 21—5 მგ № 30 და 100 ცალის რაოდენობით.

Rp: Tabulettae prednisoni 0,401

D.t.d .№ 30

S. 1—2 ტაბლეტი 1-- 3-ჯერ დღეში.

პ რ ე დ ნ ი ზ ო ლ ო ნ ი -- Prednisolonum (B)

გამოშვებულია 0,001—0,005 ტაბლეტებში №30 და 100. თავისი მოქმედებით ძალიან ახლოსაა პრედნიზონთან და ინმარება იმავე შემთხვევებში, რა შემთხვევაშიც ნაჩვენებია პრედნიზონი.

Rp: Tabulettae prednisoloni 0,005

D.t.d .№ 30

S. 1—2 ტაბლეტი 1—3-ჯერ დღეში.

**დ) კუქუჯანა ჯირკვლის პრეპარატები და სინთეზური გზით მიღებული დიაბეტის საწინააღმდეგო საშუალებანი**

ბუტამიდი -- Butamidum (B)

ბუტამიდი სულფამიდური პრეპარატია და მოწოდებულია შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ.

ბუტამიდის ხმარება ნაჩვენებია შაქრიანი დიაბეტის შედარებით მსუბუქი ფორმების შემთხვევაში, ხანში შესულ და მსუქან პირობებში.

ინსულინთერაპიის წეცვლა ბუტამიდით შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ინსულინის დღიური დოზა არ აღემატებოდა 30—40 მგ. წეცვლა ხდება თანდათანობით.

ბუტამიდს უნიშნავენ შიგნით 1 დღეს 3—6 ტაბლეტს (1,5—3,0), II დღეს 2—5 ტაბლეტს, III დღეს—1—4 ტაბლეტს, შემდეგ დღეში 1—3 ტაბ. უნიშნავენ საკმლის მიღებიდან 1/2 საათის შემდეგ 1—2—3-ჯერ დღეში (ერთ მიღებაზე არაუმეტეს 2 ტაბლეტისა).

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25—0.5 № 20

Rp: Tabulettae Butamidi 0,25

D.t.d .№ 20

S. თითო ტაბლეტი 1— 3-ჯერ დღეში.

ინსულინი *Insulinum* (B)

ინსულინის ლებულობენ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის კუჭუ-  
კანა ჯირკვლიდან, პრეპარატი გამოშვებულია სპეციალურ ფლა-  
კონებში 5—10 მლ რაოდენობით, თითო მილილიტრი შეიცავს  
20—ან 40 მე-ს.

პრეპარატი ახდენს ნახშირწყლების ცვლის რეკულაციას ორ-  
განიზმში, იგი იწვევს შაქრის რაოდენობის დაკლებას სისხლსა და  
ქსოვილებში ე. ი. იჩენს ჰიპოგლიკემიურ მოქმედებას. გარდა შაქ-  
რიანი დიაბეტისა, ინსულინს იყენებენ ძლიერი სიგამხდრის. უმა-  
ღობის, ღვიძლის დაავადების წმთხვევებში და ფსიქიატრიულ პრა-  
ქტიკაში შიზოფრენიით დაავადებულ ავადმყოფთა სამკურნალოდ.

Rp: *Insulini* 5,0

D t d № 5 in ampulis

S. 0,5 მლ კანქვეშ დღეში 1—2-ჯერ.

ლიპოკაინი — *Lipocainum*.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კუჭუკანა ჯირკვლიდან მი-  
ღებული პრეპარატი; იხმარება როგორც ლიპოტროპული საშუა-  
ლება ღვიძლის ცხიმოვანი ინფილტრაციის შესამცირებლად) ჰეპა-  
ტიტის, ბოტკინის დაავადების, ცხიმოვანი დისტროფიის, ციროზის  
დროს) და შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში.

კარგად მოქმედებს აგრეთვე კორონარული ათეროსკლეროზის  
დროს. უნიშნავენ შიგნით 0,1—0,2 2—3-ჯერ 10—20 დღის გან-  
მავლობაში, გამოშვებულია 0,1 ტაბლეტებში № 30.

Rp: *Tabulettae Lipocaini* 0,1

D t d № 30

S. 2—2 ტაბლეტი დღეში 2-ჯერ.

პროტამინ-თუთია — ინსულინი — *Protamin-Zinc-insuli-  
num* (B)

იხმარება მხოლოდ შაქრიანი დიაბეტის წინააღმდეგ. პრეპა-  
რატის მოქმედება იწყება შეშხაუნების 8—12 საათის შემდეგ და  
გრძელდება 30 საათი.

გამოშვებულია ფლაკონებში 5 მლ რაოდენობით, 1 მლ აქტი-  
ვობა უდრის 40 მე-ს.

Rp: *Protamin-Zinc-Insulini* 5,0

DS. 0,25 კანქვეშ 2-ჯერ დღეში.

ორანილი — *Oranilum* (B)

სინთეზური ჰიპოგლიკემიური სულფამიდური პრეპარატი,

იხმარება შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ. ფარმაკოლოგიური და კლინიკური მოქმედებით წარმოადგენს ბუტამიდის ანალოგს.

გამოშვებულია 0,5 ტაბლეტებში.

Rp: *Tablettae oranili 0.5*

*Dtd № 20*

S. თითო ტაბლეტი 1—3-ჯერ დღეში.

ბუკარბონი — *Bucarbonum* (B)

იხმარება შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ. შემდეგი სქემის მიხედვით:

I	დღეს 5	ტაბლეტი (0,5)	ე.	2,5
II	— 4	—	—	2.0
III	— 3	—	—	1,5
IV	— 3	—	—	1,5
V	— 2	—	—	1,0
VI	— 1	—	—	0,5

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,5 №50

გარდა აღნიშნულისა, გამოშვებულია კიდევ შემდეგი ანტი-დიაბეტური პრეპარატები: ორაბეტი, რასტინონი, ორინაზა, არტოზინი, დიაბორალი, ნადიზანი.

### დ) ესტროგენული პრეპარატები

დიმესტროლი — *Dimestrolum* (B)

პრეპარატი წარმოადგენს დიეთილსტილბესტროლის დიმეთილის ეთერს, იხმარება საკვერცხეების ფუნქციის უკმარისობის, სასქესო ორგანოების და სარძევე ჯირკვლების არასაკმარისად განვითარების, მენსტრუალური ციკლის მოშლის, უშვილობის, კლიმაქტერიულ მოშლილობათა, ორსულობის ვადის გადაცილების დროს; იყენებენ აგრეთვე მამაკაცის ჰიპოტროფიის და წინამდებარე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ.

გამოშვებულია 2 მლ 0,6% ხსნარი 10 და 100 ამპულის რაოდენობით. უნიშნავენ 2 მლ კვირაში ერთჯერ,

Rp: *Solutionis Dimestrolis oleosae 0.6%—2,0*

*Dtd № 10 in ampullis*

S. 2 მლ კუნთებში 1-ჯერ კვირაში.

დიეთილსტილბესტროლი — *Diethylstilboestrolum* (B)

იხმარება ქალის სასქესო სფეროს უკმარისობის დროს (ჰიპოგენიტალიზმი, ენუქოიდიზმი, კლიმაქტერიული მოვლენები, ამენო-

რეა); პრეპარატი იხმარება აგრეთვე წინამდებარე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ და სარძეო ჯირკვლის კიბოს დროს.

გამოშვებულია ამპულაში 0,1 და 0,5% ზეთიანი ხსნარი 1 მლ და ტაბლეტებში 0,0111 № 10.

Rp: Solutionis Diethylstilboestrolis propionici

oleosae 0,1%—1,0

D t d .№ 10 in ampulis

S. 1 მლ კუნთებში შესაყვანად დღეში 1-ჯერ.

Rp: Tabulettae Diethylstilboestrolis 0,001

D t d .№ 10

S. თითო ტაბლეტი 1-ჯერ დღეში.

ოქტესტროლი — Octestrolum (B)

იხმარება ამენორეის (მენსტრუალური ციკლის დარღვევის, მტკივნეული მენსტრუაციის ჰიპო-ოლიგომენორეის, საშვილოსნოს არასათანადო განვითარებით გამოწვეული უნაყოფობის, გულ-სისხლ-ძარღვთა და ნერვული მოშლის დროს და სხვ.

უნიშნავენ 0,5 — 2 მგ დღეში.

გამოშვებულია 0,001 ტაბლეტებში № 20.

Rp: Tabulettae Octestrolis 0,001

D t d .№ 20

S. თითო ტაბლეტი 1—2-ჯერ დღეში.

სინესტროლი — Synaestrolum (B)

სინესტროლი სინთეზური პრეპარატია, აქვს ფოლიკულის მსგავსი ბიოლოგიური თვისება, სინესტროლის 0,001 (1 მგ) შეესაბამება ფოლიკულის 10,000 მგ-ს.

იხმარება მენსტრუალური ციკლის დარღვევის (ამენორეა, დისმენორეა, ოლიგომენორეა), სასქესო ორგანოთა განუვითარებლობის და კლიმაქსის შემთხვევებში, იყენებენ აგრეთვე მშობიარობის სტიმულაციისათვის და მშობიარობის შემდეგ გალაქტორეას წინააღმდეგ. წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიისა და კიბოს დროს.

იხმარება შივნით, ტაბლეტებში 0,001 დღეში 1—2-ჯერ. 2—3 კვირის განმავლობაში ან კუნთებში 0,1% მლ ამპულაში.

წინამდებარე ჯირკვლის კიბოს საწინააღმდეგოდ უშხაპუნებენ კუნთებში ყოველდღიურად 2% ხსნარის 2—3 მლ, 2—3 თვის განმავლობაში. გამოშვებულია ტაბლეტებში 0,001 № 10 და 0,1% და 2% ზეთიანი ხსნარი, თითო მილილიტრიან ამპულაში.



Rp: Tabulettae Synoestroli 0,001

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი დღეში 1-ჯერ.

Rp: Solutionis Syoestroli oleosae 2%—1,0

Dtd № 12 in ampulis

S. 2 მლ კუნთებში 1-ჯერ დღეში (წინამდებარე ჯირკვლის კიბოს საწინააღმდეგოდ).

ფოლიკულინი — Folliculinum.

პრეპარატს ღებულობენ ორსული ქალის ან მაკე ცხოველის შარდიდან, ქიმიური სტრუქტურის მიხედვით ეკუთვნის სტეროიდების ჯგუფს.

იხმარება საშვილოსნოსა და სარძეო ჯირკვლების არასაკმარის განვითარების შემთხვევაში, უნაყოფობის, მენსტრუალური ციკლის მოშლის, კასტრაციის შემდგომი მდგომარეობის დროს და მშობიარობის სასტიმულაციოდ. იყენებენ აგრეთვე ლაქტაციის შესამცირებლად. ჰიპერტონიული დაავადებისა და პერიფერიულ სისხლძარღვთა სპაზმის წინააღმდეგ.

უნიშნავენ კუნთებში შესაშხაბუნებლად 100. 500. 10000 მეგალოდენობით ყოველდღე ან დღეკამოშვებით.

გამოშვებულია ფოლიკულინი გახსნილი ზეთში, 1 მლ ამპულებში. 1 მლ 5000 მეგა № 6; 1 მლ, 10000 მეგა № 3.

გამოშვებულია აგრეთვე სპირტიანი ხსნარი 30 მლ ფლაკონებში, 1 მლ შეიცავს 1000 მეგა.

Rp: Solutionis Folliculini oleosae 5000 მეგა 1,0

Dtd № 12 in ampulis

S. კუნთებში 1 მლ დღეში 1-ჯერ.

გარედან კანზე შესაზელად.

ესტრადიოლ დიპროპიონი — Oestradiolum dipropionicum (5)

იხმარება საკვერცხეების ფუნქციის უქმარასობის, საშვილოსნოს და სარძეო ჯირკვლების არასაკმარის განვითარების, მენსტრუალური ციკლის მოშლის, კლიმაქსის ან კასტრაციის შემდგომი მდგომარეობის, უნაყოფობის, მშობიარობის სუსტი მოქმედების დროს.

გამოშვებულია პრეპარატის 0,1% ზეთიანი ხსნარი 1 მლ ამპულებში №6, 1 მლ შეიცავს 10000 მეგა.

Rp: Solutionis Oestradioli dipropionici

oleosae 0,1%—1,0

Dtd № 6 in ampulis

S. 1 მლ კუნთებში კვირაში 2-ჯერ.

აკროფოლინი — Acrofolinum (B)

პრეპარატი იწვევს საშვილოსნოს ლორწოვანის ცელილებებს, პროლიფერაციის სტადიაში, აღადგენს საშვილოსნოსა და საშოს ტურგორს და ხელს უწყობს საშვილოსნოს კუნთების განვითარებას.

იხმარება პირველადი და მეორადი ამენორეის, მოგვიანებული სქესობრივი მომწიფების, კასტრაციის, გენიტალური ჰიპოპლაზიის, კლიმაქსის, კიდურებში სისხლმიმოქცევის მოშლის, რეტკენ-წყულულოვანი დაავადების დროს. უნიშნავენ კუნთებში მკურნალობის პირველ 2 კვირას 2 მგ 2—3 დღეში ერთხელ. ტაბლეტებს 0,001 ან 0,005 ორ დღეში ერთჯერ.

გამოშვებულია ამპულებში 0,1%, ხსნარი და ტაბლეტებში 0,001 № 10 და 20

Rp: Tabulettae Acrofolini 0,001

Dtd № 20

S. თითო ტაბლეტი დღეგამოშვებით 2 კვირის განმავლობაში.

Rp: Solutionis Acrofolini oleosae 0,1%—1,0

Dtd № 10 in ampulis

S. 1 მლ 1-ჯერ დღეში კუნთებში (შემდეგ თანდათანობით გაიზარდოს დოზა 5 მლ-მდე)

ესტრადიოლ მონობენზოატი — Oestradiolum monobenzoicum (B)

იხმარება მენსტრუალური ციკლის მოშლის; ამენორეის, ოლიგომენორეის, სქესობრივი განუვითარებლობის დროს.

უნიშნავენ კუნთებში 0,1% 1 მლ ზეთიან ხსნარს 5—10 დღეში ინტერვალებით. გამოშვებულია პრეპარატის 0,1% ზეთიანი ხსნარი ამპულებში 1 მლ № 6.

1 მლ შეიცავს 10000 მე.

Rp: Solutionis Oestradioli monobenzoici

Oleosae 0,1%—1,0.

Dtd № 6 in ampulis

S. 1 მლ კუნთებში კვირაში 2-ჯერ.

კლიმაქტერინი — Climacterinum (B)

შემადგენლობა: ესტრადიოლ ბენზოეს მცაეა	25 მე
საკვერცხის მშრალი ფტენილი	0,03
ნიტროკლიცერინი	0,0002
თეობრომინი	0,025
კოფეინი	0,025
ფენოლფტალეინი	0,006
კალციუმის ფოსფატი	0,004

იხმარება კლიმაქტერიული პერიოდის მოშლილობათა გამოვლინების მკურნალობაში: უნიშნავენ 1—2 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში. გამოშვებულია ფლაკონებში 50—50 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: *Tablettae „Climacterinum“*

Dtd № 50

S. 1—2 ტაბლეტი დღეში 3-ჯერ.

მიკროფოლინი — *Mycrofolinum* (B)

იყენებენ კლიმაქტერიული წარმოშობის დაავადებების დროს, ამენორეის, ოლიგომენორეის, მეტროპენორაჯიის, მტკივნეული თვიურის, არასასურველი ლაქტაციის, წინამდებარე ჯირკვლის კიბოს და ქრონიკული ჰეპოსპერმიის დროს. უნიშნავენ 1—3 ტაბლეტს 2—5-ჯერ დღეში.

გამოშვებულია 0,01 და 0,05 № 50.

Rp: *Tablettae Mycrofollini 0,01*

Dtd № 50

S. თითო ტაბლეტი 1—3-ჯერ დღეში.

აკლიმანი — *Akliman* (B)

შემადგენლობა: როდობელინი (შმაგას ალკალო-

იდების ჯამი (1,000)

ერგოტამინტარტარატი 0,0002

ფენობარბიტალი 0,01

ბრომიზოვალი 0,05

თეობრომინი 0,05

პრეპარატი იხმარება კლიმაქტერიული ნევროზისა და ვეგეტოლისტონიის დროს, გამოშვებულია დრაჟე, თითო შეფუთვაში 30 და 250 ცალი, უნიშნავენ 1 დრაჟეს 2—3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp: *Dragee „Akliman“*

Dtd № 50

S. თითო დრაჟე 3-ჯერ დღეში.

### ე) უგიოელი სხეულის პრეპარატები

პრეგნინი — *Praegninum* (B)

მიღებულია სინთეზურად, ფიზიოლოგიური მოქმედებით წარმოადგენს პროგესტერონის ანალოგს, მხოლოდ ნაკლებ აქტიურია. იყენებენ მოსალოდნელი მუცლის მოშლის, ამენორეის, დისმენორეის, საშვილოსნოდან სისხლდენის დროს.

უნიშნავენ ტაბლეტებს (0,005) დღეში 3-ჯერ 6--8 დღის განმავლობაში. გამოშვებულია ტაბლეტებში 0,005 №10

Rp: Tabulettae Praegnini 0,005

Dtd № 20

S. თითო ტაბლეტი დღეში 3-ჯერ.

პროგესტერონი — Progesteronum (B)

პრეპარატი ყვითელი სხეულის ჰორმონია. მრელებულია სინთეზურად: თავისი ქიმიური სტრუქტურით ეკუთვნის სტეროიდებს. პროგესტერონის ძირითად ფიზიოლოგიურ თვისებას წარმოადგენს საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის გადაყვანა პროლიფერაციის ფაზიდან — სეკრეტორულში და განაყოფიერების შემთხვევაში კვერცხის ფიქსაცია საშვილოსნოში.

პროგესტერონს ხმარობენ მოსალოდნელი მუცლის მოშლის დროს, ამ მიზნით უნიშნავენ პრეპარატს 0,005 ყოველდღიურად დაწყებული ადრეული პერიოდიდან, ორსულობის მეოთხე თვემდე. თუ განვითარდა ძუძულის მოშლის ნიშნები, მაშინ დოზას ზრდიან 0,01-მდე. პრეპარატს იყენებენ აგრეთვე ამენორეის, დისმენორეის და საშვილოსნოდან სისქლდენის დროს.

გამოშვებულია 0,5% ზეთიანი ხსნარი ამპულაებში 1 მლ № 10.

Rp: Solutionis Progesteroni oleosae 0,5%—1.0

Dtd № 10 in ampulis

S. 1 მლ კუნთებში დღეში 1-ჯერ.

ვ) მამაკაცთა სასქესო ჰორმონული პრეპარატები და მათი სინთეზური ანალოგები

მეთილტესტოსტერონი — Methyltestosteronum (B)

პრეპარატს აქვს მამაკაცთა ბუნებრივი ჰორმონის თვისება. იხმარება მამაკაცის სქესობრივი განუვითარებლობის და სასქესო სისტემის ფუნქციური მოშლილობის, ჰიპოგენიტელიზმის, ენუქოიდიზმის დროს და აგრეთვე იყენებენ მამაკაცის კლიმაქსის და მასთან დაკავშირებული მოვლენების სამკურნალოდ. ზოგჯერ ხმარობენ სტენოკარდიის წინააღმდეგაც.

მეთილტესტოსტერონს უნიშნავენ ქალებსაც კლიმაქსის და პერეკლიმაქსის წინმთხვევებში, დისმენორეის, ძუძუსა და საკვერცხეების კიბოს ოპერაციის შემდეგ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

უნიშნავენ 0,005 დღეში 2—3-ჯერ. საერთოდ დოზები ინ-  
დივიდუალურია დაავადების შესაბამისად. უმაღლესი ერთჯერადი  
დოზაა 0,05. სადღეღამისო 0,1. გამოშვებულია ტაბლეტებში  
0,005 № 10.

Rp: *Tablettae Methyltestosteroni 0,005*

*D t d . № 10*

S. თითო ტაბლეტი 2--3-ჯერ დღეში. ენის ქვეშ  
ტაბლეტის სრულ გახსნამდე.

ტესტოსტერონპროპიონატი — *Testosteronum propioni-*  
*cum (B)*

ინმარება ენუქოიდიზმის, სასქესო ჯირკვლების თანდაყოლი-  
ლი განუვითარებლობის ან ქირურგიულად მათი მოშორებისა და  
აკრომეგალიის შემთხვევაში, იყენებენ აგრეთვე მამაკაცის კლიმაქ-  
სის და ჰიპერტონიული დაავადების აღრეული სტადიისა და სტე-  
ნოკარდული შეტევების წინააღმდეგ.

პრეპარატს ხმარობენ აგრეთვე ზოგიერთი ქალური დაავადების  
ააწინააღმდეგოდ, როგორცაა დისმენორეა, კლიმაქტერიული მოვ-  
ლენები, საკვერცხეების და სარძეო ჯირკვლების კიბო.

გამოშვებულია ამპულებში 1 და 5 % ხსნარი 1 მლ № 10.

Rp: *Solutionis testosterone propionici*

*Oleosae 5%—1.0*

*D t d . № 10 in ampulis*

S. 1 მლ კუნთებში შესაყანად კვირაში 1—2-ჯერ.

ტესტოსტერონ-ენანტატი — *Testosteronum aenantatum (B)*.

იჩენს უფრო ძლიერ და ხანგრძლივ ანდროგენულ მოქმედებას,  
კიდრე ტესტოსტერონპროპიონატი.

ინმარება მამაკაცის სქესობრივი ჯირკვლების თანდაყოლილი  
განუვითარებლობის და მეორადი სქესობრივი ნიშნების დროს, მა-  
მაკაცის კლიმაქსის და სქესობრივი ფუნქციის მოშლის შემთხვე-  
ვებში.

უნიშნავენ კუნთებში შესაშხაბუნებლად 5% ზეთიანი ხსნარის  
1 მლ, 1—2-ჯერ კვირაში.

გამოშვებულია 5% ზეთიანი ხსნარი ამპულებში 1 მლ № 10

Rp: *Sol. Testosteroni aenantati oleosae 5%—1.0*

*D t d . № 10 in ampulis*

S. 1 მლ კუნთებში კვირაში 2-ჯერ.

ანდროფორტი — *Androfortum (B)*

უნგრეთის სახ. რესპუბლიკის პრეპარატია — ტესტოსტერონპროპიონატის ანალოგიური. პრეპარატს იყენებენ სასქესო ჯირკვლების პირველადი და მეორადი განუვითარებლობის, ენდოკრინული სისტემის, მამაკაცის ზოგიერთი სახის უნაყოფობის, კლიმაქტერიული ვალიზაციის დროს და სხვ. გამოწვევულია 1 მლ ამპულაში 1% და 2,5% (ზეთიანი ხსნარი), თითო კოლოფში 4 და 50 ამპულის რაოდენობით.

Rp: Androforti 1%—1,0

Dtd № 4 in ampulis

S. თითო ამპულა კუნთებში 4—5-ჯერ კვირაში.

ტესტობრომლექტი — Testobromlecithum (B)

შემადგენლობა: მეთილტესტოსტერონი	0,005
ბრომიზოვალე	0,1
ლექციტინი	0,05

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,5—0,5 № 25

ინმარება მამაკაცების ვაზომოტორული და ვეგეტატიური ნერვული სისტემის მოშლის, კლიმაქსის, სტენოკარდიის ანიგონერვული ფორმის, გადაღლის, ნერვული მოღუწების შემთხვევებში—1—2 ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში

Rp: Testobromlecithi 0,5

Dtd № 25 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

### ფრამენტული პრეპარატები

აბომინი — Abominum

ინმარება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული და მწვავე დავადების სამკურნალოდ, მწვავე გასტრიტის, გასტროენტერიტის, გასტროენტეროკოლიტის დროს. ინმარება აგრეთვე სხვადასხვა ეტიოლოგიის ქრონიკული კოლიტისა და ენტეროკოლიტის დროს და სძვ.

უნიშნავენ თითო ტაბლეტს ჭამის დროს 3-ჯერ დღეში 1—2 თვის განმავლობაში. გამოწვევულია ტაბლეტებში 0,2 (დამხმარე ნივთიერებად ლებულობენ სუფრის მარილსა და ლაქტოზას) ტაბლეტი შეიცავს 50000 მე-ს.

Rp: Tabulettae Abomini 0,2

Dtd № 20

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის დროს.

კუჭის წვენი ნატურალური — Succus gastricus naturalis

წარმოადგენს ჯანმრთელი ძალის კუჭის წვეს. დაფასობუ-  
ლია თითო ფლაკონში 100—100 გრამის რაოდენობით.

იხმარება კუჭის ჯირკვლის ფუნქციის უკმარისობის დროს  
(აქილია, ქრონიკული გასტრიტი, დისპეფსია). ინიშნება სუფრის  
კოვზით 2—3-ჯერ დღეში

Rp: Succī gastrici naturalis 100,0

S. სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამის დროს.

კუჭის წვენი ხელოვნური — Succus gastricus factitius  
(extractivus)

წარმოადგენს ღორის კუჭის ლორწოვანი გარსის წყლიან  
ექსტრაქტს. იხმარება კუჭის წვენის სეკრეციის დაქვეითების შემთ-  
ხვევებში. უნიშნავენ სუფრის კოვზით დღეში 2—3-ჯერ.

გამოშვებულია ფლაკონებში 250—250 გრამის რაოდენობით.

Rp: Succī gastrici artificialis 250,0

S. სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამის დროს.

ლიდაზა — Lydasae

წარმოადგენს გაწმენდილ ფერმენტულ პრეპარატს მიღებულია  
სქესობრივად მომწიფებული მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სა-  
თესლე ჯირკვლებიდან: შეიცავს ჰიალურონიდაზას. 1 ფლაკონის  
ჰიალურონიდაზული აქტივობა არ უნდა იყოს 64 პირობით ერთე-  
ულზე ნაკლები.

იყენებენ: ართრიტის, დამწვრობის შემდეგ დარჩენილი ნაწი-  
ბურების სკლეროდერმიის და ჰემატომის დროს, ხმარობენ აგრეთვე  
სამკურნალო ნივთიერების შეწოვის დაჩქარების მიზნით.

გამოშვებულია 0,1 ამპულაში. ხმარებისათვის 1 ამპულის  
შემცველობას ხსნიან 0,5% ნოვოკაინის სტერილურ ხსნარში და  
შეყავთ კანქვეშ. მკურნალობის ერთი კურსი უდრის 10—15 ინ-  
ექციას.

Rp: Lydasae 0,1

Dtd № 10 in ampulis

S. 1 ამპულაში მოთავსებული პრეპარატი უნდა გა-  
იხსნას 0,5% მლ ნოვოკაინის ხსნარში და შეყვა-  
ნილ იქნას კანქვეშ.

რონიდაზა — Ronidasae

წარმოადგენს ცილოვან პრეპარატს, მიღებულია სქესობრივად  
მომწიფებული მსხვილფეხა საქონლის სათესლე ჯირკვლებიდან,  
იჩენს ჰიალურონიდაზულ აქტივობას.

იყენებენ დამწვრობის და ოპერაციის შემდგომ დარჩენილი

ნაწიბურების სამკურნალოდ. ნაწიბურების დროს. კანის პლასტიკუ-  
ოი ოპერაციის მომზადების, კრილოზის ხანგრძლივად შეუხორ-  
ცებლობის დროს და სხვ.

Rp: Ronidasa 5,0

DS. კრილოზაზე მოსაყრელად.

პ ე რ ე პ ო ნ ა ზ ა — Pereponasa

პრეპარატი შეიცავს კუჭუკანა ჯირკვლის ბუნებრივ ფერმენ-  
ტებს, რაც აუცილებელია ცილების, ნახშირწყლებისა და ცხიმების  
მოსანელებლად; იყენებენ აქილიის, ქოლეცისტიტის, პანკრეატიტის,  
ღვიძლისა და კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებებისაგან გამოწვეული  
საჭმლის მონელების მოშლილობის დროს, ანაციდური და ჰიპერა-  
ციდული გასტრიტის, ენტეროკოლიტის დროს და სხვ.

უნიშნავენ 1—2 ტაბლეტს 2-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში (დრავირებული) № 501 ტაბ-  
ლეტი შეიცავს პანკრეატინს 0,1 და ნალელის მჟავა ნატრიუმის მა-  
რილს 0,1 რაოდენობით.

Rp: Pereponasae

Dtd № 50 in tabulettis

S. 1—4 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში, ჭამიდან 1 საათის  
შემდეგ.

## ა მ ი ნ ო მ შ ა ვ ე ბ ი

ჰ ის ტ ი დ ი ნ ი — Histidinum

ინმარება კუჭისა და თორმეტვოჯა ნაწლავის წყლულოვანი  
დაავადების დროს და კეპატიტის შემთხვევაში.

პრეპარატი ხელს უწყობს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის  
ლორწოვანი გარსის რეკენარაციას.

გამოშვებულია 4% ხსნარი 5 მლ № 10.

უნიშნავენ 4% ხსნარის 5 მლ კუნთებში დღეში 1-ჯერ.

Rp: Solutionis Histidini 4%—5,0

Dtd № 10 in ampulis

S. კუნთებში შესაყვანად 1 ამპულა დღეში.

გ ლ უ ტ ა მ ი ნ ი ს მ ჟ ა ვ ა — Acidum glutaminicum

ძირითადად ინმარება ცენტრალური ნერვული სისტემის და-  
ავადების სამკურნალოდ, იყენებენ შიზოფრენიის, ვპილეფსიის, ფსი-  
ქოზების, საერთო სისუსტის და გადაღლის დროს. ბავშვთა პრაქ-  
ტიკაში სხვადასხვა ეტილოგიის ფსიქიკური მოვლენების განვითარე-  
ბის საწინააღმდეგოდ.



უნიშნავენ შიგნით 1,0 დღეში 2—3-ჯერ.  
გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 და 0,5 №10

**Rp: Tabulettae Acidi glutaminici 0,5**

**D t d № 20**

**S. 2—2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.**

გ ლ უ ტ ა მ ი ნ ი ს მ ე ა ვ ა კ ა ლ ც ი უ მ ი ს მ ა რ ი ლ — **Calcium glu-  
taminicum**

იხმარება ცერებრალური ართეროსკლეროზის ნიადაგზე წარ-  
მოშობილი ფსიქიკური მოშლილობის, ნერვული ფსიქოზის, ტრავმ-  
ული ეპილეფსიის, ტუბერკულოზური მენინგიტის, ტრავმული ენ-  
ცეფალიტის, საერთო სისუსტის, გადაღლის, სომატოგენური ფსი-  
ქოზის დროს და სხვ.

გამოშვებულია ამპულებში 10% ხსნარი 2 მლ და 10 მლ №10

**Rp: Solutionis Calcii glutaminici 10%—2,0**

**D t d № 10 in ampulis**

**S. კუნთებში 10 მლ დღეში (პირველ შეყვანაზე არა-  
უმეტესი 5 მლ).**

მ ე თ ი ო ნ ი ნ ი — **Methioninum**

მეთიონინი ეკუთვნის შეუცვლელ ამინომჟავებს, რომლებიც  
საჭიროა ნორმალურ ნივთიერებათა ცვლისათვის, ზრდისა და აზო-  
ტური წონასწორობისათვის. იხმარება ღვიძლის ტოქსიკური დაზი-  
ანების და დაავადების პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ.  
ყენებენ ბოტკინის დაავადების, ციროზის, ქლოროფორმით, ბენ-  
ზოლითა და დარიშხანის პრეპარატებით მოწამვლის შემთხვევებში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25

**Rp: Tabulettae Methionini 0,25**

**D t d № 40**

**S. ორ-ორი ტაბლეტი 4-ჯერ დღეში.**

მ ა რ ი ლ მ ჰ ა ვ ა ს პ რ ე პ ა რ ა ტ მ ბ ი დ ა ა ნ ა ც ი დ უ რ ი ს ა შ უ ა ლ მ ბ ა ნ ი

ა ც ი დ ო ლ - პ ე ფ ს ი ნ ი — **Acidol-pepsin.**

შემადგენლობა: აციდოლი (ჰლორ ჰიდრატ ბეტაინი) 0,4  
პეფსინი 0,1

უნიშნავენ პრეპარატს სუბაციდური და ანაციდური ვასტრი-  
ტების დროს თითო ან ორ ტაბლეტს 3-ჯერ დღეში, აგრეთვე  
ზმარობენ ბავშვთა პრაქტიკაში დისპეფსიის შემთხვევებში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,5 № 50.

Rp: *Tablettae „Acidol pepsinum“ 0,5*

*D t d № 50*

S. თითო ტაბლეტი 3—4 დღეში 1/2 ჭიქა წყალში.

ა ც ი დ ი ნ - პ ე ფ ს ი ნ ი — *Acidin-pepsinum*

შემადგენლობა: ბეტაინ ქლორჰიდრატი 0,2  
პეფსინი 0,05

იხმარება აქილის, ანაციდური და სუბაციდური გასტრიტის დროს. უნიშნავენ 2—2 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 № 100

Rp: *Tablettae „Acidin pepsinum“ 0,25*

*D t d № 10*

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში ჭამის დროს 1/2 ჭიქა წყალში გახსნილი.

ამავე შემადგენლობით და ამავე მიზნით უნგრეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უშვებენ ბეტაციდს. დოზები და ხმარების წესი იგივეა, რაც აციდინ-პეფსინისა.

წ მ ი ნ და მ ა რ ი ლ მ ე ა ვ ა გა ნ ხ ა ვ ე ბ უ ლ ი — *Acidum hydrochloricum purum dilutum*

პრეპარატი შეიცავს 1 წილ წმინდა მარილმეავას და 2 წილ წყალს. იხმარება შიგნით სუბაციდური გასტრიტის დროს, იყენებენ აგრეთვე ჰიპოქრომიული ანემიის დროს, რკინის პრეპარატების მკურნალობის შემთხვევაში. უნიშნავენ 10—15 წვეთს 1/2 ჭიქა წყალში დღეში 3-ჯერ ჭამის დროს, სუბაციდური გასტრიტის დროს უნიშნავენ პეფსინთან ერთად.

დაფასოებულია ფლაკონებში 10 და 40,0 რაოდენობით.

Rp: *Acidii hydrochlorici puridiluti 40,0*

*DS. 10—15 წვეთი 1/2 ჭიქა წყალში 2—3-ჯერ.*

და მ წ ვ ა რ ი მ ა გ ნ ე ზ ი ა — *Magnesia Usta*

იხმარება შიგნით — კუჭში მარილმეავას გასანეიტრალებლად. პრეპარატის მიღებისას ნახშირორჟანგის გამოყოფა არ ხდება, რაც უპირატესობას აძლევს მას ნატრიუმის ჰიდროკარბონატის წინაშე, რადგან არ ხდება აირის ზეგავლენით მეორადად სეკრეციის გაძლიერება. უნიშნავენ შიგნით 0,5 კუჭის წვეთში მომატებული მჟაობის დროს (მეავე გასტრიტი წყლულოვანი დაავადება და სხვ.).

დაფასოებულია ფხვნილებში 0,5 № 30

Rp: *Magnesiae ustae 0,5*

*D t d № 30*

S. თითო ფხვნილი 3-ჯერ დღეში.

ნ ა ტ რ ი უ მ ი ს ჰ ი დ რ ო კ ა რ ბ ო ნ ა ტ ი — *Natrium hydrocarbonicum*

იხმარება კუჭის წვენის მომატებული მქაობის დროს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების და საერთოდ იმ დაავადებების დროს, რომლის დროსაც ორგანიზმში ვიტარდება აციდოზი (შაქრიანი დიაბეტი, ინფექცია). იხმარება აგრეთვე საინჰალაციოდ, ღრუების გამოსარეცხად, პირში გამოსავლებად.

გამოშვებულია ფხვნილი თითო შეფუთვაში 100—100 გრამის რაოდენობით.

Rp: Natrii hydrocarbonici 100.0

DS. დანის წვერით 3-ჯერ დღეში.

### ორგანიზმიდან მარილების გამოყოფის ხელშემწყობი საშუალებანი

ცინხოფენი (ატოფანი) — Cinchophenum (B)

ატოფანი იწვევს შარდმქაფას გაძლიერებულ გამოყოფას, ნაღვლის ექსკრეციას და კუჭის წვენის მომატებას.

იხმარება ნიკრისის ქარის (პოდაგრის), სტვა ეტიოლოგიის ართრიტისა, ნევრალგიისა და იზიასის შემთხვევებში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.5 № 10 და 20. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3—4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

Rp: Tabulettae Cinchopheni 0.5

Dtd № 10

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ ბორჯომის წყლით ან 1/2 ჩაის ჭიქა ნატრიუმის ჰიდროკარბონატის 2% ხსნარით.

უროდანი — Urodanum.

შემადგენლობა: პიპერაზინი	2,5
ჰექსამეთილტეტრამინი	8,0
ნატრიუმის ბენზოატი	2,5
ლითიუმის ბენზოატი	2,0
ნატრიუმის ფოსფატი	10,0
ნატრიუმის ჰიდროკარბონატი	37,5
ლვინის მჟავა	35,6
შაქარი	1,9

უროდანი ხელს უწყობს ორგანიზმიდან შარდმქაფასა და მისი მარილების გამოყოფას. იხმარება პოდაგრის (ნიკრისის ქარის), ღვიძლისა და თირკმლებს კენჭოვანი დაავადების, ქრონიკული პოლიართრიტის დროს და სხვ.

უნიშნავენ ჭამის წინ 1 ჩაის კოვზს 1/2 ჭიქა წყალში დღეში 3—4-ჯერ.

გამოშვებულია ფლაკონებში 100—100 გრამის რაოდენობით.

Rp: Urodani 100,0

DS. 1 ჩაის კოვზი 1/2 ჭიქა წყალში დღეში 3—4-ჯერ ჭამის წინ.

უ რ ო ზ ი ნ ი — Uroinum

შემადგენლობა: პიპერაზინი	0,22
ლითიუმის ბენზოატი	0,1
ჰექსამეთილტეტრამინი	0,25

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო ფლაკონში 20—50 ტაბლეტის რაოდენობით. თვისებები და დანიშნულება იგივეა რაც უროდანის, უნიშნავენ უროდანის ნაცვლად 1—2 დაფხვნილ და 1/2 ჭიქა წყალში გახსნილ ტაბლეტებს 3—4-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae „urosinum“

Dtd № 50

ს. 1—2 ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

### ფოსფორის შემცველი პრეპარატები

ა დ ე ნ ო ზ ი ნ - ტ რ ი ფ ო ს ფ ო რ მ ე ა ე ა დ ი ნ ა ტ რ ი უ მ ი ს მ ა რ ი ლ ი (ატფ)—Natrium adenosintriphosphoricum (ATФ).

წარმოადგენს ადენოზინის რთულ ეთერს და სამ წილ ფოსფორბაჟავას ნარევს.

პრეპარატი წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილს. მისი კონცენტრაცია კუნთებში აღწევს 0,3%-მდე. პრეპარატი ორგანიზმის შიგნით წარმოიშობა და ენგვის რეაქციის დროს. ფუნქციურად იგი მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლაში — როგორც ძირითადი გადამტანი და ენერჯის წყარო — ორგანოების და ქსოვილების სხვადასხვა სინთეზურ პროცესებში.

ა ტ ფ — აფართოებს გულის კორონარულ სისხლძარღვთა სისტემას, აუზღობესებს გულის კუნთების კვებას და ხსნის პერიფერიულ სისხლძარღვთა სპაზმებს. მცირე დოზებში ვენაში შეყვანის დროს აღიღებს სისხლის წნევას, ხოლო დოზების გადიდებისას, პირიქით, ამცირებს სისხლის წნევას.

იხმარება კუნთოვანი დისტროფიის (განსაკუთრებით ნერვული—კუნთების გამტარობის დარღვევის დროს). ტრავმული წარმოშობის კიდურების დენერვაციის გამო წარმოშობილი კუნთოვანი დისტროფიის, გულ-სისხლძარღვთა სპაზმის, გულის კუნთების დისტროფიული ცვლილებების, პერიფერიულ სისხლძარღვთა სპასტი-

კური მდგომარეობის, არტერიების სკლეროზისა და არტერიების შინაგანი გარსის ანთების დროს.

გამოშვებულია ამპულებში პრეპარატის 1% ხსნარი, თითო შეფუთვაში 6—6 ამპულა.

Rp: Solutionis Natrii adenosintri-phosphorici 1%—1,0

D t d № 12 in ampulis

S. 1 მლ კუნთებში დღეში 1—2-ჯერ.

ჰ ე ფ ე ფ ი ტ ი ნ ი — Haephphytinum

შემადგენლობა: მშრალი საფუარი 0,375

ფიტინი 0,125

ინმარება: ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ფურუნკულოზისა და სიგამხდრის დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო ფლაკონში 50—50 ტაბლეტის რაოდენობით. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae „Haephphytinum“

D t d № 50

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

გ ლ ი ც ე რ ო ფ ო ს ფ ა ტ ი --- Glycerophosphatum

შემადგენლობა: კალციუმის გლიცეროფოსფატი 10 წილი.

ნატრიუმის გლიცეროფოსფატი 2 წილი.

შაქარი 88 წილი.

გამოშვებულია გრანულებში თითო შეფუთვაში 100 100 კრამის რაოდენობით.

ინმარება საერთო სისუსტის, გადაღლის, ნერვული სისტემის მოშლის, რაქიტისა და მადის დაკარგვის დროს.

Rp: Glycerophosphati 100,0

DS. 1/4 ჩაის კოვზი დღეში 3-ჯერ.

გ ლ ი ც ე რ ო ფ ო ს ფ ე ნ ი — Glycerophosphenum

შემადგენლობა: კალციუმის გლიცეროფოსფატი 0,2

სახამებელი 0,2

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეფუთვაში 20—20 ტაბლეტის რაოდენობით. ინმარება იმავე შემთხვევებში, რა შემთხვევაშიც გლიცეროფოსფატი.

Rp: Tabulettae „Glycerophosphenum“

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

კ ა ლ ც ი უ მ ი ს გ ლ ი ც ე რ ო ფ ო ს ფ ა ტ ი — Calcium Glycerophosphoricum

იხმარება საერთო სისუსტის, გადაღლის, ნერვული სისტემის გადაღლის და რაქიტის დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25—0,5 № 20.

Rp: *Tablettae Calcii glycerophosphorici* 0,5

Dtd № 20

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ლ ე ც ი ტ ი ნ ი — *Lecithinum cerebro*

პრეპარატს ლებულობენ მსხვილი რქოსანი პირუტყვის ტვინისაგან.

პრეპარატი იხმარება საერთო სისუსტის, სისხლნაკლებობის, რაქიტისა და ნერვული სისტემის გადაღლის შემთხვევებში.

გამოშვებულია აბების სახით 0,1.

Rp: *Tablettae Lecithini cerebro* 0,1

Dtd № 40

S. 2—3 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ლიპოცერებრინი — *Lipocerebrinum*

პრეპარატი მიიღება მსხვილფეხა პირუტყვის ტვინიდან და შეიცავს ტვინის ლიპოიდურსა და ფოსფორულ ნივთიერებებს.

იხმარება საერთო სისუსტის, ნერვული გადაღლილობისა და ჰიპერტონიის დროს.

უნიშნავენ თითო ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში ან კუნთებში 1 მლ ყოველდღიურად.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,3 № 50 და 1 მლ ამპულებში № 6

Rp: *Lipocerebrini* 1 ml.

Dtd № 6 in ampulis

S. კუნთებში 1 მლ ყოველდღიურად (ერთი თვის განმავლობაში).

Rp: *Tablettae Lipocerebrini* 0,3

Dtd № 50

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

მ ა პ ი — *Map* (Мышечно Адениловый препарат)

პრეპარატი მიღებულია ბიოლოგიური სინთეზის გზით ლუდის საფუარიდან და შეიცავს 1 ლიტ. 2,0 ადენოზინტრიფოსფორმეხვას.

იხმარება უმთავრესად მიოკარდიული ჩდისტროფიის, სტენოკარდიისა და პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმის დროს.

უნიშნავენ ჩაის კოვხით 2—3-ჯერ დღეში.  
გამოშვებულია ფლაკონებში 50-50 მლ რაოდენობით.

Rp: Map 50,0

DS. 1 ჩაის კოვხი 2—3-ჯერ დღეში.

### ფ ი ტ ი ნ ი — Phytinum

იხმარება ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადების დროს და ნევრასთენიის, ისტერიის, რაქიტის, ოსტეომალაციის, ანემიის, დიათეზის, საერთო სისუსტის, სიგამბდრის შემთხვევებში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0.25 № 40.

Rp: Tabulettae phytini 0,25

D t d № 40

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

### ფ ი ტ ო ფ ე რ ო ლ ა ქ ტ ო ლ ი — Phytoferolactolum

შემადგენლობა: რკინის ლაქტატი 0,2

ფიტინი 0,2

იხმარება ნერვული სისტემის გადაღლის, სისხლნაკლებობისა და მადის დაკარგვის დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 30—30 ტაბლეტის რაოდენობით თითო ფლაკონში.

Rp: Tabulettae „Phytoferolactolum“

D t d № 30

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

### ფ ო ს ფ რ ე ნ ი — Phosphrenum

შემადგენლობა: ლეციტინი 0,05

კალციუმის ფოსფატი 0,07

რკინის ლაქტატი 0,05

მშრალი სისხლი 0,01

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო ფლაკონში 25—25 ტაბლეტის რაოდენობით. უნიშნავენ საერთო სისუსტის, გადაღლის, ნევრასთენიისა და ანემიის დროს 2—2 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae „Phosphrenum“

D t d № 25

S. 1—2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

## არსენიკუმის პრეპარატები

დუპლექსი — Duplex (A)

შემადგენლობა: დარიშხანმჟავა ნატრიუმი (ნატრიუმის  
არსენატი) 0,01  
აზოტმჟავა სტრიქნინი 0,001

გამოშვებულია 1 მლ ამპულაში № 100.

იხმარება, როგორც ძალისმომგვრელი და ტონუსის აძწევი სა-  
შუალება.

Rp: „Duplex“ 1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 0,2—1 მლ კანქვეშ დღეში 1 ჯერ.

დარიშხანმჟავა ტაბლეტები (აზიური ტაბლეტები) — Ta-  
bulettae acidi arsenicosi (A)

შემადგენლობა: დარიშხანმჟავა ანჰიდრიდი 0,001  
შავი წიწაკა 0,025

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო ფლაკონში 50—50 ცა-  
ლის რაოდენობით. უნიშნავენ ქრონიკული ანემიის, ნევრასტენიის და  
საერთო სისუსტის დროს თითო ტაბლეტს 2—3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae acidi arsenicosi

D t d № 50

S. თითო ტაბლეტი 2—3-ჯერ დღეში.

დარიშხანმჟავა ნატრიუმი (ნატრიუმის არსენატი) — Na-  
trium arsenicum (A)

იხმარება, როგორც ძალისმომგვრელი, ტონუსის აძწევი სა-  
შუალება, გამოყენება აქვს აგრეთვე ქრონიკული ლეიკოზისა და  
მეორადი ანემიის დროს.

გამოშვებულია 1% ხსნარის სახით ამპულაში 1 მლ რაოდენ-  
ობით.

Rp: Solutionis Natrii arsenicici 1%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. 0,2—1 მლ კანქვეშ 1-ჯერ დღეში.

## იოდის შემცველი პრეპარატები

კალიუმის იოდიდი — Kalium jodatum

იხმარება ჰიპოთირეოზის, ათეროსკლეროზის, ენდემიური ჩი-  
ყვის. ზემო სასუნთქი გზების ქრონიკული ანთებითი პროცესების,



ბრონქული ასთმის შემთხვევებში. უნიშნავენ 0.3 1.0 3 4-ჯერ დღეში ხსნარის სახით.

გამოშვებულია 5—5 გრამი ფსენილისა მინის ჰურჭელში და ტაბლეტებში 0,5 №12

Rp: Kalii jodati 0,5

D t d № 12 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 3—6-ჯერ დღეში.

ლ უ გ ო ლ ის ხ ს ნ ა რ ი გ ლ ი ც ე რ ი ნ ს ე — Solut. Lugoli cum Glycerinum

შემადგენლობა: იოდი კრისტალური	1,0
კალიუმის იოდი	2,0
გლიცერინი	94,0
წყალი	3,0

იხმარება პირის ღრუსა და საყლაპავი მილის ანთებითი და სხვა დაავადების დროს, ლორწოვან გარსზე წასასმელად.

Rp: Solut. Lugoli cum glycerino 15,0

DS. ლორწოვან გარსზე წასასმელად.

ლ უ გ ო ლ ის ხ ს ნ ა რ ი შ ი გ ნ ი თ მ ის ა ლ ე ბ ა დ — Liquor Lugoli adusum internum

შემადგენლობა: იოდი კრისტალური	1,0
კალიუმის იოდი	2,0
გამოხდილი წყალი	20,0-მდე.

იხმარება, როგორც იოდის პრეპარატი შიგნით მისაღებად 4—6 წვეთი თითო მიღებაზე.

Rp: Liquor Lugoli adusum internum 20,0

DS. 4,6 წვეთი თითო მიღებაზე.

კ ა ლ ც ი უ მ - ი ო ლ ბ ე ჰ ე ნ ი ც ი (საიოდინი)—Calcium jodbehenicum.

შეიცავს 24% იოდს.

იხმარება: ათეროსკლეროზის, ნეიროსიფილისის, მზრალი ბრონქიტის და ქრონიკული რევმატიზმის დროს.

უნიშნავენ თითო ტაბლეტს 1—3-ჯერ დღეში ჰამის შემდეგ 2—3 კვირის განმავლობაში.

გამოშვებულია ტაბლეტებში—0,5 № 20

Rp: Calcii jodbehenici 0,5

D t d № 20

S. თითო ტაბლეტი 1—3-ჯერ დღეში ჰამის შემდეგ.

ი ო დ ის ნ ა ყ ე ნ ი — (5%) — Solutio jodi 5% (B)

პრეპარატი წარმოადგენს იოდის 50 ნაწილს და ორდკალიუმის 20 ნაწილს გახსნილს 95°—სპირტსა და წყლის თანაბარ რაოდენობაში (1 ლიტრ.ში).

იხმარება გარედან წასასმელად, როგორც ანტისეფსისური და განწოვითი საშუალება. შიგნით აძლევენ ათეროსკლეროზის საწინააღმდეგოდ 1—10 წვეთამდე 1—2-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ფლაკონებში 10—10 მლ და ამპულებში 1 მლ № 10 რაოდენობით.

Rp: Solutionis jodi 5%—10,0

DS. 1—5 წვეთი დღეში 3-ჯერ რძით.

### არასპეციფიკური სამკურნალწამლო საშუალებანი

აკოფიტი (რადიკულინი) — Acophytum

აკოფიტი № 1, 2, 3 წარმოადგენს კომპლექსურ პრეპარატს, რომელიც უშთავრესად შედგება მცენარეული წარმოშობის განზავებული ნაყენებისა და არაორგანულ ნივთიერებათა სწარებისაგან.

იხმარება მწვავე რადიკულიტის, ქრონიკული გამწვაებული რადიკულიტის, ქრონიკული ინფექციის (რევმატიზმი), გაცივების შედეგად ხერხემლის ცვლილებების, მისი ტრავმული დაზიანების, ლუმბაგოს დროს და სხვ.

აკოფიტი № 1 იხმარება მწვავე ტკივილის დროს 6—10 წვეთი ყოველ 2 საათში (სუფრის კოვზი წყლით). 3—7 დღის განმავლობაში, გამწვაებული ტკივილის დროს დოზას ამცირებენ 2—3 წვეთამდე. ე.თ. კვირის შესვენების შემდეგ ხმარობენ აკოფიტ № 2-ს. ომლით მკურნალობის ხანგრძლიობა დამოკიდებულია ავადმყოფობის ეტიოლოგიაზე და მკურნალობის შედეგზე. ზოგჯერ გრძელდება 2 კვირა (გარდა რევმატული დაავადებისა)—შემდგომში ხმარობენ აკოფიტ № 3. უნიშნავენ 8—10 წვეთს ყოველ 3 საათში. 3—7 დღის განმავლობაში. თუ არ იქნა მიღებული სასურველი ეფექტი დოზა უნდა გაიზარდოს 15 წვეთამდე—10 დღის განმავლობაში.

Rp: Acophyti № 1—20,0; № 2—20,0 № 3—30,0

DS. მიღებულ იქნას შიგნით — სქემის მიხედვით.

ლინეტოლი — Linetolum

პრეპარატი წარმოადგენს ცხიმოვანი მჟავის ეთილის ეთერის ნარევეს სელის ზეთში:

ინმარება ათეროსკლეროზის, აორტის, გულის ვენური სისხლ-  
ძარღვების და ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზის დროს.

უნიშნავენ დილით უხმოზე 20 მლ 1-ჯერ დღეში. მკურნა-  
ლობა შეიძლება გაგრძელებულ იქნას შესვენებით 1—1,5 თვის გან-  
მავლობაში.

გარედან ხმარობენ დაზიანებული კანის ეპიდერმისის სამკურ-  
ნალოდ, გამოშვებულია ფლაკონებში 100—100 გრამის რაოდენ-  
ობით.

Rp: Linetoli 100,0

DS. 20 წვეთი 1-ჯერ დილით უხმოზე.

ნ ე ბ ე ნ ზ ი ნ ო ლ ი — Neobenzinolum (B)

ალიფატიური ნახშირწყალბადებისა და ატმის ან ზეთისხილის  
ზეთის ნარევი.

შემადგენლობა: ჰექსანი	16 წილი
ჰეპტანი	16 წილი
ზეთის ხილის ზეთი	68 წილი.

ინმარება ბრონქული ასთმის და სკროფულოდერმიის დროს.  
უნიშნავენ ბრონქული ასთმის დროს კუნთებში პრეპარატის 0,6—0,8  
მლ. სკროფულოდერმიის დროს კი—0,2—0,3 მლ (ნეობენზინოლს  
იყენებენ ბრონქული ასთმის ხშირი წეტვეის დროს, როგორც პრო-  
ფილაქტიკურ საშუალებას).

გამოშვებულია ამპულებში 0,4 მლ № 10.

Rp: Neobenzinoli 0,4 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. კუნთებში 0,6—0,8 მლ 2—3 კვირაში 1-ჯერ  
დღეში. (ბრონქული ასთმის დროს).

პ ე ლ ო ი დ ი ნ ი — Peloidinum

პრეპარატი წარმოადგენს ილოვის სამკურნალო ტალახის თხე-  
ვად ექსტრაქტს, რომელიც შედგება მარილების რთული კომპლექ-  
სისაგან (ნატრიუმი, კალციუმი, კალიუმი, მაგნიუმი, ქლორიდები,  
სულფატები, ფოსფატები, ბრომიდები, იოდიდები და სხვ.).

ინმარება შიკნით კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის. წყლუ-  
ლოვანი დაავადების, გასტრიტისა და კოლიტის დროს. უნიშნავენ  
40—50 მლ დილა-სალამოს, ჰამამდე ან საკმლის მიღებიდან 1—2  
საათის შემდეგ.

გარედან ინმარება ჩირქოვანი კრილობების მოსაბანად.

გამოშვებულია ფლაკონებში 500—500 გრამის რაოდენობით.

Rp: Peloidini 50.0

D.S. შიგნით 3—4 სუფრის კოვზი 2-ჯერ დღეში  
შემთბარი სახით.

პ ე ლ ი დ ო დ ე ს ტ ი ლ ა ტ ი — Peloiddestillatum

პრეპარატი მომზადებულია აკადემიკ. ვ. პ. ფილატოვისა და მისი თანამშრომლების მეთოდით ლიმანის სამკურნალო ტალახისაგან. იხმარება თვალის ზოკიერთი დაავადების დროს (ბლენფარიტი, კონიუნქტივიტი, კერატიტი, მინისებრი სხეულის დაბურვა და სხვ.) იხმარება აგრეთვე ართრიტის, რადიკულიტის, მიალგიისა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

გამოშვებულია ამპულებში 1 მლ № 16.

Rp: Peloiddestillati 1 ml.

Dtd № 16 in ampulis

ს. კანქვეშ 1 მლ 1-ჯერ დღეში.

მ ე ლ ი ს ი ნ ი — Melissinum — (ტოქსაპინი).

პრეპარატი წარმოადგენს ფუტკრის შხამს გახსნილ წყალში ან ზეთში. იხმარება რევმატიზმის დროს კუნთების ტკივალის და ანთებითი პროცესების შესამცირებლად არასპეციფიკური პოლიართრიტის, მიოზიტის, რადიკულიტის, იშიაზის, ნევრალგიის, ალერგიული გამონაყარის დროს და სხვ. აგრეთვე ბრონქული ასთმის, ჰიპერტონიული დაავადების I და II სტადიის, შაკიკის და სხვა დაავადების დროს.

გამოშვებულია ამპულებში 1 მლ № 10.

Rp: Melissini 1 ml.

Dtd № 10 in ampulis

ს. კანქვეშ ან კუნთებში 0,2—0,3 მლ დღეში ერთ-  
ჯერ, წემდგომში თანდათანობით გაიზარდოს დო-  
ზა 1 მლ-მდე.

მ ე რ ი ფ ი ტ ი — (ტონზილინი) Meriphytum (B)

პრეპარატი კომპლექსური სამკურნალო საშუალებაა, რომელიც შედგება შემდეგი ხსნარებისაგან:

კედლისპირას ახალი ბალახის განზავებული ნაყენი 1 წილი  
ქიაფერას ახალი ფესვების განზავებული ნაყენი 1 წილი  
დასავლური ტუიას ყლორტების განზავებული ნაყენი 1 წილი  
ბარიუმის კარბონატის, კალიუმის იოდიდის, კალიუმის ქლო-  
რიდის ორქლორსინდიცის განზავებული ხსნარები თანაბარი  
რაოდენობის ნარევისაგან.

იხმარება ქრონიკული ტონზილიტის ყველა ფორმის დროს.  
უნიშნავენ 20 წვეთს გახსნილ ჩაის კიკა წყალში—სუფრის კოვზით

3-ჯერ დღეში. შემდეგ დოზებს თანდათან ამცირებენ და შემდეგ ისევ ზრდიან. შეიძლება პრეპარატი გამოყენებულ იქნას გარეკან სახმარადაც გამორეცხვის სახით.

გამოშვებულია ფლაკონებში 50—50 მლ რაოდენობით.

Rp: Meriphyt 50,0

DS. 20 წვეთს ხსნიან 1 კიკა წყალში და ლებულობენ სუფრის კოვზით 3-ჯერ დღეში 2 კვირის განმავლობაში, შემდეგ სქემის მიხედვით.

აპილაკი — Apilaci

პრეპარატი წარმოადგენს მუშა ფუტკრის ალოტროფიული ჯირკვლების სეკრეტს.

ინხმარება მიოკარდიუმის ინვარტიისა და სხვა დამაუძღურებელი დაავადების რეკონვალესცენციის პერიოდში, ათეროსკლეროზის და სტენოკარდიის დროს; კლიმაქსთან დაკავშირებული ჰიპერტონიის შემთხვევაში, ლაქტაციის მოშლის და მშობიარობასთან დაკავშირებული სისხლის დაკარგვის შემთხვევაში, ხმარობენ აგრეთვე ახალშობილი და ჩვილი ბავშვების ჰიპოტროფიისა და ანორექსიის წინააღმდეგ და სხვ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,01 № 25. უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში. 10 -15 დღის განმავლობაში (აგრეთვე გამოშვებულია პრეპარატი სანთლების დასამზადებლად ფხვნილის სახით, 1,0—შეიცავს 0,07 აპილაკს).

Rp: Apilaci 0,01

Dtd № 25 in tabul.

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

ოქსიტოცინი — Oxytocinum (B)

სინთეზური გზით მიღებული პრეპარატია, გამოშვებულია ამპულაებში 1 მლ № 10 და 50. 1 მლ შეიცავს 5 მე-ს.

ინხმარება სამშობიარო მოქმედების სტიმულაციისათვის, უმხაუუნებენ ვენაში პრეპარატის 1 მლ და 5<sup>0</sup>/<sub>100</sub> გლუქოზის 500,0 ნარევის წვეთობრივი მეთოდით 8—10 წვეთი წუთში.

Rp: Oxytocini 1 ml.

Dtd № 10 in ampulis

DS. ექიმის მეთვალყურეობით.

ტორფოტი — Torfotum

პრეპარატს ლებულობენ ტორფის გამოხდით.

გამოშვებულია 1 მლ ამპულაებში №10 თითო შეფუთვაში.

ინხმარება, როგორც ბიოლოგიური სტიმულიტორი, პროგრესუ-

ლი ახლომხედველობის და მიოპური ქორიორენიტის, მინისებრი სხეულის დაბურვის დროს და სხვა მსკავსი დაავადების შემთხვევაში.

უნიშნავენ კანქვეშ 1 მლ დღეში; 30—45 დღის განმავლობაში. ტუბერკულოზური ალერგიული კერატიტის დროს დოზას ამცირებენ 0.2 მლ-მდე.

Rp: „Torfoli“ 1,0

D t d № 10 in ampulis

S. თითო ამპულა დღეში.

ფ ი ბ ს — Eibs

პრეპარატი მომზადებულია აკად. ვ. ფელატოვისა და მისი თანამშრომლების მეთოდით. წარმოადგენს „ბიოგენურ სტიმულატორს“, მიღებულია პრეპარატი ლიმანის სამკურნალო ტალახის გამოხდით და შეიცავს კუმარინს.

ინჰარება იმავე დაავადების დროს, რომლის დროსაც პელოიდოდესტილატი.

გამოშვებულია 1 მლ ამპულებში № 16.

Rp: „Fibs“— 1 ml.

D t d № 16 in ampulis

S. კანქვეშ 1 მლ დღეში 1-ჯერ.

პ ლ ა ზ მ ო ლ ი — Plasmolum

პრეპარატი დამზადებულია ადამიანის სისხლისაგან.

ინჰარება ნევრალგიის, ნევრიტის, რადიკულიტისა და პერიფერიული ნერვული სისტემის სხვა დაავადებების დროს, რომელსაც თან სოფის მტკივნეული სინდრომები. ინჰარება ავრთვე კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ბრონქული ასთმის ქრონიკული ანთებითი პროცესების და ართრიტის დროს.

უნიშნავენ კანქვეშ 1 მლ დღეში 1-ჯერ ან დღეგამოშვებით.

გამოშვებულია ამპულებში 1 მლ № 10

Rp: Plasmoli—1 ml

D t d № 10 in ampulis

S. კანქვეშ 1 მლ დღეში 1-ჯერ.

რ ე გ ე ნ ე რ ა ტ ო რ ი — Regeneratorum

ინჰარება კანის ტროფიკული დაზიანების, საერთო დისტროფიის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, ქრონიკული გასტრიტის, ევზემის, ნევრიტის, სამწვერა ნერვის ნევრალგიის და მოტეხილობის დროს, ძვლის ცუდად შეზრდის დროს.

უნიშნავენ 1 — 2 მლ დღეში 1-ჯერ.  
გამოშვებულია ამპულებში 1 მლ № 10

Rp: Regeneratoris 1,0

D t d № 10 in ampulis

S. 1—2 მლ კანქვეშ დღეში ერთჯერ სამი დღის გან-  
მავლობაში, შემდეგ დღეგამოშვებით იგივე დოზა.

ს პ ლ ე ნ ი ნ ი — Spleninum

სპლენინი ბიოლოგიურად აქტიური, ცილებისაგან გაწმენდილი  
ჰორმონული ტიპის პრეპარატია. მიღებულია მსხვილფეხა რქოსანი  
საქონლის ელენთისაგან პროფ. ვ. პ. კომისარენკოს მეთოდით.

იხმარება ტოქსიკოზების მკურნალობის და პროფილაქტიკისათ-  
ვის. პრეპარატი გამოშვებულია 1 მლ ამპულებში № 6.

Rp: Splenini 1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. კუნთებში 1 მლ 1—2-ჯერ დღეში.

მ ი ნ ი ს ე ბ რ ი ს ხ ე უ ლ ი — Corporis Vitreum

პრეპარატს ამზადებენ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მინი-  
სებრი სხეულიდან. იხმარება დამწვრობისა და ოპერაციის შედეგად  
დარჩენილი ნაწიბურების შესარბილებლად, შესაწოვად, სასოების  
კონტრაქტურისა და ტკივილის დასაყუჩებლად; ნევრალგიის დროს,  
რადიკულიტის შემთხვევებში და სხვ. აგრეთვე პრეპარატი სასურ-  
ველ გავლენას ახდენს ძვლის ტვინის სტიმულირებაზე.

გამოშვებულია 2 მლ ამპულებში № 10

Rp: Corporis Vitrei 2 ml.

D t d № 10 in ampulis

S. კანქვეშ 2 მლ დღეში 1-ჯერ.

ა ლ ო ე ს გ ა მ ო ნ ა წ ვ ე ლ ი ლ ი ს ი თ ხ ო ვ ა ნ ი — Extractum Aloes  
fluidum.

კანქვეშ შესაშნაპუნებელი ალოეს ფოთლების წყლიანი გამო-  
ნაწვლილი (ექსტრაქტი) მზადდება აკადემიკ. ვ. პ. ფილატოვის მე-  
თოდით. პრეპარატს აქვს ორგანიზმის დაცვითი თვისებების გაძლი-  
ერების უნარი, წარმოადგენს „ბიოგენურ სტიმულატორს“.

იხმარება თაღის სხვადასხვა დაავადების შემთხვევაში (ბლე-  
ფარიტის, კონიუნქტივიტის, კერატიტის, ირიტის, მინისებრი სხე-  
ულის და სხვ. დროს). კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლუ-  
ლოვანი დაავადების, ბრონქული ასთმის, ქრონიკული ართრიტის  
წინააღმდეგ და სხვ.

უნიშნავენ კანქვეშ 1 — 2 მლ დღეში 1-ჯერ, 30 — 35 დღის განმავლობაში.

გამომშვებულია ამპულებში 1 მლ № 10.

Rp: Extracti Alōes fluidi 1 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. 1 — 2 მლ კანქვეშ დღეში 1-ჯერ.

ალოეს ემულსია — Emulsum Alōes

წარმოადგენს ალოეს ფოთლების წვენი 78 წილს (დამზადებულია ვ. პ. ფილატოვის მეთოდით), აბუსალათინის ზეთის 11 წილს, ემულგატორის 11 წილს და ევკალიპტის ზეთის 0,1 წილს. იხმარება კანის სხივური დაავადების პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ.

გამომშვებულია 100,0 ფლაკონებში.

Rp: Emulsionis Alōes 100,0

DS. წაესვას კანზე თხელ შრედ.

გამომშვებულია აგრეთვე ალოეს სიროფი რკინით (sirupus Alōes cum Ferro) პრეპარატს ხმარობენ ანემიის წინააღმდეგ. ჩაის კოვზით 1/4 ჭიქა წყალზე დღეში 3-ჯერ 15—30 დღის განმავლობაში.

Rp: Sirupus Alōes cumferro 100,0

DS. ჩაის კოვზით 1/4 ჭიქა წყალზე დღეში 4-ჯერ.

ალოეს წვენი — Succus Alōes

ალოეს ახალი ფოთლებიდან დამზადებული წვენი იხმარება გასტრიტის, გასტროენტერიტის, ენტეროკოლიტის, სპასტიკური და ანოტიური ყაბზობის და ქრონიკული კოლიტის დროს.

გამომშვებულია ფლაკონებში 100 — 100 გრამის რაოდენობით უნიშნავენ ჩაის კოვზით 2—3-ჯერ დღეში 1/2 საათით ადრე ჭამამდე.

Rp: Succu Alōes 100,0

DS. ჩაის კოვზი 1/2 საათით ადრე ჭამამდე 3-ჯერ დღეში.

პლაცენტის ექსტრაქტი — Extractum Placenthae

იხმარება კუჭისა და თორმეტკოჯა ნაწლავის წყლულის, ბრონქული ასთმის და სხვა გართულებების დროს, დეკამატოლოგიაში იხმარება ეკზემის, ნეიროდერმიტის და სხვათა დროს, ოფთალმოლოგიაში ბლევარიტის, კონიუნქტივიტის, ტრაქომის, ირიტის, უვეიტის დროს და ს.ჯ.



უნიშნავენ 1—2 მლ დღეში ან დღევამოშვებით.  
გამოშვებულია ამბულეზში 1 მლ № 16.

Rp: Extracti placenthae 1 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. 1 მლ კანქვეშ დღეში 1-ჯერ.

### კალციუმის შემცველი პრეპარატები

კ ა ლ ც ი უ მ გ ლ უ კ ო ნ ა ტ ი — Calcium gluconicum

თავისი ფარმაკოლოგიური თვისებით და კლინიკური მოქმედებით ახლოს დკას ქლორკალციუმთან.

იხმარება, როგორც სისხლის შემაჩერებელი საშუალება ალერგიული დაავადების დროს, იყენებენ ეგზემის, ფსორიაზის, ქავილის, სხვადასხვა ფორმის ტუბერკულოზის, ნევროზის სამკურნალოდ, როგორც საშუალება სისხლძარღვთა შეუვალობის, ტეტანისა და სპაზმოფილიის დროს, იყენებენ თირკმლების ტოქსიკური დაზიანების, ნევრიტის, ეკლამფსიის დროს და სხვ. აგრეთვე იხმარება, მაგნიუმის მარილებით და შაველის მკვებით მოწამვლის საწინააღმდეგოდ.

უნიშნავენ შიგნით 1—2 ტაბლეტს 3—4-ჯერ დღეში. კუნთებში ან ვენაში 10%-ხსნარის 5—10 მლ 1-ჯერ ან დღევამოშვებით.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,5 № 10 და 20. ამბულეზში 10% ხსნარის 5—10 მლ № 10

Rp: Solutionis Calcii gluconici 10%—10 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. კუნთებში 5—10 მლ 1-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae Calcii gluconici 0,5

Dtd № 20

S. 1—2 ტაბლეტი ჭამის წინ 3—4-ჯერ დღეში.

ქ ლ ო რ კ ა ლ ც ი უ მ ი — Calcium chloratum

ხმარობენ ყველა იმ შემთხვევაში, რა შემთხვევაშიც გლუკონატ—კალციუმს. გამოშვებულია პრეპარატის 10% ხსნარი ამბულეზში 5—10 მლ № 10.

Rp: Solutionis Calcii Chlorati 10%—10 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. ვენაში 5—10 მლ დღეში 1-ჯერ ან დღევამოშვებით.

გ ლ უ კ ო ზ ა — Glucossa

პრეპარატი ფართოდ გამოიყენება საექიმო პრაქტიკაში. იხმარება როგორც ქსოვილების სითხის წემვსები და ორგანიზმის მკვებავი საშუალება (ტაბლეტებში და იზოტონური და ჰიპერტონიული ხსნარების სახით). უნიშნავენ მძიმე ინფექციური დაავადებების, ინტოქსიკაციის, კოლაფსის, შოკის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული უკმარისობის, ჰიპოკლიკემიის, ღვიძლის დაავადების (ჰეპატიტის, დისტროფიის, ატროფიის) და სხვა პათოლოგიური მდგომარეობის დროს.

გამომშვებულია ტაბლეტებში 0,5 1,0 და ამპულებში 40% ხსნარის 10 და 20 მლ № 10.

Rp: Solutionis Glucosae 40%—10 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. 10—20 მლ ვენაში (უშხაპუნებენ ნელნელობით).

ნ ა ტ რ ი უ მ ფ რ უ ქ ტ ო ზ ო დ ი ფ ო ს ფ ა ტ ი — Natrium fructoso diphosphoricum

იხმარება შოკისა და გულის მოქმედების შესუსტების დროს, უნიშნავენ ვენაში 10% ხსნარის 100—300 მლ წვეთობრივი მეთოდით.

გამომშვებულია ამპულებში 10% ხსნარი 10 და 100 მლ.

Rp: Solutionis fructosa diphosphorici 10%—10 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. ვენაში შესაწხაპუნებლად წვეთობრივი მეთოდით.

ქ ლ ო რ ნ ა ტ რ ი უ მ ი (ნატრიუმის ქლორიდი) — Natrium chloratum.

მკურნალობაში იხმარება ქლორ ნატრიუმის იზოტონური და ჰიპერტონიული ხსნარი. ჰიპერტონიული სტერილური ხსნარი (10%) იხმარება ვენაში შესაყვანად ფილტვებიდან, კუჭიდან, ნაწლავებიდან სისხლდენის შემთხვევებში და ოყნის საშუალებით დეფეკაციის გამოსაწვევად.

იზოტონური ხსნარი (0,9%) იხმარება კანქვეშ ან ვენაში შესაყვანად და აგრეთვე ვენაში ან კანქვეშ შესაყვანი ზოგიერთი წამლის გასახსნელად.

გამომშვებულია 0,9% ხსნარი ამპულებში 10 და 20 მლ № 10.

Rp: Solutionis Natrii chlorati 0,9%—10 ml.

Dtd № 10 in ampulis

S. ვენაში 10 მლ 1-ჯერ დღეში.

რ ი ნ გ ე რ - ლ ო კ ი ს ტ ა ბ ლ ე ტ ე ბ ი — Tabulettae Ringer—locke

შემადგენლობა: ქლორნატრიუმი	0,6
ქლორკალიუმი	0,02
ქლორკალციუმი	0,02
ჰიდროკარბონატნატრიუმი	0,01
გლუკოზა	0,1

იხმარება სისხლის დაკარგვის, შოკის, ინტოქსიკაციის დროს. გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეკვრაში 10—10 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: Tabulettae „Ringer-Locke“

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 100 მლ წყალში ოყნისათვის.

### სისხლის წითელი ბურთულები, (მედიტროციტების) მასტიმულირებელი საშუალებანი

#### ა) რკინის შემცველი პრეპარატები

ჰემატოგენი საბავშვო პლიტებში შეიცავს 5% სისხლს.

ჰემატოგენი საბავშვო C ვიტამინით — Haematogenum cum acidum ascorbinicum:

შემადგენლობა: მშრალი სისხლი 5%.

ასკორბინის მჟავა 0,12% გემოსათვის.

დამატებული აქვს შაქარი, თაფლი და რძე.

გამოშვებულია პლიტებში 50—50 გრამის რაოდენობით.

ხსნარი ჰემატოგენი — Haematogenum

იხმარება სისხლნაკლებობისა და ჭამის მაღის დაკარგვის შემთხვევებში. უნიშნავენ მოზრდილებს 1 სუფრის კოვზს და ბავშვებს 1 ჩაის კოვზს 2—3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია ფლაკონებში 250 მლ რაოდენობით.

Rp: Haematogeni 250

DS. 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

ჰემოსტიმულინი — Haemostimulinum.

შემადგენლობა: ჰემატოგენი 0,125

რკინის ლაქტატი 0,25

სპილენძის სულფატი 0,005

გლუკოზა 0,1

იხმარება ანემიის დროს და აგრეთვე როგორც სისხლწარმოშობის საშუალება. უნიშნავენ თითო ტაბლეტს დღეში 3-ჯერ ჭა-

მის დროს. გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეკერაში 50—50  
ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: *Tablettae „Haemostimulinum“*

*Dtd № 50*

ს. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის დროს.

ბლო ტაბლეტებში — *Tablettae Blandi*

1 ტაბლეტი შეიცავს რკინის ქვეჟანგის სულფატს 0,028.  
იხმარება ანემიის დროს, უნიშნავენ თითო ტაბლეტს დღეში 3-ჯერ.

Rp: *Tablettae „Blandi“*

*Dtd № 50*

ს. თითო ტაბლეტი 3—5-ჯერ დღეში ჭამის დროს.

ბლოს ტაბლეტები დარიშხანით — *Tablettae Blandi cum  
acidi arsenicosi (A)*

შემადგენლობა: დარიშხანის ანჰიდრიდი 0,001

რკინის ქვეჟანგის სულფატი 0,028

იხმარება მწვავე და ქრონიკული სისხლნაკლებობის დროს.  
უნიშნავენ თითო ტაბლეტს დღეში 3-ჯერ.

გამოშვებულია მინის ქილებში ტაბლეტებს სახით 50—50  
ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: *Tablettae Blandi cum arsenico*

*Dtd № 50*

ს. თითო ტაბლეტი დღეში 3-ჯერ ჭამის დროს.

ვაშლმჟავა რკინის ნაყენი — *Tinctura Ferri pomati*

რკინის მალატის ნაყენი — უნიშნავენ მეორადი ანემიის დროს  
სუფრის კოვზით ჭამის შემდეგ დღეში 3-ჯერ.

Rp: *Tincturae Ferri pomati 200,0*

D.S. თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამის  
შემდეგ.

ფერობიონი — *Ferrobionum*

გამოშვებულია ტაბლეტებში 50—50 ცალიხ რაოდენობით 1  
ტაბლეტი. შეიცავს რკინის ქვეჟანგის ქლორიდს 0,1 და გლუკოზას  
0,14.

იხმარება სხვადასხვა ფორმის მეორადი სისხლნაკლებობის (ჰი-  
პოქრომიული ანემია), საერთო სისუსტიანა და ინფექციური დაავა-  
ლების შემდგომ შემთხვევებში. უნიშნავენ 2—2 ტაბლეტს 3-ჯერ  
დღეში ჭამის შემდეგ.

Rp: Tabulettae „Ferrobionum“

D t d № 50

S. 2. 2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში კამის შემდეგ.

ფ ე რ ო კ ა ლ ი — Ferrocalum;

გამოშვებულია ტაბლეტებში თითო შეკვრაში 40--40 ტაბლეტის რაოდენობით. 1 ტაბლეტი შეიცავს:

რკინის ქვეყანვის სულფატს	0.2
ორფოსფორმეჟა კალციუმის ფორფტობას	0.1
ლეციტინს	0.02

ინმარება სხვადასხვა სახის მეორადი სისხლნაკლოვანების, საერთო სისუსტისა და ინფექციური დაავადების შემდგომი პერიოდის დროს.

უნიშნავენ 2—6 ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae „Ferrocalum“

D t d № 40

S. 2—2 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში კამის შემდეგ.

ფ ი ტ ო ფ ე რ ო ლ ა ქ ტ ო ლ ი — Phytoferrolactolum

შემადგენლობა: ფიტონი	0,2
რკინის ლაქტატი	0,2

ინმარება: ნერვული სისტემის გადაღლით გამოწვეული ავადმყოფობის, სისხლნაკლებობის და საერთოდ მადის დაკარგვის დროს უნიშნავენ თითო ტაბლეტს 3-ჯერ დღეში.

გამოშვებულია მინის ქილებში 30—30 ტაბლეტის რაოდენობით.

Rp: Tabulettae „Phytoferrolactolum“

D t d № 30

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

### გ) კობალტის შემცველი პრეპარატები

კ ო ა მ ი დ ი — Coamidum

კოამიდი წარმოადგენს კობალტისა და ნიკოტინმჟავის დის კომპლექსურ ნაერთს.

ინმარება სხვადასხვა სახის მეორადი სისხლნაკლებობის, აღიზნობრივი ანემიის დროს.

გამოშვებულია ამპულაებში 1  $\frac{1}{2}$  ხსნარი 1 მლ № 10 თითო კოლოფში.

Rp: Solutionis Coamidi 1%—1 ml.

D t d № 10 in ampulis

S. კანქვეშ 1 მლ დღეში 1-ჯერ.

ნატრიუმის ნუკლეინატი — Natrium nucleinicum (B)

გამოშვებულია პრეპარატი 1—1,5—10% ხსნარი ამპულაში 5—5 მლ № 10 რაოდენობით; იხმარება სისხლნაკლებობის და ორგანიზმში ფოსფორის ცვლის მოშლის შემთხვევებში.

უნიშნავენ 1,5% ხსნარის 5 მლ 2-ჯერ დღეში

Rp: Solutionis Natrii nucleinici 1,5%—5 ml.

D t d № 10 in ampulis

S. თითო ამპულა 2-ჯერ დღეში.

პეტროვის ტაბლეტები — Tabulettae Petrovi

შემადგენლობა: ნატრიუმის ქლორიდი	1,5
კალიუმის ქლორიდი	0,02
კალციუმის ქლორიდი	0,01

იხმარება შოკის სამკურნალოდ, დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის, ანაეროზული ინფექციის, სეფსისის, განმეორებითი ანემიის შემთხვევაში.

ხმარების წინ 1 ტაბლეტს ხსნიან 100 მლ საინექციო წყალში, შეათბობენ 38°-მდე, უმატებენ 10 % კონსერვირებულ სისხლს და შეჰყავთ ვენაში წვეთობრივი მეთოდით 2 ლიტრამდე დღე-ღამეში. თუ სისხლი არ არის, მაშინ უშხაპუნებენ მხოლოდ მარილების ხსნარს.

Rp: Tabulettae Petrovi

D t d № 10

S. ექიმის ხელში.

ფერკოვენო — Ferrocovenum

პრეპარატი გამოშვებულია ჰერმეტიულად დაჭურულ ფლაკონებში 5—5 მლ რაოდენობით, 1 მლ შეიცავს რკინას 0,02 და კობალტს 0,00009.

იხმარება სხვადასხვა ეტიოლოგიის ჰიპოქრომიული ანემიის სამკურნალოდ.

Rp: Ferrocoveni 5,0

D t d № 10 in flac.

S. ექიმის დანიშნულებით.

ლეიკოგენო — Leucogenum (B)

ინმარება აგრანულოციტური ანგინის, ლეიკოპენიის, ბენზო-  
ლით ქრონიკული მოწამვლის და ლეიკოპოეზის სტიმულირების  
დროს.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,02. უნიშნავენ თითო ტაბლეტს  
3-ჯერ დღეში.

Rp: Tabulettae Leucogeni 0,02

Dtd № 20

S. თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

## მიკრობებისა და პარაზიტების საწინააღმდეგო საშუალებანი

### 1) ჰიმიშრ-თერაპიული საშუალებანი

#### ა) ანტიბიოტიკები

ქლორტეტრაციკლინ — ქიპოქლორიდი — *Chlortetracyclinum hydrochloratum*

ბიომიცინი ქლორწყალბადეჟავა — *Biomycinum hydrochloricum* (B)

პრეპარატი ფართო ანტიბაქტერიული სპექტრის მქონეა, ეფექ-  
ტურია გრამდადებითი და გრამუარყოფითი მიკრობების, რიკეტსიე-  
ზის და ზოგიერთი ვირუსის მიმართ.

ინმარება პნევმონიის, ბრუცელოზის, ყივანახველის, დიზენ-  
ტერიის, ტულარემიის, გონორეის, პარტახტიანი ტიფის, ცხელების,  
ტრაქომის, სეფსისის, ამებური დიზენტერიის, ფსიკატოზისა და  
ქირურგიული დაზარების შემდეგ ინფექციური გართულების დროს.

ადვილობრივ ინმარება დამწვრობის, ფლეგმონის, აბსცესის,  
კანის ჩირქოვანი დაავადების, კონიუნქტივიტის, ბლუფარიტის დროს.  
მოქმედებს აგრეთვე შარდ-სასქესო ორგანოების ინფექციური და-  
ვადების შემთხვევებში და პენიცილინისა და სტრეპტომიცინის მი-  
მართ რეზისტენტული მიკროორგანიზმებით გამოწვეულ დაავადება-  
ზე. შეიძლება პრეპარატი ხმარებულ იქნას სხვა ანტიბიოტიკურ სა-  
შუალებებთან ერთად ან სულფამიდურ პრეპარატებთან.

უნიშნავენ შიგნით, კამის წინ ნახევარი საათით ადრე 1—2  
ტაბლეტს (100.000—200.000-მდე) 5—6-ჯერ დღე-ღამეში, 8—10  
დღის განმავლობაში

ადვილობრივ სახმარებლად წყალხსნარებს ამზადებენ — *Extempore*  
გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 (100,000 მე) № 10. მალამოს  
სახით 0,5—1 %—10,0—10,0

Rp: Tabuletae Biomycini hydrochlorici 0,1

D t d № 10

S. 2—2 ტაბლეტი 5-ჯერ დღეში ჭამის წინ 1 საათით ადრე.

Rp: Unguenti Biomycini hydrochlorici 0,5%—10,0

D.S. თვალის საცხი.

### ბ ი ც ი ლ ი ნ ი — Bicillinum

ბიცილინი — ბენზილპენიცილინის მარილია დიბენზილმეთილენ დიამიდთან (ბიცილინი—1).

იხმარება პენიცილინისადმი მგრძობიარე მიკრობების წინააღმდეგ, კუნთებში შესაყვანად. პრეპარატი ნელა შეიწოვება და მოქმედებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში—1-დან 4 კვირამდე. როდესაც საჭიროა სწრაფი მოქმედება, მაშინ შეჰყავთ ბიცილინი—2 (წარმოადგენს 100.000-მე პენიცილინისა და 300.000 მე ბიცილინის ნარევს).

ამავე მიზნით გამოშვებულია აგრეთვე ბიცილინი—3, რომელიც წარმოადგენს ბენზილპენიცილინის კალიუმის მარილის, ბენზილპენიცილინის ნოვოკაინის მარილის და ბენზილპენიცილინის ეთილენდიამინის მარილის ნარევს (თითოეული 100000 მე).

ბიცილინი — 1-ს უშხაპუნებენ 300000—600000 მე კვირაში 1-ჯერ.

ბიცილინი—2-ს უშხაპუნებენ 400000—800000 მე კვირაში 1-ჯერ, ან 1600000 ორ კვირაში ერთჯერ.

ბიცილინი—3-ს უკეთებენ მოზრდილებს 300000 მე ოთხ დღეში ერთჯერ ან 600000 მე, კვირაში ერთჯერ.

გამოშვებულია ფლაკონებში 300000, 600000 და 1200000 მე. ფლაკონებს თან ახლავს 1ამპულა სტერილური გამოხდილი წყალით სუსპენზიის მოსამზადებლად.

Rp: Bicillini I—600,000 ME

D t d № 3 in flaconis.

S. კუნთებში ერთჯერ კვირაში, თითო ფლაკონი.

Rp: Bicillini 3—600,000 ME

D t d № 3 in flaconis

S. 600 000 მე კუნთებში 6 დღეში ერთჯერ.

### გ რ ა მ ი ც ი დ ი ნ ი — Gramicidinum—G

პრეპარატი მოქმედებს სტაფილოკოკებზე, სტრეპტოკოკებზე, პნევმოკოკებზე, ანაერობული ინფექციის დროს და სხვ.



გრამიციდინი იხმარება მხოლოდ გარედან ადვილობრივი მკურნალობისათვის ჩირქოვანი ქროლბის, კარბუნკულის, ფლეგმონის, ოსტეომიელიტის, ანაერობული ინფექციის, დამწვრობის, გინეკოლოგიური დაავადების, დიფთერიისა და ქუნთრუმის დროს.

გამოშვებულია ამპულებში 2% სპირტსნარები 2 მლ № 100

Rp: Solutionis Gramicidini 2%—2.0

D t d № 6 in ampulis

S. 2 მლ გაიხსნას 1 კიკა წყალში, გარეკან სახმარებლად.

ალბომიციინი — Albomycinum

ალბომიციინი აქტიურია, როგორც გრამდადებითი ისე სოკოვანი გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ; ეფექტურია პენიცილინის გამძლე ფორმების წინააღმდეგაც.

იხმარება პნევმონიის წინააღმდეგ, განსაკუთრებით პედიატრიულ პრაქტიკაში (პნევმონის, ყივანახველის, წითელას, დიზენტერიის და სხვ. დროს), სხვადასხვა სეფსისური პროცესისა და პიოდერმიის დროს, შეიძლება ხმარებულ იქნას ერთდროულად სხვა ანტიბიოტიკურ საშუალებებთან და სულფანილამიდურ პრეპარატებთან ერთად.

უნიშნავენ კანქვეშ ან კუნთებში 12 საათში ერთჯერ.

გამოშვებულია ფლაკონებში 500000, 1000000 და 3000000 მე შემცველობით.

Rp: Albomycini 100,000 ME

D t d № 10 in flaconis

S. ფლაკონში მოთავსებული პრეპარატი გაიხსნას 2 მლ გამოხდილ წყალში (ან ნოვოკაინის 0,5% ხსნარში) და გაკეთდეს კანქვეშ 12 საათში ერთჯერ.

ემოლინი — Emolinum

პრეპარატი მოქმედებს გრიპის ვირუსზე, ჰემოლიზურ სტრეპტოკოკებზე, სტაფილოკოკებზე, დიზენტერიის ბაქტერიებზე და ზოგიერთ სხვა მიკრობზე. ამ თვისებების გამო პრეპარატს ხმარობენ შემო სასუნთქი გზების კატარისა და გრიპის პროფილაქტიკის მიზნით, ხმარობენ აგრეთვე პენიცილინისა და სტრეპტომიციინის გამხსნელად, რაც ახანგრძლივებს მათ მოქმედებას, ხმარობენ დიზენტერიის სამკურნალოდ ბიომიციინსა და სტრეპტომიციინთან ერთად.

უწვეთებენ ცხვირის ნესტოებში 8—10 წვეთს დღეში 3-ჯერ. გამოშვებულია ჰერმეტიულად დახურულ ფლაკონებში თითოში 10 მლ რაოდენობით.

Rp: Ecmolini 10,0

D.S. 6—8 წვეთი ცხვირის ნესტოებში დღეში 3-ჯერ.

ეკმონოვილინი — Ecmovocillinum

წარმოადგენს პენიცილინ-ნოვოკაინის მარილისა და ეკმოლინის წყალხსნარს. იხმარება პენიცილინის მიმართ მგრძობიარე მიკრო-სხეულებით გამოწვეული ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ.

გამოშვებულია ჰერმეტიკულად დახურულ ფლაკონებში 300000 ან 600000 მე პენიცილინნოვოკაინის მარილი და მეორე ფლაკონში 2,5—5 მლ 0,25% ეკმოლინის წყალხსნარი.

შეყავთ კუნთებში 300000—600000 მე დუნდულების ზემო გარე კვადრატში დღეში 1-ჯერ.

Rp: Ecmovocillini 300,000 მე

D.t.d № 6 in flaconis.

S. 300 000 მე დღეში 1-ჯერ კუნთებში.

ერიტრომიცინი — Erytromycinum №5

ერიტრომიცინი მოქმედებს გრამდადებით მიკროფლორაზე და აგრეთვე პენიცილინისა და სხვა ზოგიერთი ანტიბიოტიკური საშუა-ლებების რეზისტენტულ მიკრობებზე.

იხმარება პნევმონიის, ქუნთრუშის, წითელი ქარის, სეფსისის, ანგინის, ტონზილიტის, ლარინგიტის, კარბუნკულების, ჩირქოვანი ოტიტის, ჰრილობის დროს და სხვ.

უნიშნავენ 100000—250000 მე ყოველ 4—6 საათში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1 და 0,25 (100,000—250,000 მე). მალამოს სახით 5,0 10,0 25 0 და 50,0 რაოდენობით; 1,0 შე-იცავს 10000 მე.

Rp: Tabulettae Erythromycini 0,25

D.t.d № 10

S. თითო ტაბლეტი ყოველ 4—6 საათში ჭამის წინ.

ერიტრომიცინის მალამო — Unguentum Erythromycinum.

Rp: Unguenti Erythromicini 25,0

D.S. გარეკანი კანზე წასასმელად.

კოლიმიცინი — Colimycinum (B)

კოლიმიცინი ეფექტურია სტაფილოკოკური, სტრეპტოკოკული, პნევმოკოკური ინფექციების წინააღმდეგ, აგრეთვე ნაწლავის ჩხირე-ბით. ფრიდლენდერის ჩხირებით, ბაქტერიული დიზენტერიის, პრო-ტეუსით გამოწვეული დაავადების წინააღმდეგ.

იხმარება პიოდერმიტის, კანის სხვადასხვა დაავადების, პლევ-

რისა და მეუკლის ღრუს ჩირქოვანი პროცესების, კანის ჩირქოვანი დაავადების სამკურნალოდ.

გამოშვებულია ფლაკონებში 350000 მე გარედან და შიგნით სახმარად 175000 და 700000 მე. ტაბლეტებში 150000 მე № 10.

Rp: Colimycini 175,000 მე

D t d № 6 in flaconis

S. 1 ფლაკონი გაიხსნას 200 მლ 0,5% ნოვოკაინის ხსნარში და ხმარებულ იქნეს საფენებად.

Rp: Tabulettae Colimycini 150,000 მე

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 3—4-ჯერ დღეში.

დიჰიდროსტრეპტომიცინის სულფატი — Dihydrostreptomycinum Sulfuricum

პრეპარატი იხმარება სხვადასხვა ფორმის ტუბერკულოზის, ტუბერკულოზური მენინგიტის, პენიცილინისა და სტრეპტომიცინის მიმართ მგრძობიარე მიკროსტრუქტურული გამოწვეული დაავადებების, ტულარემიის, მწვავე ფორმის ბრუცელოზის სამკურნალოდ და სხვ.

უნიშნავენ 500000—1000000 მე დღე-ღამეში ერთჯერ.

გამოშვებულია ჰერმეტიკულად დასურულ ფლაკონებში 500000 და 1000000 მე.

Rp: Dihydrostreptomycini sulfurici 500,000 მე

D t d № 5 in flaconis

S. 1 ფლაკონი გაიხსნას 3 მლ 0,5% ნოვოკაინის ხსნარში და გაუკეთდეს კუნთებში 12 საათში 1-ჯერ.

ლევომიცეტინი — Laevomycetinum „B“

ლევომიცეტინი იხმარება მეუკლის ტიფის, პარატიფის, ბრუცელოზის ყვიანახეილას, პნევმონიის, ტულარემიის, დიზენტერიის ღროს, აგრეთვე პარტახტიანი ტიფის და სხვა რიკეტსიოზების, ტრაქომის გონორეის და ზოგიერთი ბაქტერიული დაავადების და ჩირქოვანი ინფექციების შემთხვევებში.

უნიშნავენ 0,5 დღეში 4—6-ჯერ. დიზენტერიის შემთხვევაში 0,5 ყოველ 6 საათში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1, 0,25, 0,5 № 10 და № 12.

Rp: Tabulettae Laevomycetini 0,5

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 4—6-ჯერ დღეში.

ეულევომიცეტინი — Eulaevomycetinum (B)

ეულევომიციტინი წარმოადგენს ლევომიციტინისა და სტეარინ-  
მეაქს. ყფერს.

ინმარება ლევომიციტინის მაგივრად ბავშვთა პრაქტიკაში  
ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ნაჩვენებია ლევომიციტინით მკურ-  
ნალობა (დიზენტერია, მუცლის ტიფი, ყივანახველა, ანგინა, პნევ-  
მონიები, რიკეტსიოზები და სხვა ინფექციური სნეულებანი).

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25 № 10

Rp: *Tablettae Eulaevomyetini* 0,25

D t d № 10

S. 2--2 ტაბლეტი 4--6-ჯერ დღეში.

მიცერინი — *Mycerinum*

ინმარება ადგილობრივად და შიგნით გრამდადებითი და გრამ-  
უარყოფითი მიკრობებით გამოწვეული ავადმყოფობის სამკურნალოდ  
და პენიცილინისა და სტრეპტომიცინის მიმართ მგრძობიარე მიკ-  
როსხეულებით გამოწვეული დაავადების დროს.

შიგნით უნიშნავენ 100000—200000 მე-ს. დღეში 2-ჯერ 7  
დღის განმავლობაში.

გარედან ინმარება 1 % წყლიანი ხსნარის და პალამოს სახით,  
გამოშვებულია პერმეტულად დახურულ ფლაკონებში 200000  
და 400000 მე

Rp: *Mycerini* 20000 მე

D t d № 5 in flaconis

S. შიგნით 100000—200000 მე 2-ჯერ დღეში.

ნოვოცილინი — *Novocillinum*

პრეპარატი წარმოადგენს პენიცილინ-ნოვოკაინის მარილის  
სუსპენზიას ატმის ზეთში. 1 მლ სუსპენზია შეიცავს 300000 მე-ს

ინმარება მწვავე და ქვემწვავე სეფსისური ენდოკარდიტის,  
სეპტიცემიის, ჩირქოვანი კრილობების, პნევმონიების, ანგინისა და  
სხვა ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ, რომელიც გამოწვე-  
ულია პენიცილინისადმი მგრძობიარე მიკრობებით.

უნიშნავენ მხოლოდ კუნთებში შესაწესაჟნებლად 300000—  
600000 მე-ს 1-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში.

გამოშვებულია ამპულაში 5--5 მლ რაოდენობით (500000 მე)-

Rp: *Novocillini* 300000 მე

D t d № 6 in ampulis

S. 1 ამპულა დღე-ღამეში.

ნისტატინი — *Nistatinum*

იხმარება ლორწოვანი გარსის, კანისა და შინაგანი ორგანოების კანდიდაშიკოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით. იხმარება აგრეთვე კანის სხვადასხვა დაავადების დროს.

უნიშნავენ შივნიტ 500000 მე-ს დღეში 3 — 4-ჯერ.

გამოშვებულია დრაჟეს სახით, თითო აბი შეიცავს 250000 და 500000 მე-ს.

Rp: *Tabuletae Nistatini* 500000 მე

Dtd № 10

S. თითო აბი 3-ჯერ დღეში.

ბ ე ნ ზ ი ლ პ ე ნ ი ც ი ლ ი ნ ი — *Benzylpenicillinum* (B)

პ ე ნ ი ც ი ლ ი ნ ი — *Penicillinum*

პენიცილინი იხმარება კრუპოზული პნევმონიის, კეროვანი პნევმონიის, მწვავე და ქვემწვავე სეფსისური ენდოკარდიტის, სეპტიცემიის, პიმიების, ჩირქოვანი კრილობების, კანის ჩირქოვანი დაავადებების, ჩირქოვანი პლევრიტის, პერიტონიტის, მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული ოსტეომიელიტის, თვალის ანთებითი დაავადების, ანგინის, დიფთერიის, შუაყურის ანთების, ეპიდემიური მენინგიტის, გონორეის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

გამოშვებულია ჰერმეტულად თავდახურულ ფლაკონებში 100000, 200000, 300000, 500000 მე.

Rp: *Benzylpenicillinum* 200000 მე

Dtd № 6 in flaconis

S. 200—300 ათასი მე 3—4-ჯერ დღეში.

პ ე ნ ი ც ი ლ ი ნ ი ს მ ა ლ ა მ ო — *Unguentum Benzylpenicillinum*

შემადგენლობა: პენიცილინი	300000 მე
ვაზელინი	30,0-მდე
ლანოლინი	3,0

დაფასოებულია თითო შეფუთვაში 30—30 გრამის რაოდენობით.

Rp: *Unguenti Benzylpenicillini* 30,0

D.S. გარეკანი.

გ რ ი ზ ე ო ფ უ ლ ვ ი ნ ი (ფუტილინი, ლაკულენი) — *Grisofulvinum* (B)

პრეპარატი წარმოადგენს პენიცილინის გვარის ობის სოკოების ბიოსინთეზის პროდუქტს და გამოიყოფა ქიმიურად სუფთა სახით. გრიზოფულვინის აქვს ფუნგისტატური მოქმედება დერმატოფიტის სხვადასხვა სახეობებზე (ტრიქოფიტინები, მიკროსპორები, აქორიონები, ეპიდერმოფიტონები).

პრეპარატი რეკომენდებულია კანის, თმის და ფრჩხილების შემდეგი დაავადების დროს: თავის თმიანი ადგილისა და უთმო კანის ფავუსის, თავის თმიანი ადგილისა და უთმო კანის ტრიქოფიტიის, მიკროსპორიას, წითელი ებიდერმოფიტიით (ტრიქოფიტონიით) გამოწვეული უთმო ადგილების მკურნალობისა და ძვლისა და ლიმფური კვანძების ტრიქოფიტიის დროს.

უნიშნავენ შიგნით 250 მგ 4-ჯერ დღეში. ყოველდღიურად 3 კვირის განმავლობაში.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,25

Rp: Tabulettae Griseofulvini 0,25

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 4-ჯერ დღეში.

ფენოქსიმეთილპენიცილინი — Phenoxyethylpenicillinum.

იხმარება პენიცილინის მიმართ მგრძობიარე მიკროსხეულებით გამოწვეული ინფექციური დაავადების სამკურნალოდ.

უნიშნავენ შიგნით 200000 4-ჯერ დღეში 30—40 წუთით ადრე ჭამამდე.

გამოშვებულია ტაბლეტებში 100000 და 200000 მგ № 10 და № 20

Rp: Phenoxyethyl Penicillini 100000 მგ.

D t d № 10 in tabulettis

S. ერთი-ორი ტაბლეტი 4-ჯერ დღეში.

სინტომიციინი — Synthomycinum (B)

იხმარება მუცლის ტიფის, პარატიფის, დიზენტერიის, ბრუცელოზის, ყვიანახველის, პნევმონიის, გონორეის, ჩირქოვანი ინფექციების, ტულარემიის, ტრაქომის და სინტომიციინის მიმართ მგრძობიარე სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

უნიშნავენ 0,5 — 1,0 დღეში 4 — 6-ჯერ.

გამოშვებულია ტაბლეტებში 0,1, 0,25 და 0,5 № 10

Rp: Tabulettae Synthomycini 0,5

D t d № 10

S. თითო ტაბლეტი 6-ჯერ დღეში ჭამის წინ.

სინტომიციინის ემულსია — Emulsio Synthomycini

მკურნალობაში იხმარება სინტომიციინის ემულსია 1 — 5 და 10%.

შემადგენლობა: სინტომიცინი	1,5 ა5 10 წილი
რიცინის ზეთი	20 წილი
ემულგატორი	10 წილი
კონსერვანტი	0.15 წილი
გამოხდრილი წყალი	100 წილამდე.

იხმარება დაჩირქებული ქრელობების, კანისა და ლორწოვანი გარსის ჩირქოვანი დაავადებების, დამწრობის და სხვათა მკურნალობის დროს, კარგ შედეგს იძლევა ტრაქომის მკურნალობაში.

იხმარება აგრეთვე ფურუნკულების, კარბუნკულების და ხანგრძლივად შეუხორცებელი წყლულების დროს.

Rp: Emulsionis Synthomyctni 5%—30,0

D.S. გარეკან სახმარად.

ეუსინტომიცინი — Eusynthomycinum (B)

ეუსინტომიცინი წარმოადგენს სინტომიციინის სტეარინმჟავა ეთერს. არ აქვს მწარე გემო, რის გამოც „არამწარე სინტომიციინს“ უწოდებენ.

იხმარება ბავშვთა პრაქტიკაში. პრეპარატი ნაკლებ ტოქსიურია. ჩვენება იგივეა რაც სინტომიციინისათვის.

ქლორკალციუმ სტრეპტომიციინის კომპლექსი —  
Streptomycinum calcium chloratum

სტრეპტომიცინი — Streptomycinum (B)

სტრეპტომიციინი ძლიერ ფართო ანტიბაქტერიული სპექტრის მქონე ანტიბიოტიკური საშუალებაა. იგი მოქმედებს, როგორც გრამუარყოფით ბაქტერიებზე, ისე ზოკიერთ გრამდადებით და მკვე-გამძლე ბაქტერიებზე, აგრეთვე ნაწლავის ჩხირებზე, ტულარემიის, ბრუცელოზის დიზენტერიის გამომწვევე სხეულებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრეპარატის მოქმედება ტუბერკულოზის ჩხირებზე. იხმარება სასუნთქი ორგანოებისა და გზების ტუბერკულოზის (ფილტვების, ყელის, ბრონქების, პლევრის და სხვ.), ნაწლავების, თირკმლების და შარდის გამომყოფი გზების სასქესო ორგანოების, სეროზული გარსის, ძვლების, სახსრების და კანის ტუბერკულოზის დროს. სტრეპტომიციინის როლი განსაკუთრებით დიდია ტუბერკულოზური მენინგიტის წინააღმდეგ.

უმალესი ერთჯერადი დოზაა კუნთებში 1,0 (1000000 მე). ჩვეულებრივი დოზაა 0,5 2-ჯერ დღეში კუნთებში. გამოშვებულია კერამეტულად თავდაცულ ფლაკონებში 200000, 250000, 500000 და 1000000 მე.

Rp Streptomycini Sulfurici 500000 მგ

D t d № 10 in flaconis

S. კუნთებში 500 000 100 000 მგ დღე-ღამეში.

Rp: Streptomycini Calcii chlorati 200000 მგ

D t d № 10 in flaconis

S. სურგის ტვინში შესაყვანად 75—100 ათასი ერ-  
თეული 1-ჯერ დღეში.

ალმეცილინი — Almcicillinum (B)

ალმეცილინი წარმოადგენს ალილმერკაპტოპენიცილინის მკა-  
ვას კალიუმის მარილს.

პრეპარატი ქიმიურ-თერაპიული, ფარმაკოლოგიური და ანტი-  
მიკრობული თვისებებით მსკავისა პენიცილინისა. მისდამი მგრძ-  
ნობიარენი არიან ძირითადად გრამდადებითი და ზოგიერთი გრამ-  
უარყოფითი მიკრობები.

ალმეცილინი იხმარება იმავე შემთხვევებში, რა შემთხვევაშიც  
პენიცილინი. მისი თვისებები განსაკუთრებით მკლავნდება ავადმ-  
ყოფების მიმართ. რომლებიც ვერ იტანენ პენიცილინის სხვა პრე-  
პარატებს.

გამოშვებულია ჰერმეტიულად თავდაცულ ფლაკონებში  
100000, 200000, 300000, 400000, 500000 და 1000000 მგ.

Rp: Almcicillini 500000 მგ

D t d № 10 in flaconis

S. 300000 მგ 3—4-ჯერ დღეში.

მიკროციდი — Microcidum

თხევადი ანტიბაქტერიული საშუალებაა, რომელიც იხმარება  
როგორც გარეგანი საშუალება, პრეპარატი იჩენს ბაქტერიციდულ,  
ბაქტერიოსტატიკურ და ბაქტერიოლიზურ თვისებებს. ანტიბაქტერი-  
ულ ზემოქმედებას ამკლავნებს როგორც გრამდადებით, ისე გრამ-  
უარყოფით მიკრობებზე.

პრეპარატი იხმარება როგორც ახალი ინფიცირებული კრი-  
ლობების და I, II და III—ხარისხის დამწვრობის, ისე II და III  
ხარისხის მოყინვის, ძნელად შესახორცებელი კრილობებისა და ნა-  
წოლების მკურნალობის პრაქტიკაში. იყენებენ აკრეთვე კანის ჩირ-  
ქოვანი და ანთებითი პროცესების მკურნალობისათვის (ფურუნკუ-  
